

საქართველო

ISSN 0868-4537

2000. №1

178/3
2000

ს/ს 3



მეცნიერება

კულტურისტიკა

პრაქტიკა

საქართველო, თბილისი



ჟურნალ «სამართლის» სპეციალური ვიზიტუა "SAMARTALI" journal visit-card

გამოსვლის თარიღი – 1926 წელი.

სტატუსი – იურიდიული პროფილის ერთადერთი რეცენზირებადი გამოცემა საქართველოში.

პერიოდულობა – წელიწადში გამოდის 12 ნომერი.

ტირაჟი – 1000 ეგზემპლარი

დამფუძნებელი – საქართველოს იურისტთა კავშირი (1999)

იურიდიული მისამართი – 380046, საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 30.

ჟურნალის მიზნებია:

- ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის განხორციელებას და მის წარმოჩენას;
- დაეხმაროს პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს და სხვა) ახალი კანონმდებლობის უკეთ შემეცნებაში;
- ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მეშვეობით გააცნოს საქართველოს იურიდიულ საზოგადოებას საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი პროცესები;
- ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დონის ამაღლებას;
- იურიდიული მეცნიერების, იურიდიული განათლების რეფორმირებისა და სტუდენტთა სასწავლო პროცესისათვის ხელშეწყობა.

განხორციელების ფორმები:

- ქართველ და უცხოელ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა შემოქმედებითი პროდუქციისა და მათი საქმიანობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება;
- ნორმატიული მასალის გამოქვეყნება და ახალი კანონმდებლობის პროპაგანდა;
- ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;
- სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გათვალისწინებული იურიდიული კონსულტაციების გამოქვეყნება;
- სასწავლო და აკადემიური მასალის გამოქვეყნება.

Date of issuance – year 1926

Status – the only reviewed legal-profile edition in Georgia

Periodicity – 12 editions annually

Circulation – 1000 units

Founder – Georgian Lawyers Union (1999)

Legal address – 380046, Rustaveli 30, Tbilisi, Georgia

Objectives of the journal are:

- To promote effectuation of the judicial reform which is under way in Georgia;
- To assist practician lawyers (judges, prosecutors, advocates, notaries and others) in better cognition of new legislation;
- To get Georgian legal society acquainted with the judicial process in foreign countries by means of Georgian and foreign specialists.
- To promote raising legal culture and legal consciousness of the population;
- To promote reforms of legal science and legal education and to foster students' study process.

Forms of effectuation

- Publication of materials resembling activity and creative production of Georgian and foreign scientist and practician lawyers;
- Publication of normative materials and propaganda of new legislation;
- Publication of decisions rendered by the European Court of Human Rights and by Georgian courts;
- Judicial practice review;
- Publication of legal consultations foreseen for juridical and natural persons;
- Publication of studying and academic materials.

* Term "SAMARTALI" in English means "Law"

საქართველოს იურისტთა კავშირი

GEORGIAN LAWYERS UNION

«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

“S A M A R T A L I”

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Scientific-practical juridical journal

№1, 2000 წლის იანვარი

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი“, 2000 წ.

მთავარი რედაქტორი

პაატა ცნობილაძე

EDITOR IN-CHIEF

PAATA TSNOBILADZE

მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა ბერძენიშვილი

VICE-EDITOR IN-CHIEF

GELA BERDZENISHVILI

სარედაქციო საბჭო:

EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია – (თავმჯდომარე)

ჯამლეთ ბაბილაშვილი

ავთანდილ დემეტრაშვილი

ბესარიონ ზოიძე

კახა თარგამაძე

გივი ინწკირველი

გია მეფარიშვილი

თევდორე ნინიძე

ნუგზარ საჯაია

მინდია უგრეხელიძე

ჯონი ხეტურიანი

ლადო ჭანტურია

ROMAN SHENGELIA - (chairman)

JAMLET BABILASHVILI

AVTANDIL DEMETRASHVILI

BESARION ZOIDZE

KAKHA TARGAMADZE

GIVI INTSKIRVELI

GIA MEPARISHVILI

TEVDORE NINIDZE

NUGZAR SADJAIA

MINDIA UGREKHELIDZE

JOHN KHETSURIANI

LADO CHANTURIA

სარედაქციო კოლეგია:

EDITORIAL BOARD:

გელა ბერძენიშვილი

ნინო გვენეტაძე

მზია ლეკვეიშვილი

ვალერიან მეტრეველი

გიორგი ტყეშელიაძე

შალვა ჩიკვაშვილი

პაატა ცნობილაძე

გია ხუბუა

GELA BERDZENISHVILI

NINO GVENETADZE

MZIA LEKVEISHVILI

VALERIAN METREVELI

GEORGE TKESHELIADZE

SHALVA CHIKVASHVILI

PAATA TSNOBILADZE

GIA KHUBUA

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, რუსთაველის გამზ. №30.

ტელ: 99 02 45, 93 41 50, 99 51 01

ფაქსი: (995 32) 99 02 45

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“

თბილისი, რუსთაველის გამზ. 30.

ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

საქართველოს განერალურ პროკურატურაში

კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა
პროკურატურის უმნიშვნელოვანესი
ამოცანაა 4

საკონსტიტუციო სამართალი

გია ხუბუა – ფედერალიზმი და
ავტონომია 15

როსტომ ცხვედიანი – საპრეზიდენტო
არჩევნების თავისებურებები საქართველოში
და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში 31

სამოქალაქო სამართალი. პროცესი

ნინო ხოფერია – დაუსწრებელი
გადაწყვეტილება მოპასუხის
გამოუცხადებლობის გამო 41

ტარიელ ზამბახიძე – საკუთრების
მინდობა – საქართველოს სამოქალაქო
კოდექსის ახალი ინსტიტუტი 44

თამარ ზამბახიძე – საკუთრების
მინდობა (ისტორიული მიმოხილვა) 57

სისხლის სამართალი.

კრიმინოლოგია

კახა წიქარიშვილი – ბრალის გარეშე
პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ
სისხლის სამართალში – სამართლებრივი
ანომალია თუ რეგულირების ფექტიანი
მექანიზმი 67

ალექსანდრე კაცმანი – კომპიუტერულ
დანაშაულთა ჩადენის ხერხები 72

სამართლის ისტორია

ბადრი (კახა) კვარაცხელია – დავით
დადიანის სასამართლო-ადმინისტრაციული
რეფორმები 81

ნიკო ჯავახიშვილი – 1919 წლის
ფულადი რეფორმა საქართველოში 85

საერთაშორისო სამართალი.

ურთიერთობები

ალექსანდრე მიქაბერიძე – ადამიანის
უფლებათა ევროპული სასამართლო 89

ადამიანის უფლებების ევროპის

სასამართლოში

ადამიანის უფლებების ევროპის
სასამართლოს გადაწყვეტილება
საქმეზე: კატიკარიდისი და სხვები
საბერძნეთის წინააღმდეგ 93

სასამართლო დარბაზიდან

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის განჩინება 98

რეზიუმე 100

Search guide

In the General Prosecutors

Office of Georgia

“Security of protection of legality
is the most important problem of the
Prosecutors Office” 4

Constitutional Law

Gia Khubua – “Federalism and
autonomy” 15

Rostom Tskhvediani – “Specialities of
president’s election in Georgia and
other countries of the world” 31

Civil Law, Civil Procedure.

Nino Khoperia – “Absent decision on
account of respondent’s
non-attendance” 41

Tariel Zambakhidze – “Trust – a new
institute of the Civil Code of
Georgia” 44

Tamar Zambabakhidze – “Trust”
(historical review) 57

Criminal Law and Criminology

Kakha Tsikarishvili – “Strict liability in
English-American Criminal Law – law
anomaly or an effective mechanism
of regulation” 67

Alexandr Katsman – “Ways of
committing computer crimes” 72

History of Law

Badri (Kakha) Kvaratskhelia –
“Judicial-administrative reforms
led by David Dadiani” 81

Niko Djavakhishvili – “Money
reform of 1919 in Georgia” 85

International Law, International

Relations

Alexandr Mikaberidze – “The
European Court of Human Rights” 89

In the European Court of

Human Rights

Decisions of ECHR on case:
Katikaridis and others vs. Greece. 93

From the Court hall

Decision of Criminal Cases Chamber
of the Supreme Court of Georgia 98

REZUME 100

საქართველოს ტექნოლოგიური პროკურატურაში

კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა

პროკურატურის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

მიმდინარე წლის 18 იანვარს გაიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, სადაც განიხილეს 1999 წელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონიერების განმტკიცებისათვის საქართველოს პროკურატურის ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე, შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი, ეროვნული უშიშროების საბჭოს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი კობა ნარჩქეშაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გურამ ქარქაშიაძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვრიც სვანიძე, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების პროკურორები, ცენტრალური აპარატის მუშაკები, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ საქართველოს პროკურატურის მუშაკებმა ქვეყნის სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად დიდი და შრომატევადი მუშაობა ჩაატარეს ადამიანის უფლებების დაცვის, კანონიერების განმტკიცების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემაში წესრიგის დამყარებისა და სხვა მძიმე დანაშაულთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და მისი გამოსწორების გზებზე.

კოლეგიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლელ ბაბილაშვილმა, რომელმაც არასაკმარისად მიიხსნია გაწეული მუშაობა და მოუწოდა პროკურორებს გააძლიერონ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, გარდაქმნან საპროკურორო საქმიანობა ექვლა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვას, არ დაუშვან ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების მცირედენი დარღვევაც კი.

კოლეგიაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ნუგზარ ვაბრიანიძემ.

გთავაზობთ მოხსენების ტექსტს მცირედენი შემოკლებით.



არსულს ჩაბარდა 1999 წელი. კარს მოგვადგა მესამე ათასწლეული, საოცრებათა მოლოდინით გარინდული ახალი სამყარო. ჩვენ ამ ზღურბლზე შეუპოვრად უნდა გადავაბიჯოთ, რათა ღირსეულად დავიცვათ და განვამტკიცოთ საუკუნეთა მანძილზე ნაოცნებარი და დიდი ძალისხმევით მოპოვებული უძვირფასესი განძი — თავისუფლება.

დამდგარი ახალი წელი მოითხოვს პასუხს სამ ძირითად კითხვაზე:

1. საით მიემართება ჩვენი მომავლის გზა?
2. რა უშლის ხელს ჩვენს წინსვლას და წარმატებას?

3. როგორ ვებრძობით და დავძლიით ხელშემშლელი პირობები და სირთულეები?

პირველ კითხვას გასულმა წელმა თავად უპასუხა. გავისხენით ნატოსა და სტამბულის სამიტებში საქართველოს მონაწილეობა, ევროსაბჭოსა და მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანება. საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტის კურსის დამაჯერებელი გამარჯვება. ჩვენი მომავლის გზა არის გზა დემოკრატიისა და მსოფლიოს ცივილიზებული თანამეგობრობისაკენ. ამ მიმართებით ჩვენმა ქვეყანამ სწორედ შარშან გააკეთა უდიდესი განაცხადი, რითაც სა-

ერთა შორის ახსარეზზე თავისი ფუნქცია დაიკვიდრა. რასაკვირველია, ეს, პირველ რიგში, განაპირობა ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის უდიდესმა ავტორიტეტმა და ძალისხმევამ. სწორედ მან მოაწერა ხელი ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტებს, რომელთა შემსრულებლობით სრულიად ახალი სიმაღლეზე და სივრცეში გავიდა.

მეორე და მესამე კითხვაზეც სწორი პასუხი პრეზიდენტმა გვიკარნახა და შეგვახსენა ნ დეკემბრის რადიონტერვიუში, ქვეყნის პროგრესის უმთავრეს შემაფერხებლად, საბიუჯეტო კრიზისის მთავარ გამომწვევ მიზეზად, დაახსენა კორუფცია, რომელსაც სრულიად სამართლიანად სახელმწიფო ორგანიზმის ავთვისებიანი სიმსივნე უწოდა და რომლის წინააღმდეგ ბრძოლა „დიდგორის“ ომს გაუტოლა. კორუფცია მიხნეულია ქვეყნისათვის ყველაზე საშიშ საფრთხედ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციის მიღების დროს გარკვეულმა დაინტერესებულმა ძალებმა მოახერხეს პროკურატურის უფლებების შეზღუდვა, რამაც ქვეყანაში მოშალა კანონიერების რეჟიმი. ფაქტობრივად აღარ არსებობს ორგანო, რომელიც კანონების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე განახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას.

ისე არავის გავივოს, თითქოს ჩვენ რეფორმების წინააღმდეგი ვიყოთ. რეფორმები საქიროა, მაგრამ ის უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო ინტერესებს და არა უწყებრივი ამბიციების დაკმაყოფილებას.

პროკურატურის ფუნქციების შეკვეცივით და ამ ფუნქციების სსვადასვვა მაკონტროლებელ ორგანოებზე გადახაწილებით, კანონების შესრულებაზე და დანაშაულის აღკვეთა-აცილებაზე ფორმალურად პასუხისმგებელი ვასდა ყველა. ფაქტობრივად კი არავინ...

შედევმაც არ დააყოვნა. დაიწყო უკანონო პრივატიზაცია, კაპიკებად ხელში ჩაიგდეს ფაბრიკა-ქარხნები, სსვა ობიექტები იქ არსებული ნედლეულითა თუ მზა პროდუქციით, მანქანა-დანადგარებით, სარეზერვო ფონდებითა თუ მასალებით...

საზოგადოების მცირე ნაწილის ხელში თავი მოიყარა უამრავმა სიმდიდრემ. სოციალისტური მეწარმეები უცბად გახდნენ კაპიტალისტური ბიზნესმენები. საზოგადოების დიდი ნაწილი, ცნობილი მეცნიერები, სპეციალისტები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები კი დარჩნენ უმუშევრები, ბევრმა სახლები და საგვარეულო ნივთები გაყიდა არსებობისათვის.

დაიწყო ფარული ბიზნესის განვითარება. კონტრაბანდული გზით სახელმწიფოში შემოდის მილიონ-

ბით ღირებულების საქონელი, გადასახადს კი არ იხდიან. ბლოკირებულია კანონიერი ბიზნესის, ადგილობრივი მრეწველობის განვითარება.

პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობას შემოწმოს ასეთი დანაშაულებრივი ფაქტები. იგი ელოდება მასალებს სსვა მაკონტროლებელი ორგანოებიდან. იქიდან კი ასეთი მასალები ან საერთოდ არ შემოდის, და თუ შემოდის, მათ საფუძველზე რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთება და ღონისძიებების განხორციელება თითქმის შეუძლებელია.

დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემაზე საუბრის დროს გვერდს ვერ აუვლით ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. სწორედ ეკონომიკური ვითარება განსაზღვრავს სოციალურ ვითარებას და დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობას.

დღეს საქართველო, ძირითადად ორიენტირებულია იმპორტზე. ამიტომ საბიუჯეტო ჩაგარდნების მიზეზებიც აქ უნდა ვიძებნოთ. ერთ ფაქტზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.

შარშან საქართველოში ყოველთვიურად შემოდის და დაახლოებით ხუთ მილიონამდე კოლოფი სიგარეტი. სპეციალისტთა გაანგარიშებით კი ქვეყანას ყოველთვიურად სჭირდებოდა 30 მილიონი კოლოფი, ესე იგი ექვსჯერ მეტი. შესაბამისად ექვსჯერ მეტი თანხაც უნდა შესულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში.

შარშან თამბაქოს ბიზნესიდან ბიუჯეტში შევიდა 62 მილიონი ლარი. ამ ციფრის ექვსჯერ გამრავლებით მივიღებთ 372 მილიონს. ამდენი თანხა ქვეყნის ხაზინაში რომ შესულიყო, ბიუჯეტის ვალიც გადაიფარებოდა და უხელფასო და უშენსიო ადამიანები აღარ გვეყოლებოდა. ანალოგიურად, მარცვლეულიდან, ნავთობ-პროდუქტებიდან, ალკოჰოლური სასმელებიდან და კიდევ სსვა უამრავი საქონლიდან გადასახადების კანონიერად ამოღება რომ მომხდარიყო, ხელ სსვა სოციალური ვითარება გვექნებოდა და ასეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით.

ხშირად ჩვენ ვებრძვით შედეგებს და არ ვეძებთ მის გამომწვევ მიზეზებს.

საქიროა დეტალურად შემოწმდეს იმპორტის რეალური მდგომარეობა და გაირკვეს სად იღეიქება. უგზო-უკვლოდ რატომ იკარგება ბიუჯეტის კუთვნილი თანხები. რა არის ამის მიზეზი? ჩვენი საზღვრების დაუცველობა. საბაჟოებში არსებული კორუფცია თუ სსვა რამ? ამის გარკვევას არ სჭირდება საგანგებო კომისიების შექმნა. ჩვენმა ეკონომიკურმა, საფინანსო, მაკონტროლებელმა ორგანოებმა უნდა ჩაიხედონ ამ საკითხებში და მოაგვარონ პრობლემა. ხოლო ის ხალხი,



ვინც ამას ვერ აკეთებს თუ არ აკეთებს, უნდა ჩამო-
შორდეს ქვეყნის სასიცოცხლო პროცესების მართვას.

როცა საკითხს ამდაგვარად ვაყენებთ, ზოგიერთები
გვსაყვედურობენ, პროკურატურას ნოსტალგია მოე-
ძალოთ. ნოსტალგია არაფერ შუაშია. საკითხის ამგვარად
დაყენებას ცხოვრება და რეალობა გვკარნახობს.
თავად განსაჯეთ: წინა პარლამენტმა 700-მდე კანონი
შიდაც, ეს კანონები რომ სრულყოფილად მუშაობდეს,
ქვეყანაში არავითარი სოციალური დაძაბულობის ფი-
ნი არ შეიქმნებოდა. სამწუხარო სწორედ ისაა, რომ ამ
კანონების შესრულებაზე კონტროლს და ზედამხედ-
ველობას არავინ ახორციელებს. უფლებაზე ზღუდეუ-
ლი პროკურატურა კი ამ ფუნქციას ვეღარ ასრულებს.

სწორედ ამიტომ ქვეყნის პრეზიდენტმა დააყენა სა-
კითხი პროკურატურის სათვის ფუნქციებისა და უფლე-
ბების რეალურად გაფართოების შესახებ. აღნიშნული
საკითხის დროულად გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შე-
უწყობს ხელს სახელმწიფო დისციპლინისა და კანონ-
იერების გამტკიცებას.

რასაკვირველია, ცივილიზებული, სამართლებრი-
ვი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზი-
დან არ უნდა გადაუხვიოთ, მაგრამ არც ის უნდა დაგვა-
ვიწყდეს, რომ ამ გზაზე სადავეების ერთბაშად მიშვე-
ბა არ შეიძლება. შექმნილი ვითარება გვიჩვენებს, რომ
გარე თუ შინა დესტრუქციული ძალები არ ცხრებიან,
იმუქრებიან საყოველთაო არეულობით, ტერაქტების
განხორციელებით და სხვა ათასი უბედურებით. აქე-
დან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოებრი-
ვი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში
წესრიგის განმტკიცება, კანონის უზენაესობის დამ-
კვიდრება და უზრუნველყოფა.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, მის-
მა სამმართველოებმა, განყოფილებებმა და ცალკეულ-
მა სამსახურებმა, ქვეყნის სხვა სამართალდამცავ ორ-
განოებთან ერთად, გასულ წელს გარკვეული დადები-
თი მუშაობა გასწიეს დამნაშავეობის წინააღმდეგ
ბრძოლისა და კანონიერების განმტკიცებისათვის. რაც
ყველაზე მთავარია, ქვეყანაში შენარჩუნებულია სტა-
ბილური მდგომარეობა.

საქართველოს შსს მონაცემებით 1999 წელს ქვეყანა-
ში დანაშაულობათა საერთო რაოდენობა შემცირდა
726-ით, ანუ 4,9 პროცენტით. მძიმე კატეგორიისა კი -
1009-ით, ანუ 19,5 პროცენტით.

შემცირებულია: მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღუ-
რი თავდასხმები, ძარცვა, არასრულწლოვანთა დანა-
შაული, ავტოტრანსპორტის გატაცება.

ამასთან, მომატებულია განზრახ მკვლელობა —

ერთით, ავტოსაგზაო დანაშაულობანი დაზარალებუ-
ლთა სიკვდილით — 62-ით, თაღლითობის გზით ქონე-
ბის მითვისება — 98-ით, ქურდობა — 45-ით.

14148 საერთო დანაშაულიდან განხილია 12531 ანუ
88,6%, ხოლო 4165 მძიმე დანაშაულიდან განხილია 3720,
რაც შეადგენს 89,3%. დანაშაულის განხილის ასეთი
მაღალი მაჩვენებლები კარგია, მაგრამ მის რეალობას
ეჭვისქვეშ აყენებს ზოგიერთი რეგიონის მონაცემები,
რაც მიგვანიშნებს მათ ხელოვნურ რეგულირებაზე.
ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხი მოითხოვს შ.ს.
სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ
ერთობლივ შესწავლას.

1999 წელს გაუსხველი დარჩა 1617 დანაშაული, მათ
შორის 33 განზრახ მკვლელობა, 170 ყაჩაღური თავდას-
ხმა, 63 ძარცვა, 7 ადამიანის გატაცება, 840 სხვისი ქო-
ნების ქურდობა, 60 ავტოსაგზაო დანაშაული ადამია-
ნის სიკვდილით, 28 სხეულის განზრახ მძიმე დაზიანე-
ბა, 78 ავტოტრანსპორტის გატაცება და ა.შ.

მძიმე დანაშაულობათა განხილის მხრივ დაბალი მაჩ-
ვენებლები გააჩნიათ 30-ზე მეტ ქალაქსა და რაიონს:
მათ შორის — ახმეტის, თელავის, ყვარლის, ასპინძის,
ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, დუშეთის, თერჯო-
ლის, წყალტუბოს, ხონის, ზუგდიდის, ოზურგეთის,
ლანჩხუთის რაიონებს.

განზრახ მკვლელობები დარჩათ გაუსხველი: საბურ-
თალოს რაიონში — 4, გორში — 3, ვაკისა და კრწანის-
ის რაიონებში — 2-2, მცხეთა-მთიანეთის ოლქში — 3.

დანაშაულობათა ბრძოლის ეფექტიანობას საგ-
რძობლად ამცირებს შინაგან საქმეთა ორგანოებში
ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული დანაშაულობა-
თა მიჩქმადვის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა,
რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიგვანიშნებს დანაშა-
ულობათა ხელოვნურ რეგულირებაზე. ზოგიერთ ქა-
ლაქსა და რაიონში საანგარიშო პერიოდში ზუსტად
იმდენი დანაშაული იყო რეგისტრირებული, რამდენიც
გასული წლის შესაბამის პერიოდში: მაგ., დანაშაუ-
ლობათა საერთო რაოდენობა: წალკაში — 44-44; მეს-
ხეთ-ჯავახეთის ოლქში — 406-406, აბაშაში — 101-101.

მძიმე დანაშაული: დმანისში — 12-12, რუსთავში —
79-79, კახეთში — 264-264;

ყაჩაღობა: ვანის რაიონში — 8-8, რაჭაში — 7-7, ჩო-
ხატაურში და სამხედრო უწყებებში — 4-4, სენაკის
რაიონში — 9-9;

ნარკომანია: ქობოლისის გლდანის რაიონში — 30-30,
დიდუბეთში — 31-31, ვაკეში — 46-46, მარნეულში — 29-29,
ხაშურში — 14-14, ყაზბეგსა და სიღნაღში — 9-9, წალენ-
ჯიხაში — 10-10, ხონსა და ყვარელში — 7-7, ბოლნისისა

და თეთრიწყაროში — 6-ს, ჩოხატაურში, ხარაგაულსა და ტყებულში — 3-ს.

მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება... ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ასეთ შემთხვევებში პოლიციის უფროსებთან ერთად, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ზემოთაღნიშნული ქალაქებისა და რაიონების პროკურორებსაც.

საანგარიშო პერიოდში პროკურორების მიერ სახელმწიფო აღრიცხვაზე დაყენებულია 590 დანაშაული, რომელიც შს ორგანოების მიერ ადრე არ ყოფილა რეგისტრირებული. მათ შორის 77 განზრახ მიჩქმალული, რაც გამოვლინდა გარდაბნის, ლავთეხის, ადიგენის, ახალციხის, სამეგრელოს საოლქო, საქართველოს ტრანსპორტის, ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურათა მიერ.

არც ერთი ასეთი დანაშაული არ გამოუვლენიათ გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, ზუგდიდის, სამტრედიის, ოზურგეთის, ბოლნისის, რუსთავის პროკურორებს.

მსუენდავად იმისა, რომ დანაშაულის სახელმწიფო აღრიცხვიდან დამალვისათვის პოლიციის მრავალი მუშაკი დაისჯა და გათავისუფლდა თანამდებობიდან, ეს მაგნიტ პრაქტიკა მაინც ვრძელდება.

გასულ წელს 6526 ძებნილიდან დადგენილია 3322 ანუ 51% პროცენტით.

რთული მდგომარეობაა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დაძებნის მსრიავეც, 388 ასეთი პირიდან დადგინდა მხოლოდ 63, ანუ 21,4 პროცენტით.

აღმაიანის უფლებათა დაცვის განმტკიცებისათვის პროკურატურის ორგანოების მიერ ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მართალია აღრინდელი მასშტაბით არაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მაინც ხდება წინასწარი დაკავების სტალიაზე აღმაიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები. თითქმის ყველა ასეთ ფაქტზე ვახდენთ სათანადო რეაგირებას. გასულ წელს პოლიციის ორგანოებში პროკურორების მიერ შეტანილია 1300-მდე წარდგინება, რის საფუძველზეც დისციპლინარული წესით დაისჯა 1638 თანამშრომელი. პოლიციის 74 მუშაკი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებაში.

ქვეყნის საგამოძიებო სამსახურების გამოძიებლებმა, რომლებსაც რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, დიდი წვლილი შეიტანეს დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მათ მიერ დროულად და კვალიფიციურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გაისხნა არაერთი მძიმე დანაშაული, ოპერატიულ სამსახურებთან თანამშრომლობით დაკავებ-

ბული და მიცემული იქნა პასუხისმგებაში მრავალი საშიში დამნაშავე.

საანგარიშო პერიოდში პროკურორებმა განახორციელეს საპროცესო ხელმძღვანელობა 7906 სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე, რომელთაგან პროკურატურის გამოძიებლებზე მოდის 2651, ანუ 33,5 პროცენტი. შს გამოძიებლებზე — 5124 (64,8 პროცენტი), სახელმწიფო უშიშროების სამსახურზე — 131 (1,7 პროცენტი).

საგამოძიებო ვადა დაირღვა: პროკურატურის ორგანოებში 771 საქმეზე (29,1 პროცენტი) დეპარტამენტის ორგანოებში 636 საქმეზე (17,6 პროცენტი).

ვადის დარღვევის ცუდი მაჩვენებლები აქვთ კახეთის სამხარეო პროკურატურას, ლანჩხუთის, გურჯაანის, გარდაბნის რაიონის პროკურატურებს.

დამატებით გამოძიებაში დაუბრუნდათ: პროკურატურას 51 საქმე (2,5%),

დეპარტამენტის ორგანოებს 81 საქმე (1,5%).

ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ლანჩხუთის, ქიათურის, ასპინძის, დუშეთისა და გურჯაანის რაიონის პროკურატურებში.

საქართველოს გენერალური პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას.

1999 წლის 6 დეკემბრის რადიონტერვიუს, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტმა კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომიზო ბრძოლა გამოაცხადა, ერთ-ერთი პირველი საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოეხმაურა, მტკიცედ დაუჭირა მხარი პრეზიდენტის ანტიკორუფციულ კურსს, სრული მზადყოფნა აღუთქვა მას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში და სახელმწიფოებრივ ინიციატივაში ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის შესახებ.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გააფრთხილა ყველა ქვემდგომი პროკურორი, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩება თავის ადგილზე, თუ ვფიქტიანად არ შეებრძოლება ისეთ კორუფციულ დანაშაულებს, როგორიცაა: მიქროტამეობა, კონტრაბანდა, საბიუჯეტო თანხების გატაცება, ვადასახადების დამალვა, ფალსიფიკაცია და სხვა ასეთი კატეგორიის დანაშაულობები.

ვიცი, რომ ეს არ არის ითლი საქმე, როგორც ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, საზოგადოების კორუმპირებულ ნაწილთან ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე შეიარაღებული ბანდიტების, მკვლელებისა და ტერორისტების იზოლირება, მაგრამ ამ ბიროტების დამარცხებაც შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე ასეთი კატეგორიული მოთხოვნება, გასულ წელს ამ მიმართებით გაწეული მუშაობა აშკარად არასაკმარისია, ვხვდებით მოჩვენებითობას, მაჩვენებლების შეღავათებას, დანაშაულობათა ხელოვნურ რეგულირებას, რაც თავისთავად არაეფექტიანს ხდის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამის საილუსტრაციოდ გავანალიზებ მხოლოდ მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას.

1999 წელს გამოვლენილია მექრთამეობის 43 შემთხვევა. ე.ა. მექრთამეობაში მხილებულია არანაკლებ 43 ადამიანი: მაგრამ ვინ არიან ეს პიროვნებები? უმეტეს შემთხვევებში, ესენი არიან საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანები. კონტროლიორები, საგზაო პოლიციელები თუ სხვა რიგითი მუშაკები, რომლებმაც მაკანს და მაკანს 50 თუ 100 ლარი ქრთამი გამოსძაღეს.

გამოვლენილი მექრთამეობის 43 დანაშაულიდან უმრავლესობა დაკვალიფიცირებულია როგორც ქრთამის მიცემაში წაქეზება. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ქრთამის ამღები არც ერთი პიროვნება არ არის დადგენილი. გამოძიების პროცესში დანაშაული კვალიფიცირდება როგორც თავლითობა.

ფაქტობრივად, ხდება საქმეთა აღძვრა არასწორი კვალიფიკაციით იმის გამო, რომ ვიღაცამ ჩაითვალოს მექრთამეობის დანაშაულის გამოვლენა და შექმნას იმის ილუზია, რომ იბრძვის ამ დანაშაულის წინააღმდეგ. გასულ წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილულია მექრთამეობის მხოლოდ ერთი საქმე.

პროკურორებმა არ უნდა დაუშვან საქმეთა აღძვრა არასწორი კვალიფიკაციით. ვის ინტერესებშია უნდა შედიოდეს დანაშაულის ხელოვნურად დარეგულირება, ვფიქრობ. ეს საკითხი სპეციალური შესწავლისა და განხილვის საგანი უნდა გახდეს, მით უმეტეს, გენერალური პროკურორი ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებს და ყურადღებას ამახვილებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, იგი უნდა მოიცავდეს ამ ცნებაში ნაგულისხმევ აზრსა და შინაარსს, თანამდებობის პირის დანაშაულებრივ ქმედებას, მის მიერ ანგარებითი მიზნით სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

დანაშაულთა ხელოვნურ დარეგულირებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შარშან მრავალ ქალაქსა და რაიონში გამოვლენილია მექრთამეობის ზუსტად ის რაოდენობა, რამდენიც იყო წინა წლებში. მაგალითად, თბილისში გამოვლენილია 6, 1998 წელსაც იყო 6, ქვემო ქართლში 4, იყო 4, შიდა ქართლში 1, იყო 1, კახეთში და მცხეთა-მთიანეთში 3, 3, იმერეთში 2, 2, გურიაში 1, 1.

ხოლო სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში არც ერთი არ არის და არც წინა წელს ყოფილა.

ოლქების, ქალაქებისა და რაიონების პროკურორებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ პოლიციის ორგანოებში კორუფციის შესახებ შესული განცხადებებისა და შეტყობინებების განხილვას, სადაც ზოგჯერ თვეებით ქიანურდება მასალების შემოწმება, იღებენ დაუსაბუთებელ და უკანონო გადაწყვეტილებებს. არ ხორციელდება სათანადო საპროკურორო ზედამხედველობა საგზაო პოლიციის, საპასპორტო-საგზო და ადმინისტრაციული პოლიციის სხვა სამსახურებში მოკვლევის კანონიერებაზე, მხედველობაში გვაქვს გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, გურჯაანის და ზოგიერთი სხვა რაიონის პროკურატურები.

ზოგჯერ ვხვდებით კორუფციული ხასიათის მასალების შემოწმებისა და საქმეთა გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურების შემთხვევებს პროკურატურის ორგანოებშიც.

მაგალითად, დუშეთის რაიონის პროკურატურაში 1999 წლის 28 სექტემბერს აღიძრა საქმე სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის ვ. წამალაიძის მიმართ, რომელმაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებით მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა ორგანიზაციას. დუშეთის რაიონის პროკურორის თანაშემწე ი. თოთიაურმა სამი თვის განმავლობაში უსაფუძვლოდ გააჭიანურა გამოძიება.

კორუფციული დანაშაულის არაერთი რეზონანსული საქმე გამოიძია გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა და ამჟამად წარმოებაში აქვთ რთული და მრავალეპიზოდური საქმეები.

დამთავრდა გამოძიება თბილისის სასამართლო ინსპექციის უფროსის ზ. ფუტყარაძისა და მთავარი ბუღალტრის დ. ხარებაგას მიმართ, რომლებმაც ბიუჯეტს დაუმაღლეს დიდი რაოდენობით მოგების გადასახადი.

სასამართლოში განსახილველად წარმართულია საქმე თბილისის არქიტექტურის დეპარტამენტის თანამშრომლების თ. ცანავასა და ტ. ჩაგოთას მიმართ, რომლებმაც მიწის ნაკვეთის გამოყოფისათვის მოქალაქე ქრთამი გამოსძაღეს.

ასევე დამთავრდა გამოძიება და სასამართლოში წარმართა საქმე თ. გელაშვილის მიმართ, რომელმაც საქონლის განბაჟებისათვის მოქალაქეებისაგან ქრთამი აიღო.

წარმოებაშია საქმე ბ. ლევინის მიმართ, რომელმაც სპირტის ბიზნესიდან მოგებული თანხების გადაუხდელობით და საბაჟო ორგანოების მოტყუებით საქართველოს ბიუჯეტს მიაყენა 59 მილიონი დოლარის ზარალი.

ასევე წარმოებაშია საქმე კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ფ. ინჯიას და სხვათა მიმართ.

1999 წლის წიგლისს აღიძრა საქმე საქართველოს საზღვაო სანაოსნოში გამოვლენილ სამართალდარღვევათა ფაქტებზე. სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის მიერ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები როგორც საქართველოში, ასევე დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში. დაიკითხა არაერთი მოწმე სხვადასხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან, მოპოვებულია სანაოსნოს საქმიანობის ამსახველი და სხვადასხვა წლებში ჩატარებული რევიზიის მასალები.

დადგენილია, რომ ძალადი თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით წლების მანძილზე მიმდინარეობდა საზღვაო სანაოსნოს კუთვნილი თანხების გატაცება, გაფლანგვა და მითვისება, რის შედეგადაც სახელმწიფოზე მიყენებული ზარალის რაოდენობამ უკვე 120 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

საქმეზე წინასწარი გამოძიების გარკვეული ეტაპი უკვე დასრულდა. დღეის მდგომარეობით შეკრებილია საკმაოდ მტკიცებულებები თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებში მიხატვამდე. თანამდებობის ერთ-ერთ პირზე გაცემულია დაბრძანების ბრძანება და გამოცხადებულია ძებნა.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულთა ერთი ნაწილი უცხოეთის მოქალაქეა, ნაწილი სარგებლობს სადეპუტატო იმუნიტეტით, ხოლო ზოგიც, მართალია, საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ უცხოეთში იმყოფება, მუშავდება შესაბამისი ღონისძიებები მათი პასუხისმგებში მიცემის უზრუნველსაყოფად.

მცნეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის წარმოებაშია საქმე „სიონჰეის“ ყოფილი ხელმძღვანელების ი. ქაჩლიშვილის, თ. კერვალიშვილის და თ. ბიბილურის მიმართ, რომლებიც იმხილებიან განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში.

ქ. თბილისის პროკურატურის წარმოებაშია საქმე კულტურის სამინისტროს მიერ დოკუმენტების გაყალბების გზით განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 800 ათასი ლარის საბიუჯეტო თანხების დატაცების ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებში მიცემულია შპს „ინგახოს“ ხელმძღვანელი ი. ბერძენიშვილი და მისი თანამონაწილე გ. სვანიძე.

გორის რაიონის პროკურატურაში წარმოებს გამოძიება სოცურუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის განყოფილებაში გამოვლენილ დარღვევებზე. გამოძიებით დადგენილია, რომ განყოფილების უფროსმა ტ. ნასყიდაშ-

ვილმა არამიზნობრივად გახარჯა პენსიების გასაცემად გამოყოფილი 35.000 ლარი.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სააქციო საზოგადოება „თბილსრესის“ თანამდებობის პირების მიმართ აღძრულ საქმეზე. გამოძიებით დადგენილია „თბილსრესში“ 4581 ტონა მაზუთის დანაკლისის არსებობა და 5 მილიონ 700 ათასი ლარის ღირებულების წმ. მწ. ბუნებრივი აირის ზედმეტად ჩამოწერის ფაქტი.

იმერეთის საოლქო პროკურატურაში გრძელდება გამოძიება შპს „ვომბორის“ დირექტორის ი. მენრაშვილის მიმართ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით დიდი ოდენობით საბაჟო გადასახადების სავან თავის არიდებისა და სხვა დანაშაულოთა ჩადენასთან დაკავშირებით.

ყველა ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტი, ძირითადად, გადასახადებით იკვება, მოგების გადასახადის დამალვა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულად ითვლება და მკაცრი სასჯელებიცაა გათვალისწინებული.

ჩვენს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კი ისეთი ხარვეზებია, რაც ხელს უშლის დამნაშავეთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებას.

ამ სფეროში კანონის ლიბერალიზაცია კარგს არაფერს მოგვითმის, პირიქით, დააზიანებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხელს შეუწყობს კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის გავრცელებას განუითარებას.

ამის მაგალითები უკვე ვვაქვს. 1994 წლის 15 თებერვლიდან მოქმედებდა სსკ 160-ე მუხლი, რომლითაც დიდი ოდენობით მოგების ან დასაბეგრი ქონების დამალვა ისჯებოდა ჯარიმით, შრომის ანაზღაურების აკმაღი მინიმალური ოდენობით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვა — თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო გადასახადის თავის არიდებისათვის მრავალი დამნაშავე გასამართლდა, ხოლო ქვეყნის ხაზინაში ასეულ ათასობით ლარი შევიდა.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სრულიად სამართლიანი კანონი 1997 წლის 17 ოქტომბერს რატომღაც შეიცვალა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახადის დიდი ოდენობით დამალვა შეადგენდა 25 ათასიდან 50 ათასამდე ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვა — 50 ათას ლარზე მეტს. სამწუხაროდ, ამ ცვლილებებით მოგების ან გადასახადით დასაბეგრი ობიექტების დამალვა საერთოდ დაუსჯე-



ლი გახდა. 25 ათასი ლარის რაოდენობით სახელმწიფო გადასახადი რომ დაიძალის, დასაბუღრად დამალული საქონლის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 400-500 ათას ლარს, რაც ჩვენს სინამდვილეში იშვიათი მოვლენაა.

გვესმის, რომ შემოსავლების დამალვისათვის ყველა დაბატომრებული და გასამართლებული ვერ იქნება, მთავარია თანხების ამოღება ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ ზედმეტად შეარბილა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ ფართოდ გავრცელებული დანაშაულის ჩადენისათვის და ხელი შეუწყო დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებას.

ერთი წლის შემდეგ, 1998 წლის 28 ნოემბერს კვლავ შეიცვალა ეს კანონი. გადასახადების დიდი ოდენობით დამალვა ან შემცირება იხჯება ჯარიმით ათასიდან ათას ორას ლარამდე, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით, იხჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე, ან ჯარიმით ორიათასიდან, ორიათას ხუთას ლარამდე.

შეიძლება ითქვას, რომ ეს უნებლიე თუ წინასწარ განზრახ მთავრებული საკანონმდებლო ღონისძიება კი ვაქმოსწორდა, მაგრამ არავის არ დაუანგარიშებია და არაუან დაინტერესებულა თუ ამგვარმა მოქმედებამ რა ზარალი მიაყენა ერთი წლის მანძილზე ქვეყნის ბიუჯეტს.

ანალოგიური მდგომარეობაა საბაჟო გადასახადებისაგან თავის არიდების საქმეშიც. სსკ 160^ე მუხლი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატების სახით შეტანილია 1997 წლის 12 დეკემბერს მუხლის პირველი ნაწილის, — საბაჟო გადასახადებისაგან დიდი ოდენობით თავის არიდება, — სანქცია განისაზღვრა ჯარიმით 300-დან 700 ლარამდე, ხოლო მეორე ნაწილის — ამ დანაშაულის ჩადენა განმეორებით — სანქცია განისაზღვრა ჯარიმით 800-დან 1200 ლარამდე.

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის 23 ნოემბერს შეტანილი ცვლილებებით ამ მუხლის სანქციები შედარებით გამკაცრდა — პირველი ნაწილი — ჯარიმა 700-დან 1000 ლარამდე, მეორე ნაწილი, — 1200-დან 1500 ლარამდე ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით, — მისი დასჯით და პროფილაქტიკური მნიშვნელობა მაინც არაფეჭტიანია.

ამ მუხლით აღძრული საქმეების ანალიზმა ცხადყო, რომ ამგვარი სანქციები მაინც ვერ იქცა ამ ფართოდ გავრცელებული დანაშაულის აღკვეთის დამამურნუქებელ ფაქტორად. ურჩი მეწარმეები მაინც ასერნებენ თავის დაძვრენასაც და ბიუჯეტის თანხების მითვისებასაც.

სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას ხელს უშლის ქვეყანაში ტვირთების დროებითი შემოტანაც, რომელიც კანონის თანახმად თითქმის გათავისუფლებულია გადასახადისაგან. ამას ერთვის იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ხელოვნურად შემცირებაც და ამავე საქონლის შეღავათიანი საბაჟო რეჟიმებით — რეექსპორტითა და ტრანზიტით გაფორმებაც. აქ მაქინაციის უამრავი ფორმაა, განსაკუთრებით კი კონტრაბანდული ვაჭით საქონლის შემოტანისა.

ყველა ჩამოთვლილ დარღვევაზე შევიტანეთ არაერთი წარდგენება, რომლებშიც პრინციპულად დაგაცენეთ საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის დამრღვევ პირთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების მოთხოვნები, მაგრამ, სამწუხაროდ, ანალოგიური დარღვევები კვლავ მეორდება.

ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით საქართველოში 50 ათასზე მეტი ნარკომანი და ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელია. რა თქმა უნდა, ეს რიცხვი ზუსტი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნარკომანთა რაოდენობა რეალურად გაცილებით მეტია და პრაქტიკულად ნარკომანთა არამართო ქალაქებში, არამედ ზოგიერთ შორეულ სოფელშიც კი შეაღწია, დამეთანხმებით, რომ ერის მომავალი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. თუ ამ საშინელ სენს რეალურად არ დავუბრისბირთ სამართლებრივი, სამედიცინო, სოციალური და სხვა სახის კომპლექსური ღონისძიებები, ხვალ უკვე გვიან იქნება.

აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია ის დიდი ყურადღება, რასაც პირადად გენერალური პროკურორი და პროკურატურის კოლეგია იჩენს ამ პრობლემისადმი. მაგრამ სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორის მიმართ, სადაც არ იგრძნობა, რომ მათ ეს პრობლემა აწუხებთ. შარშან ქვეყნის 30-ზე მეტ ქალაქსა და რაიონში არ გამოვლენილა ნარკოტიკების რეალიზაციის არც ერთი ფაქტი. მაგ. სამტრედიისში, ყვარელში, დედოფლისწყაროში, ახალციხეში და სხვაგან.

საერთოდ, 1999 წელს პოლიციის ორგანოებმა ნარკომანიის 1367 დანაშაული გამოავლინეს, რაც 149 ერთეულით მეტია წინა წელთან შედარებით. აქედან 220 ნარკოტიკების გამსაღებელია (რაც 18 ერთეულით მეტია), მათ შორის, გამოვლენილია ავადმყოფი და ინვალიდი ადამიანები, მოხუცები, მრავალშვილიანი დედები, ხოლო მათი მომხმარებლები — მსხვილი ნარკოგამსაღებლები კი, ფაქტობრივად დაუსჯელი რჩებიან.

საქართველოს ახალ გეოპოლიტიკურ სტატუსს

სსკგზე ადრე ნარკობიზნესმა აულო ალლო. მის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე საბაჟო დეპარტამენტის ნარკობიზნესთან ბრძოლის სპეციალურმა სამსახურმა ნარკოტიკების კონტრაბანდის მხოლოდ 5 უმნიშვნელო, ხოლო უშიშროების ორგანოებმა 5 ფაქტი გამოავლინეს.

ასეთი მუშაობით, როცა ქვეყანაში ისედაც მოშლილია ამ სენის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ქსელი, ცხადია, სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ.

არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობა პროკურატურის ორგანოებისათვის კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. როგორც ყოველთვის, დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათი კონსტიტუციური უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას. 1999 წლის წმინდან პროკურატურის ორგანოების ქვემდებარე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროკურატურის ორგანოების დატვირთვა, რაც მოითხოვს გამოძიებისა და წინასაგამოძიებო შემოწმებების კიდევ უფრო სრულყოფას და, შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით სამართლებრივი რეფორმის პირველი შედეგები დამაიმედებელია. 1999 წელს მოზარდთა შორის დამნაშავეობის 62 ერთეულით კვლევის ფონზე, გაუმჯობესდა ყველა ძირითადი საგამოძიებო მაჩვენებელი; არ დაფიქსირებულა არცერთი უკანონო დაპატიმრება და უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, არ დამდგარა არც ერთი გამამართლებელი განაჩენი.

თუმცა ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება მოზარდთა შორის მათხოვრობის, მაწანწალობის, ნარკომანიის და პროსტიტუციის მდგომარეობა.

არასრულწლოვანთა დანაშაული მომატებულია წმინდა რაიონში, მათ შორის: მარნეულში, დმანისში, თიანეთში, ყვარელში, ზუგდიდში, ტყიბულში.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემები, მათი ბრალდების საქმეები განსაკუთრებული კატეგორიისა, რაც დროულ, კვალიფიციურ და ობიექტურ გადაწყვეტას მოითხოვს.

ჩვენდა სავალალოდ მოზარდთა შორის კვლავ გავრცელება განზრახ მკვლელობების, ყაჩაღობის, ძარცვის ფაქტები. აქედან გამომდინარე ადგილებზე ქაღალაქებისა და რაიონების პროკურორებმა თავიდანვე უნდა მიიღონ გადაამჭრელი ზომები არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთა-აცხადებისათვის, მათი კა-

ნონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვისათვის.

1999 წელს საქართველოს **სამხედრო პროკურატურის** მიერ ჩატარებულია გარკვეული დადებითი მუშაობა სამხედრო ძალებში კანონიერების განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

აღიძრა 2020 სისხლის სამართლის საქმე, დამთავრდა გამოძიება 934 საქმეზე.

სასამართლოში წარმართულ 587 საქმიდან 386, ხოლო შეწყვეტილ 347 საქმიდან — 288, სამხედრო ნაწილების თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობის ფაქტებზე იყო აღძრული.

აღნიშნული საკითხი გასული წლის მინიჭარს განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიაში.

გენერალურმა პროკურორმა ყურადღება გაამახვილა დეზერტირობის ფაქტებზე აღძრულ საქმეთა გარემოების შეცვლის მოტივით შეწყვეტის ზრდის დაუშვებლობაზე და წინადადება მისცა პროკურორებს საქმეები წარემართათ სასამართლოებში განსახილველად. ამასთანავე, მოითხოვა მარეაბილიტრებული მოტივებით (ძირითადად ავადმყოფობის გამო) დეზერტირობაში მართ საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სამართლებრივი შეფასება მისცემოდა თანამდებობის პირთა იმ ქმედებას, რაც საფუძვლად დაედო საქმის აღძვრასა და ზოგჯერ მოქალაქეთა უკანონო პატიმრობას.

სამხედრო პროკურატურის მიერ გამოძიებულია არაერთი რეზონანსული საქმე, ამჟამად წარმოებაშია საქმეები თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთა მიერ კორუფციული ხასიათის დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე.

მისაღწეველია თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის პოზიცია, ესინი თავიანთი ინიციატივით ავლენენ უწყებაში დანაშაულს და გადასცემენ სამხედრო პროკურატურას, მათ მიერ გადაზღვანილი მასალების საფუძველზე. 1999 წლის 17 ნოემბერს აღიძრა საქმე თავდაცვის სამინისტროსა და „ქართული ჯარის თანადგომის საზოგადოება“-ს შორის 5,000,000 ლარის საქონლის მიწოდების შესახებ, რის შედეგადაც თავდაცვის სამინისტრომ 1,400,000 ლარის ზარალი განიცადა.

1999 წლის 6 დეკემბერს აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება საქმეზე თავდაცვის სამინისტროს სახაზინო სამმართველოში საფინანსო დარღვევის ფაქტებზე, რომელთა შედეგად 1 მლნ. ლარზე მეტი თანხა გატანილია ნაღდი ანგარიშსწორებით სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობათა შესაძენად, რომლის შეძენის რეალობა ეჭვს იწვევს. ვფიქრობთ მოკლე დროში დამ-



თავრდება აღნიშნულ საქმეთა გამოძიება და დამნაშავეები პასუხს აგებენ კანონის შესაბამისად.

ბედის უკუღმართობისა და სეპარატივისთა დროებითი წარმატების გამო საქართველოს სადღეისოდ დაკარგული აქვს სისხლხორცეული ტერიტორია — აფხაზეთი. იმ სამას ათას დევნილთა შორის, რომლებიც მშობლიურ კერას მოსწყდნენ, არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებიც, ისინი რთულ პირობებში მუშაობენ, მაგრამ არ ჩივიან, არ წუწუნებენ. მართლმდენ გალის რაიონის მოვლენებთან დაკავშირებით მათ დაჰკითხეს 5.000-ზე მეტი მოწმე, ჩაატარეს 100-ზე მეტი სხვადასხვა ხანის ექსპერტიზა, 150-მდე ამოცნობა და სხვა საგამომძიებო მოქმედებები, მთავრად გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, მათ შორის გალის რაიონის ტერიტორიაზეც, სიცოცხლის რისკის ფასად.

აფხაზეთის პროკურატურის მუშაკების აქტიური მონაწილეობით 1999 წლის 6-7 ივლისს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია-სემინარი სახელწოდებით „გენოციდი და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღი“, რა დროსაც წარდგენილი იყო გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები. ფოტო-ვიდეო მასალები და სხვა დოკუმენტები. მოხსენება გააკეთა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ბატონმა ჯამალთა ბაბილა შვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზეთში ჩადენილია უმძიმესი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და მისი შემადგენლობა შეიცავს გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ნიშნებს, ამასთან დაკავშირებით გამოცხადდა სპეციალური კრებულები, ხოლო გენოციდის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა შეყვანილია ინტერნეტის ქსელში, რამაც საქართველოს პრეზიდენტის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ძალზე რთული ვითარებაა გალის რაიონსა და კოდორის ხეობაში, ორივეგან კრიმინოგენური მდგომარეობა თითქმის უმართავია. კოდორის ხეობაში მოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის ადამ-წესები და სისხლის აღების ნიადაგზე კვლავ ხდება მკვლელობები. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ გამაოგნებელმა დანაშაულებებმა, რომლებიც შარშან ჩაიდინეს კრიმინალებმა ჯერ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელების, შემდეგ კი გაეროს სამხედრო დამკვირვებლების გატაცებისას. სამწუხაროდ, ეს დანაშაულობანი გაუსწეულია.

სოლიდური მუშაობაა გაწეული კორუფციისა და სრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ, გამოვლენილი,

გამომძიებელია და ქვემდებარებით სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილია საქმეები ფულადი სახსრების დატაცებაზე, კონტრაბანდაზე, მექროთა-მეობაზე, გადასახადების დამალვაზე და სხვა კატეგორიის დანაშაულებებზე. აფხაზეთის პროკურატურის მუშაკები თვითკრიტიკულად აღნიშნავენ მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე, მაგრამ მე მათზე შეგნებულად არ შევჩერდები, იმაზედაც მადლობა ეთქმით, რასაც ასწრებენ, რასაც ახერხებენ.

ეს არც რევერანსებია და არც გულის ამაჩუყებელი ქათინაურები. ხშირად შეგვინიშნავს, — აფხაზეთის ხსენებაზე დღესაც მათ თვალეში ცრემლი იღვწითება, ღმერთმა ქნას მალე მათი სიხარულის ცრემლი დაგვენახოს, იქ აფხაზეთში, საკუთარ სახლში, მშობლიურ ძირძველ მიწაზე.

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა თავის საქმიანობას აქტიურად წარმართავს კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულობათა წინააღმდეგ. გამოვლენილია ამ კატეგორიის 111 დანაშაული.

შარშან, წინა წლებთან შედარებით, კორუფციულმა და ეკონომიკურმა დანაშაულმა მოიმატა 28 ერთეულით, საქმეები, ძირითადად, აღიძრა პროკურატურისა და სატრანსპორტო პოლიციის მიერ გამოვლენილი მასალების საფუძველზე.

ბოლო წლებში სატრანსპორტო პროკურატურაში გამოძიებით დამთავრდა და სასამართლოში წარამართა კორუფციული დანაშაულის ფართო რეზონანსის მქონე არაერთი საქმე. ამჟამად, თბილისის საოლქო სასამართლოს განხილვაში „საქართველოს რკინიგზის“ კომერციული სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის ვ. ბლიაძის და მისი თანამშრომლების ვ. კაშიასა და მ. მეტრეველის ბრალდების საქმე, რომლებმაც მიითვისეს რკინიგზის კუთვნილი 481 ათასი ლარი. ფოთის სასამართლოს განხილვაშია ვ. დოღობაის ბრალდების საქმე, რომელმაც ბიუჯეტში არ შეიტანა 230 ათასი ლარი. გამოძიების პროცესში მისგან ამოღებულია 145 ათასი ლარი. სულ კი დამნაშავეები სავან, რომელთაც სახელმწიფოს მიაყენეს 1 მილიონ 35 ათასი ლარის ზარალი, ამოღებულია 148 ათასი, რაც არასაკმარისია.

ქვეყანაში ფართო ხასიათი მიიღო ფალსიფიცირებული კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოება-რეალიზაციამ. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას სატრანსპორტო პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სატრანსპორტო ობიექტებზე განლაგებული მცირე საწარმოები, კვების პროდუქტებს ყიდთან ანტიხანიტარიულ პირობებში, სადაც გა-

მოვლინდა ათაშანვით დაავადებული 5 მოქალაქე.

შარშან სატრანსპორტო პროკურატურამ ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ისეთი საშიში დაზარალების წინააღმდეგ ბრძოლას, როგორცაა რკინიგზის ბლოკირება. 1998 და 1999 წლებში ამ დაზარალებული მიყენებულმა ზარალმა 1 მილიონ ლარს გადააჭარბა. უმთავრესად რკინიგზის მაგისტრალის ბლოკირება გამოწვეული იყო ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობით, ელექტროენერჯის მიუწოდებლობით და სხვა სოციალური პრობლემებით, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ რკინიგზასთან. სატრანსპორტო პროკურატურისა და პოლიციის ერთობლივი ღონისძიებებით, ფაქტობრივად, აღიკვეთა რკინიგზის მაგისტრალის ბლოკირების შემთხვევები.

ქვეყანაში განხორციელებულმა სასამართლო რეფორმამ და ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ არსებითად შეცვალა პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმძღობის როლი. პროკურორი ვახდა სასამართლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ფიგურა მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევისას, რომლის კვალითაც იცურება და პრინციპულადაა დიდდება დამოკიდებული სასამართლოში საქმეთა განხილვის შედეგები.

შარშან, უშუალოდ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სამმართველოს პროკურორებმა სხვადასხვა ინსტანციაში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა განახორციელეს 600-ზე მეტ საქმეზე.

1999 წლის მანძილზე ქვეყნის სასამართლოებმა განახილეს გამოტანით განხილეს 5640 საქმე 6881 პირის მიმართ. 1998 წელთან შედარებით საქმეთა ოდენობა გაზარდილია 33% ერთეულით. მსჯავრდებულთაგან თავისუფლების აღკვეთა მიესჯა 3196 პირს, ანუ მსჯავრდებულთა 46,1 პროცენტს.

დასჯითი პრაქტიკა დაბალია ახალციხეში, ხარაგაულში, ჭიათურაში, ამბროლაურში, ახალქალაქში, ოზურგეთში. დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების ზედამხედველობის წესით გასაჩივრებას, რის გამოც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს პროკურორთა მიერ უკანონო სასამართლო აქტების საბეულოდ და საკასაციო ვადაში გასაჩივრება.

სახელმწიფო ბრალმძღობის საკასაციო საჩივრებით, შარშან, გაუქმდა უზენაესი სასამართლოს სამი უკანონო განაჩენი და განჩინება. სულ პროკურორთა საბეულოდ და საკასაციო საჩივრებით გაუქმდა და შეიცვალა 31 განაჩენი 37 პირის მიმართ.

პროკურორების საჩივრების გარეშე, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევის გამო,

შარშან გაუქმდა: თიანეთის, მარტვილის, ოზურგეთის, გურჯაანის, ბათუმისა და კრწანისის რაიონის სასამართლოების განაჩენები, რაც შესაბამისი პროკურორების მხრიდან მიხედვით საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

შარშან პროკურორებს არ გაუსაჩივრებიათ არც ერთი განაჩენი: ჭიათურის, ახალციხის, ფოთის, ზობის, თერჯოლის, ახალქალაქის, ქარელის, ხაშურის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ლავოდეხისა და სხვა რაიონებში.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ უბანზე არსებული დარღვევები ყოველი მათგანის უმკაცრესი რეაგირების საგანი უნდა იყოს.

სახელმწიფო ბრალდებისა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველო, ახორციელებს საპროკურორო ზედამხედველობას წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე და პატიმართა კანონით გარანტირებულ უფლებათა დაცვაზე. საგამოძიებო იზოლატორებში ვსვდებით საგამოძიებო და საპატიმრო ვადების დარღვევის, სასამართლოებიდან განაჩენების დაგვიანებით გადმოვზავების ფაქტებს. სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადების სისტემატური დარღვევა, განაჩენების და ბრძანებების საგამოძიებო იზოლატორში დიდი დაგვიანებით გაგზავნა ლახავს ბრალდებულთა და განსახილველთა კანონიერ უფლებებს. იწვევს პატიმართა უკმაყოფილებას, ძაბავს ოპერატიულ ვითარებას საგამოძიებო იზოლატორებში. შარშან სახელმწიფო პროკურორების დაწესებულებებიდან სხვადასხვა მოტივით გაათავისუფლდა 4603 მსჯავრდებული. აქედან, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალებით, 3338 მსჯავრდებული.

სამწუხაროდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორებში უხეშად ხელყვეს პატიმართა კანონით გარანტირებული უფლებები. კერძოდ, 1999 წლის 1 ოქტომბერს № 1200 განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 1757 მსჯავრდებული. ეს პროცესი ყველაგან ნორმალურად წარიმართა გარდა აჭარისა. 2 ოქტომბერს შეიწყალებულია დოკუმენტაცია უკვე ჩატანილი იყო ბათუმში, № 3 იზოლატორიდან კი 25 შეწყალებული გაათავისუფლეს მხოლოდ 1 ოქტომბერს. ამასთან, მსჯავრდებული მერაბ მჭვარიშვილი გაათავისუფლეს 20 დღის უკანონო პატიმრობის, ხოლო ნიკოლოზ გუგუშვილი 1 თვისა და 25 დღის უკანონო პატიმრობის შემდეგ, კალენდარულად სას-

ჯგუფობის იოსებ მამულაძე ვაათავისუფლეს 1 თვე უკანონო პატიმრობის შემდეგ. რაც შეეხება თენგიზ ასანიძეს, იგი ამჟამად იმყოფება უკანონო პატიმრობაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ამგვარი მოქმედება აშკარად სცილდება მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს.

1999 წლის დეკემბერს აჭარის არ. პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საგამოძიებო ოზონატორში უკანონოდ მოთავსებულ თენგიზ ასანიძის მიმართ სსკ 19-133-ე მუხლის მეორე ნაწილით.

აღნიშნული საქმის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უხეშად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის I ნაწილის “ნ” პუნქტის მოთხოვნა, ვინაიდან არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 20 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო დავით ასანიძისა და სხვათა მიმართ, რაც თავისთავად გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესაძლებლობას თ. ასანიძის მიმართ. შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო შინაარსი შეიძინა ჩატარებულმა შემდგომმა ყველა საგამოძიებო მოქმედებამ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1999 წლის 29 დეკემბერს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ აჭარის არ. პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ გივი აბაშიძეს გაეგზავნა წერილობითი მითითება თ. ასანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მისი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით.

მიუხედავად ამისა, როგორც თქვენთვის ცნობილია, თ. ასანიძე კვლავ იმყოფება უკანონო პატიმრობაში.

დასამალი არაა, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გავრცელებულია ტუბერკულოზი და სხვა დაავადებები. პრესა, ტელევიზია ხშირად მწვავედ რეაგირებენ ავადმყოფ პატიმართა მდგომარეობაზე.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა დეპარტამენტი, რომელიც მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, შსს-დან გადავიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს პატიმართა პირობები, მათი მკურნალობა, მედიკამენტებით მომარაგება, რაშიც დიდ დახმარებას უწევს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებების იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადასვლა ახალი ამოცანების წინაშე აყენებს პროკურორებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ არსებული პრობლემების დადებითად გადაწყვეტას.

პროკურატურამ, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, უნდა იბრძოდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამკვიდრებული ისეთი მანკიერი პრაქტიკის წინააღმდეგ, როგორცაა სახელმწიფო აღრიცხვიდან დანაშაულის დამალვა და ამით სტატისტიკური მონაცემების შელამაზება, რაც, საერთო ჯამში, ენებს სახელმწიფო ინტერესებსა და მსჯავრებულებს შორის ნერვავს და უსჯულობის სინდრომს.

მინდა საკუთარ პრობლემებზეც ვაფამახვილო ყურადღება, საქმე ეხება პროკურატურის მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებას, ამ მხრივ სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა პირობები, შედარებით თუ გაუმჯობესდა, პროკურატურის მუშაკთა საშუალო ხელფასი 35-40 ლარია, ყოველდღიურად თავს გვახსენებს და ხელს გვიშლის მუშაობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე. ბევრი რაიონისა და ქალაქის პროკურორს არა აქვთ სამსახურებრივი მანქანა, არა აქვთ საწვავი, უსახსრობის გამო თანამშრომლები ვერ მიდიან მივლინებებში. ყოველივე ეს კი იწვევს კადრების დენადობას, მიდიან სამუშაოდ კერძო სტრუქტურებში, დასაწყისად, რომ ვასულ წელს პროკურატურიდან საკუთარი ნება-სურვილით გათავისუფლდა 80 თანამშრომელი. მათი უმრავლესობა კვალიფიციური მუშაკები იყვნენ.

ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. ქართველი ინტელიგენციისა და მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად უჭერს მხარს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მიიჩნევს მას უაღტერნატივო კანდიდატად და სურს კვლავ მას ჩააბაროს ქვეყნის მართვის უფლებამოსილება, რათა შეძლოს როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ასპარეზზე აღებული კურსის წარმატებით დასრულება, მაგრამ უკვე გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ქმნიან ისტერიულ ფონს, საუბრობენ კონსტიტუციაში ცვლილებებზე, არჩევნების ბოიკოტზე და სხვა.

პროკურატურა დეპოლიტიზებული ორგანოა, ჩვენ არ ვერავით პოლიტიკურ ბატალივებში, მაგრამ სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, ყველა ზომებს მივიღებთ არჩევნების კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად ჩატარებისათვის.

ნუშვარ ბაბრიჩიძე,
საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე,
იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.

საკონსტიტუციო სამართალი

გია ხუბუა

ფედერალიზმი და ავტონომია

1. ავტონომიის ცნების საკითხისათვის

ავტონომია ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ნიშნავს „თვითკანონმდებლობას“. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ავტონომია მოიცავს განსაზღვრულ სამართალშემოქმედებით უფლებამოსილებებს, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამართლის ნორმათა გამოცემის გზით ახორციელებს სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ რეგულირებას.¹ ამ თვალსაზრისით, ავტონომია გულისხმობს ობიექტური სამართლის ზოგად-სავალდებულო ნორმების დადგენის უფლებამოსილებას.² საერთაშორისო სამართალში ავტონომია ნიშნავს სახელმწიფოს რომელიმე (ტერიტორიული) ნაწილის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებების დამოუკიდებლად განხორციელებას იურიდიული ნორმების გამოცემის გზით. ავტონომიის საერთაშორისო-სამართლებრივი გაგებისათვის მთავარია, რომ შესაბამისი ტერიტორია, ფართო თვითმმართველობის მიუხედავად, არ იძენს სახელმწიფოს ნიშნებს.³

„ავტონომია“ წარმოადგენს იურიდიულ,

ლეგალურ კონცეფციას.⁴ ამიტომ, ავტონომიის ცნება განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციაში. ავტონომიის ცნების რამდენადმე დიფერენცირებული შინაარსის მიუხედავად, იგი ძირითადად გულისხმობს ტერიტორიულ თვითმმართველობას, როდესაც ავტონომიური რეგიონი ნაწილობრივ დამოუკიდებელია ნაციონალური, ცენტრალური მთავრობის გავლენისაგან და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს.

ავტონომიის შინაარსს აყალიბებს რეგიონის ან რომელიმე ჯგუფის განსაკუთრებული პოლიტიკური სტატუსი. შესაბამისად, ავტონომიის აუცილებელი წინამძღვარია ჯგუფის ეთნიკური და კულტურული განსაკუთრებულობის და თავისთავადობის აღიარება. ამავე დროს, ავტონომიას შეიძლება საფუძვლად დაედოს სხვა ფაქტორებიც: რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, ცენტრალური ხელისუფლებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის სპეციფიკური დამოკიდებულება (ამა თუ იმ ჯგუფის მისწრაფება მეტი დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობისაკენ აბსოლუტურად არ გამოორიციხავს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულების ვალდებულებასაც), რეგიონის სპეციფიკური ისტორიული ან კულტურული განვითარება.

ავტონომიის ზოგად-სამართლებრივი ცნება ყოველთვის მოითხოვს კონკრეტული ში-

¹ Griefelds, C., Rechtswörterbuch, 10. Auflage, München, 1990, S. 126.

² Forsthoft E., Lehrbuch des Verwaltungsrechts, 1. Bd., 10. Aufl., München 1973, S. 480.

³ იქვე.

⁴ Harhoff, F., Institutions of Autonomy, in: Nordic Journal of International Law 55, 1986, S. 311. ციტირებული: Heintze, Autonomie und Völkerrecht, S. 8.

ნარსით შევსებას. ავტონომიის ამა თუ იმ კონკრეტულ სახეს განსაზღვრავენ მონაწილე მხარეები. მათგან, ერთი მხარეა სახელმწიფო, რომელიც ავტონომიურ უფლებებს ანიჭებს რომელიმე ჯგუფს, ხოლო მეორე მხარეა ამ ავტონომიური უფლებების მიმღები ჯგუფი. ცალკეული ჯგუფისათვის ავტონომიური უფლებების მინიჭება თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა.⁵ ამ ფორმებს შორის ავტონომია ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ხალხის ან რომელიმე ჯგუფის იდენტურობის დაცვის ქმედითი საშუალებაა.

2. ფედერალიზმი და ავტონომია

ფედერაციული სახელმწიფო ფედერალური პრინციპის მაღალგანვითარებული, მაგრამ არა ერთადერთი სახელმწიფო-სამართლებრივი ფორმაა. ფედერალიზმის პრინციპები შესაძლებელია რეალიზებული იყოს ავტონომიის ფორმითაც.

ფედერაციული სახელმწიფო, როგორც ფედერალური იდეის სახელმწიფო-სამართლებრივი კონსტრუქცია, ტერიტორიული დაყოფის ისეთი იდეალური სისტემაა, რომელიც მოიცავს და ერთმანეთთან აკავშირებს განსხვავებულ ენობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს. ფედერაციულ სახელმწიფოში აღნიშნული ჯგუფები წარმოადგენენ არა ეთნიკურ უმცირესობას, არამედ სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ხალხის ნაწილს.⁶ ტერიტორიული ჯგუფების უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ფედერალიზმი მიჩნეულია ერთ-ერთ სრულყოფილ ფორმად, რამდენადაც ფედერაციის სუბიექტებს აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრიობა ადგილობრივი, ლოკალური საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასა-

მართლო ხელისუფლების ფორმით.⁷

ფედერალიზმის უპირატესობები, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაარსებობის პოლიტიკური ფორმის თვალსაზრისით, აღიარებულია სახელმწიფო პრაქტიკაშიც. კვიპროსთან დაკავშირებით მიღებულ 939-ე რეზოლუციაში (1994 წ.) გაერო-ს უშიშროების საბჭომ დაადასტურა, რომ კვიპროსის სახელმწიფოს აქვს ერთადერთი სუვერენიტეტი და საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, აგრეთვე ერთადერთი მოქალაქეობა, ხოლო მისი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი და გარანტირებულია. ბიზონალური ფედერალიზმი, რომელიც აერთიანებს ორ, პოლიტიკურად თანაბარუფლებიან ხალხის ჯგუფს, გამოირჩევა კვიპროსის სრულ ან ნაწილობრივ გაერთიანებას სხვა ქვეყანასთან, ქვეყნის დანაწილებას ან სეცესიას.⁸

ავტონომიის უპირატესობები, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება იმ ფაქტორით, რომ კულტურული უმცირესობის ნებისმიერი ფორმით ჩაგვრა ყოველთვის აწყდება წინააღმდეგობას ამ უმცირესობის მხრიდან და, საბოლოოდ, არღვევს ერთიან წესრიგს. კულტურულ პლურალიზმს შეუძლია პოზიტიური გავლენა იქონიოს სოციალურ განვითარებაზე, ხოლო ტოლერანტობა, საბოლოოდ, უზრუნველყოფს უმცირესობის ნებაყოფლობით ასიმილაციას.⁹

ავტონომიას, როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ იურიდიულ ფორმას, შეუძლია შეასრულოს კონფლიქტების გადაჭრის ფუნქცია და უშუალოდ ადგილებზე მოაწესრიგოს არსებული უთანხმოებები.

⁵ Heintze, H.J., Selbstbestimmungsrecht und Minderheitenrechte im Völkerrecht. Herausforderungen an den globalen und regionalen Menschenrechtsschutz, Baden-Baden, 1994, S.114.

⁶ Frowein, J. A., Das Recht der Minderheiten als Herausforderung an die Verfassungsordnung des freien Europa, in: Frowein u. a. (Hrsg.), Das Minderheitenrecht europäischer Staaten, Teil 2, 1994, S.VIII.

⁷ Brühl-Moser, D., Die Entwicklung des Selbstbestimmungsrechts der Völker unter besonderer Berücksichtigung seines innerstaatlich-demokratischen Aspekts und seiner Bedeutung für den Minderheitenschutz, S.292.

⁸ ციტ. Heintze, Hans-Joachim, Autonomie und Völkerrecht. Verwirklichung des Selbstbestimmungsrechts der Völker innerhalb bestehender Staaten, 1996, S.17.

⁹ იქვე.



ამავე დროს, მართვის ფედერალური სის-
ტემა ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს გან-
სხვავებული ენობრივი და ეთნიკური ჯგუფების
თანაარსებობას. მულტიეთნიკურ, მულტიკულ-
ტურულ საზოგადოებაში ასევე პრობლემა-
ტურია ფედერალური მოდელის სტაბილური,
გრძელვადიანი ფუნქციონირების საკითხი.
ფედერაციული სახელმწიფოს სტაბილურო-
ბა განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ისეთ
შემთხვევებში, როდესაც ცენტრალიზაციას
სურს ხელი შეუწყოს ერის ჩამოყალიბების
პროცესს.

მულტიკულტურულ საზოგადოებებში ფე-
დერალური სისტემის განსხვავებულ შესა-
ძლებლობებს ადასტურებს სამი ფედერაციუ-
ლი სახელმწიფოს— შვეიცარიის, კანადისა
და ბელგიის მაგალითი. მართალია, ეთნი-
კურმა ფედერალიზმმა გაამართლა შვეიცარ-
იაში, მაგრამ შვეიცარია უნიკალური მოვ-
ლენაა მთელ მსოფლიოში. ბელგიაში მიმ-
დინარე ფედერალურმა რეფორმებმა უნდა
უზრუნველყოს ამ ქვეყნის ტერიტორიული
მთლიანობა და განსხვავებული ლინგვისტური
ჯგუფების მშვიდობიანი თანაცხოვრება. ცალ-
კეულ პოზიტიურ მომენტებთან ერთად, ჯერ-
ჯერობით ნაადრევია საბოლოო დასკვნის გამო-
ტანა, თუ რამდენად შეძლებს ბელგია
ლინგვისტურ დაპირისპირებულობათა დაძლ-
ევას ფედერალური მოდელის დახმარებით.
გაცილებით უფრო რთული სიტუაციაა კანა-
დაში. კანადის ფედერაციიდან კვებეკის გამოყ-
ოფა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის აქტუა-
ლობას, ასევე საკმაოდ საშიშ კონტურებს
იძენს სახელმწიფოს შესაძლო დეზინტეგრაც-
იის საფრთხე.

შვეიცარიის, ბელგიისა და კანადის მაგალ-
ითი კვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ფედერალური
სისტემა შეუძლებელია განვიხილოთ კონკრე-
ტული გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტო-
რიული და იდეოლოგიური ფაქტორებისაგან
იზოლირებულად. ავტონომიის კონკრეტულ
უპირატესობათა და ნაკლოვანებათა შეფასე-
ბა— ეს არის პოლიტიკის ამოცანა, ხოლო

იურიდიული მეცნიერება დაკავებულია ამ
შეფასების მხოლოდ და მხოლოდ სამართ-
ლებრივი საფუძვლების ანალიზით. ამ პრო-
ცესში თითქმის შეუძლებელია უნივერსალური
სტანდარტების შემუშავება.¹⁰ მით უფრო, რომ
ავტონომიური ერთეულების უფლებამოსილე-
ბების მოცულობის თვალსაზრისით, უნიტარუ-
ლი სახელმწიფოც შეიძლება მიუახლოვდეს
„ფედერალურ სტანდარტებს“ (ამის მაგალი-
თია ესპანეთი).

ფედერალური მართვის დეცენტრალიზებუ-
ლი სისტემა აყალიბებს ავტონომიური რეგუ-
ლირების ხელსაყრელ პირობებს. მაგრამ, ფედ-
ერაცია, როგორც სხვადასხვა ტერიტორიუ-
ლი ან სხვა ნიშნით განსხვავებული ჯგუფებ-
ის ერთგვარი ასოციაცია, შეიცავს სახელმწი-
ფოს დაშლის მეტ პოტენციალსაც.¹¹ შემთხ-
ვევითი არაა, რომ უმცირესობათა ადმინის-
ტრაციული ერთეულებისათვის სახელმწიფო
უფლებამოსილებათა დელეგირება ლიტერ-
ატურაში ხშირად განიხილება როგორც სე-
ცესიისაკენ გადადგმული ნაბიჯი.¹² არც ფედ-
ერაციული სახელმწიფოს და არც ავტონომი-
ის მოდელს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწყე-
რია იმ შემთხვევაში, როდესაც ფედერალურ-
მა სტრუქტურებმა უნდა განამტკიცონ ეთნი-
კურად, კულტურულად ან სხვა ნიშნით გამორ-
ჩეული ჯგუფების პრივილეგიები.¹³

ავტონომია ხშირად განიმარტება როგორც
სახელმწიფოში ხალხთა ჯგუფების და უმ-
ცირესობათა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი


¹⁰ Gaer, F. D., Ethnic Conflict and Preventive Diplo-
macy: New Challenges for International Organizations, Na-
tion-States and Nongovernmental Organizations, in: Amer-
ican Society of International Law, Proceedings 1994,
Washington, 1994, S. 153. (აბ. Heintze, Autonomie und
Völkerrecht, S. 10.

¹¹ Howse, R., Knop, K., Federalism, Secession and the
Limits of Ethnic Accommodation: A Canadian Perspective, New
Europe Law Review 1, 1993, S.271.

¹² Oeter, S., Minderheiten im institutionellen Staatsauf-
bau, in: Frowein, J. A./Hofmann, R./Oeter, S. (Hrsg.), Das
Minderheitenrecht europäischer Staaten, Teil 2, Berlin, 1994,
S. 494.

¹³ Heintze, Autonomie und Völkerrecht, S. 18., Oeter,
S., Minderheiten im institutionellen Staatsaufbau, in: J.
Frowein/R. Hoffmann/S. Oeter (Hrsg.), Das Minderheiten-
recht europäischer Staaten, Teil 2, Berlin, 1994, S. 494.

24386



საშუალეა.¹⁴ ამავე დროს, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ავტონომია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტის უნივერსალური მოდელი.

ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილ დაპირისპირებათა განვითარების თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს რაიმე მკაფიოდ გამოკვეთილი განსხვავება, ერთი მხრივ, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე, ხოლო მეორე მხრივ, უმცირესობათა უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ ავტონომიას შორის.¹⁵

ავტონომიისადმი ფრთხილი დამოკიდებულება დამახასიათებელია არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურისათვის, არამედ პოლიტიკური პრაქტიკისათვისაც. ბევრი სახელმწიფო ავტონომიას განიხილავს როგორც სეცესიის წინასაფხურს. განსაკუთრებით დიდია ეს შიში ფედერაციულ სახელმწიფოებში.¹⁶

სახელმწიფოთა თანამეგობრობა ავტონომიას არ განიხილავს, როგორც უმცირესობებთან დაკავშირებული კონფლიქტების გადაწყვეტის უნივერსალური მოდელი. ავტონომიისადმი საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულების ერთ-ერთ უახლოეს მაგალითად გამოდგება ის შემთხვევა, როდესაც სლოვაკეთმა უარი განაცხადა უნგრეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების ტექსტი აღიარებდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1201-ე რეკომენდაციის იურიდიულად სავალდებულო ძალას. საპარლამენტო ასამბლეის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია ადგენს, რომ ეროვნულ უმცირესობებს აქვთ უფლება „კომუნალური ან ავტონომიური ადმინისტრაცი-

ულ ინსტიტუტებსა ან განსაკუთრებულ სტატუსზე.“ სლოვაკეთის მხარის მოსაზრებით, უმცირესობათა ჯგუფური უფლებების ან ავტონომიური სტრუქტურების შემოღება დაუმკებელია ეთნიკური ნიშნის მიხედვით.¹⁷

უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში ავტონომიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება სრულებითაც არ ამოიწურება ამ ერთეული შემთხვევით. ავტონომიის იდეას ფრთხილად უდგებიან ევროსაბჭოს წევრი ცალკეული სახელმწიფოები. ამასთანავე, ამ სახელმწიფოთა აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ფორმით იქნება რეალიზებული ავტონომიის იდეა.¹⁸ სახელმწიფოთა უმეტესობა ასევე უარყოფითად ეკიდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ რეკომენდაციებს ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბების შესახებ. ასეთი რეკომენდაციები ხშირად განიხილება როგორც სეპარატისტული ტენდენციების წახალისება და საშინაო საქმეებში ჩარევა.

ავტონომიის უფლება ხშირად განხილულია როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპი, ხოლო ავტონომიის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. თუმცა ეს შეხედულება ლიტერატურაში სამართლიანად არის გაკრიტიკებული: ავტონომიაზე უფლება არ შეიძლება ჩაითვალოს არც საერთაშორისო სამართლის და არც ზოგად-სამართლებრივ პრინციპად.¹⁹ ავტონომიაზე უფლებას ასევე არ იცნობს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, რამდენადაც არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არ შეიცავს ავტონომიის მინიჭების ზოგად მოთხოვნას.

¹⁴ Pernthaler, P., Land, Volk und Heimat als Kategorien des österreichischen Verfassungsrechts, Wien, S. 19.

¹⁵ Heintze, H.-J., Selbstbestimmungsrecht der Völker und Minderheitenrechte im Völkerrecht. Herausforderungen an den globalen und regionalen Menschenrechtsschutz, Baden-Baden, 1994, S. 26 ff.

¹⁶ Bengt Broms, Autonomous Territories, in EN-cyklopedia of Publik Internationa Law, Vol. I, Amsterdam, 1992, S.311.

¹⁷ Klebes, H., Rahmenübereinkommen des Europarats zum Schutz nationaler Minderheiten, in: EU-GRZ, S. 266, Fn. 22. ციტ. Heintze, H. J., Wege zur Verwirklichung des Selbstbestimmungsrechts der Völker innerhalb bestehender Staaten, S. 29.

¹⁸ Klebes, H., Rahmenübereinkommen des Europarats zum Schutz nationaler Minderheiten, S. 266.

¹⁹ Heintschel von Heinegg, W., Die weiteren Quellenden Völkerrechts, in: Ipsen, K., Völkerrecht, S. 200.

ავტონომიის უფლების აღიარებას სახელმწიფოებმა თავი აარიდეს თვით Soft Law-ის სფეროში, რასაც ადასტურებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს პრაქტიკაც. 1990 წლის 29 ივნისის კოპენჰაგენის დოკუმენტში ავტონომია განხილულია როგორც უმცირესობათა უფლების დაცვის ერთ-ერთი შესაძლო ფორმა. ამ დოკუმენტში განსაზღვრულ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური იდენტურობის დაცვის და მათი განვითარების ერთ-ერთ შესაძლებლობად მიჩნეულია ლოკალური ან ავტონომიური მმართველობის ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს უმცირესობების სპეციფიკურ, ისტორიულ და ტერიტორიულ მონაცემებს. ამავე დროს, მმართველობის ეს სისტემა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკას.

კოპენჰაგენის დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, უმცირესობას არ გააჩნია ავტონომიის მოთხოვნის იურიდიული უფლება. დოკუმენტმა მხოლოდ მიუთითა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ ავტონომია განიხილონ როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთი შესაძლო ფორმა. ბუნებრივია, ასეთი ფორმულა სახელმწიფოს არ აკისრებს არანაირ საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებას, რომ უმცირესობათა დაცვა აუცილებლად განახორციელოს ავტონომიის ფორმით. საერთაშორისო სამართალმა ამ სახით გადაწყვიტა ავტონომიის საკითხი და თავი აარიდა ავტონომიის უნივერსალური მოდელის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ თვითონ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტში პირველად აღიარებული ავტონომიის უფლება.²⁰

²⁰ Frowein, J. A., Minderheiten in Europa- rechtsvergleichend betrachtet, in: E. Hetzke/M. Donner (Hrsg.), Weltweite und europäische Sicherheit im Spannungsfeld von Souveränität und Minderheitenschutz, Schriftenreihe zur neuen Sicherheitspolitik, Heft 7, Berlin, 1994, S. 38.

ავტორები, რომლებიც ავტონომიას არ განიხილავენ როგორც ხალხთა თვითგამორკვევისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის პოლიტიკურ-სამართლებრივ ინსტიტუტს, ზოგჯერ უპირატესობასაც კი ანიჭებენ ასიმილაციის იდეას. ჯგუფური კუთვნილების ნიშნით აღამიანთა ნებისმიერი განსხვავებული განხილვა ყოველთვის აწყდება წინააღმდეგობას სხვა ჯგუფების მხრიდან, რაც საბოლოოდ იწვევს ეთნიკურ კონფლიქტებს. გარდა ამისა, სისტემა, რომელიც აღიარებს უმცირესობების განსაკუთრებულ უფლებებს, არის ეკონომიკურად და პოლიტიკურად არაეფექტიანი, ზღუდავს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას და მუშახელის თავისუფალ გადაადგილებას. უმცირესობათა ჯგუფის წევრებს ნაკლებად სურთ დატოვონ განსახლების ის ტერიტორია, სადაც მათთვის დადგენილია განსაზღვრული უპირატესობები. პოლიტიკური თვალსაზრისით, სისტემა, რომელიც აღიარებს რომელიმე ჯგუფის განსაკუთრებულობის იდეას, წამყვანი იმდენად, რამდენადაც საზოგადოების ამ სახით დანაწევრება ბევრად ართულებს ერთიანი კონსესუსის მიღწევას.²¹

2.1 ავტონომიის სუბიექტი

ავტონომიის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ჯგუფი. ავტონომია გულისხმობს ჯგუფის, როგორც უმცირესობის აღიარებას და მისი კოლექტიური უფლებების დაცვას. უნდა ითქვას ისიც, რომ საერთაშორისო სამართალში კოლექტიურ უფლებებს დღემდე შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ინდივიდუალურ უფლებებს.²² სახელმწიფოთა თანამეგობრობას უმცირესობათა დაცვის იდეა გადატანილი აქვს უფრო ინდივიდუალური და არა კოლექტიური უფლებების სიბრტყეში.

²¹ Sanders, D., Collective Rights, in: Human Rights Quarterly 13, 1991, S. 375.

²² Chandrasan, N., Minorities-Autonomie-and the Intervention of Third States-A Droit de Regard, in: Heintze, H. J., Wege zur Verwirklichung des Selbstbestimmungsrechts der Völker innerhalb bestehender Staaten, S. 34.



ავტონომიის შემდეგ აუცილებელი წანამდ-ვარია როგორც ავტონომიის მიმნიჭებელი სახელმწიფოს, ასევე შესაბამისი ჯგუფის წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა, რომელიც, როგორც წესი, ყალიბდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით.²³

ზემოაღნიშნული ნიშნის საფუძველზე, პალესტინელთა ავტონომია შეიძლება განვიხილოთ როგორც ავტონომიური წარმომადგენლობის განსაკუთრებული ფორმა. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს პალესტინელი ხალხის ინტერესებს. ამავე დროს, ჰონკონგის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ავტონომიის სუბიექტი შეიძლება არ იყოს მართოდენ ეთნიკური ჯგუფი. ჰონკონგის შემთხვევაში, ავტონომიის ფორმა საშუალებას აძლევს გარკვეულ ჯგუფს გარკვეულწილად გაემიჯნოს დანარჩენ სახელმწიფოს თავისი განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გამო.

ხალხის ჯგუფი, როგორც ავტონომიის სუბიექტი, გულისხმობს ადამიანთა ისეთ ერთობას:

ა) რომელიც ცხოვრობს მოცემული სახელმწიფოს მკაფიოდ შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში;

ბ) რომელიც რაოდენობრივად უფრო მცირეა, ვიდრე სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობა;

გ) რომლის წევრები არიან მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეები (მათი ავტონომია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში);

დ) რომლის წევრები დანარჩენი მოქალაქეებისაგან განსხვავდებიან ეთნიკური, ენობრივი ან კულტურული ნიშნით;

ე) რომლის წევრებსაც სურთ თავიანთი განსაკუთრებულობისა და ინდივიდუალურობის შენარჩუნება.²⁴

²³ Pernthaler, P., Modell einer autonomen öffentlich-rechtlichen Vertretung der Slowenischen Volksgruppe in Kärnten, in: Europa Ethnica, 50, 1993, S. 24 ff.

²⁴ Ermacora, F., Pan Ch., Volksgruppenrecht in Europa, Ethnos 46, 1995, S. 15.

ავტონომიის შინაარსი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის ლეგიტიმურ ინტერესს და, მეორე მხრივ, უმცირესობის მიერ თავისი იდენტურობის დაცვის მოთხოვნებს. არ არსებობს ავტონომიის შინაარსის განმსაზღვრელი რაიმე საერთაშორისო-სამართლებრივი მასშტაბი. ავტონომიის კონკრეტული შინაარსი მუდამ განისაზღვრება კონკრეტული სახელმწიფო— და საერთაშორისო-სამართლებრივი აქტით. ავტონომიის კონკრეტული რეგულირება შეიძლება ძალზე განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ავტონომია შეიძლება ეფუძნებოდეს ეთნიკური ჯგუფების წმინდა არითმეტიკულ წარმომადგენლობას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში ან დეცენტრალიზაციას, რეგიონალიზაციას და ფედერალიზმს.²⁵

3. ავტონომიის სახეები

ყველაზე ზოგადი კლასიფიკაციით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ პარალელური ავტონომია და იერარქიული ავტონომია. ამერიკული ფედერალიზმი, მაგალითად, ეფუძნება ფედერაციულ სახელმწიფოსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის არსებულ პარალელურ ავტონომიას, რამდენადაც ფედერაცია და ფედერაციის სუბიექტი თავიანთი კანონების შეფარდებას ახორციელებენ საკუთარი ადმინისტრაციული და სასამართლო ინსტანციების მეშვეობით. აშშ-ის რიგითი მოქალაქე ერთდროულად ექვემდებარება როგორც ფედერაციის, ასევე ფედერაციის სუბიექტების უზენაესობას.

ავტონომიის დანარჩენ სახეებს მიეკუთვნება ტერიტორიული ავტონომია, პერსონალური ავტონომია, კულტურული ავტონომია, ორგანიზაციული ავტონომია, რეგიონალური ავტონომია.

²⁵ Heintze, H. J., Wege zur Verwirklichung des Selbstbestimmungsrechts der Völker innerhalb bestehender Staaten, S. 36.

3.1. ტერიტორიული ავტონომია

ტერიტორიული ავტონომია ავტონომიის იმდენად გავრცელებული სახეა, რომ მეცნიერთა უმრავლესობა ავტონომიის ცნების განხილვისას ხშირად შემოიფარგლება მარტოოდენ ტერიტორიული ავტონომიის ფორმით.²⁶

ტერიტორიული ავტონომია ეფუძნება სახელმწიფო-სამართლებრივ ან საერთაშორისო-სამართლებრივ აქტს. ავტონომიის შემთხვევაში ესა თუ ის ტერიტორია სარგებლობს განსაკუთრებული სტატუსით და რომელიმე ჯგუფის ან უმცირესობის სპეციფიკურ ინტერესებთან დაკავშირებული უფლებამოსილებები გადაცემული აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს. ავტონომიური ერთეულის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ძირითადად, შეეხება კომუნალურ და რეგიონალურ თვითმმართველობას და ითვალისწინებს უმცირესობათა ტერიტორიულ და ისტორიულ თავისებურებებს.

ტერიტორიული ავტონომია, როგორც ცალკეული ჯგუფების ინტერესების დაცვის ფორმა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი ჯგუფი ცხოვრობს გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ რაიონში და ქმნის ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობას. ტერიტორიული ავტონომიის დროს ავტონომიური უფლებებით სარგებლობს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი და არა მხოლოდ ეთნიკური ჯგუფის წევრი. ეთნიკური ჯგუფის ის წევრები, რომლებიც ცხოვრობენ ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებს გარეთ, ავტონომიის სტატუსით არ სარგებლობენ.

მართალია, ტერიტორიული ავტონომია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ იგი ავტონომიურად ვერ გადაჭრის ეთნიკურ დაპირისპირებათა შედეგად წარმოშობილ წინააღმდეგობებს. ტერიტორიული ავტონომია, როგორც გან-

საზღვრული ჯგუფების დაცვის ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როდესაც ეს ჯგუფი ცხოვრობს კომპაქტურად, გეოგრაფიულად ჩაკეტილ, მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიაზე ქმნის უმრავლესობას. ტერიტორიული ავტონომიის შედეგად იცვლება უმრავლესობასთან მიმართება: ადრე უმცირესობაში მყოფი და „დაზარალებული ჯგუფი“ უკვე იქნეს განსაზღვრულ უპირატესობას და პრივილეგიებს სხვა ჯგუფებთან შედარებით.²⁷

ის გარემოება, რომ ავტონომიის შედეგად ყოფილი უმცირესობა უკვე უმრავლესობა ხდება და ბატონობს სხვა ჯგუფებზე, მოითხოვს განსაკუთრებით ფრთხილ შეფასებას. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმცირესობათა პრობლემის „ტერიტორიალიზაცია“ არ არის პრობლემის გადაწყვეტის გზა.²⁸ ამ შემთხვევაში ავტონომია პრობლემას კი არ ხსნის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წარმოშობს (უკვე) სხვა უმცირესობების უფლებათა დაცვის ახალ პრობლემას.

ტერიტორიული ავტონომია ვერ ფუნქციონირებს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ეთნიკური ჯგუფების არსებობის პირობებში ან იმ დროს, როდესაც ეთნიკური ჯგუფების განსახლების არეალი ერთმანეთისაგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული.²⁹ ადვილი შესაძლებელია ასეთ ვითარებაში ავტონომიამ კიდევ უფრო გაამწვავოს ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი უთანხმოებები. ტერიტორიული ავტონომიის ფუნქციური შესაძლებლობებისადმი მსგავსი, ფრთხილი და კრიტიკული დამოკიდებულების საფუძვლიანობას ამტკიცებს პოლიტიკური პრაქტიკაც.

1993 წლის 30 იანვრის Vance-Owen-ის შეთანხმების პროექტი (რომელიც არ შესუ-

²⁶ Broms, B., Autonomous Territories, in: EPIL, Vol. 1, S. 308.

²⁷ Perenthaler, P., Allgemeine Staatslehre, Wien, 1986, S. 53 ff.

²⁸ Oeter, S., Minderheiten im Institutionellen Staatsaufbau, in: J. A. Frowein/R. Hofmann/S. Oeter (Hrsg.), Das Minderheitenrecht europäischer Staaten, Teil 2., S. 510.

²⁹ Heintze, H. J., Autonomie und Völkerrecht, S. 16.

ლა ძალაში) ითვალისწინებდა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინა უნდა ყოფილიყო დეცენტრალიზებული სახელმწიფო, სადაც მმართველობითი ფუნქციები უნდა განეხორციელებინათ პროვინციებს, რომლებსაც არ გააჩნდათ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა. შეთანხმების პროექტი ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მცხოვრები სამი ეთნიკური ჯგუფისათვის ტერიტორიული ავტონომიის მინიჭებას. მაგრამ აღნიშნულმა მოდელმა ვერ განეიტრალა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში არსებული კონფლიქტური სიტუაცია. პირიქით, ტერიტორიული ავტონომიის იდეა კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა გამოიყენეს ეთნიკური წმენდისა და „ეთნიკურად სუფთა“ ტერიტორიების ჩამოყალიბების მიზნით. ასეთი პრაქტიკა სამართლიანად დაგმო გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელმაც თავის 1993 წლის 836-ე რეზოლუციაში მიუთითა, რომ ტერიტორიის ნებისმიერი მითვისება ძალადობით და ეთნიკური წმენდის მეშვეობით მართლსაწინააღმდეგოა და მიუღებელია ნებისმიერ შემთხვევაში.³⁰

ავტონომიის ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაციის აუცილებელი პირობაა მხარეების მიერ მისი შინაარსის მაქსიმალურად ზუსტი განსაზღვრა. ტერიტორიული ავტონომიის აუცილებელი წინაპირობაა ავტონომიური ერთეულის მზადყოფნა, რომ დაიცავს ადამიანისა და უმცირესობათა უფლებებს. ავტონომიის კონცეფციის წარმატებული რეალიზაციის შემდეგ აუცილებელი წინამძღვარია შიდა უშიშროების უზრუნველყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბება და ამ სახით ავტონომიის დემოკრატიული ლეგიტიმაცია. ტერიტორიული ავტონომიის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ორგანოთა ფორმირება, სადაც გადაწყდება ავტონომიურ ერთეულსა და სახ-

ელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის წარმოშობილი დავა.

ცალკეული ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, გამოყოფენ ავტონომიის შემდეგ შესაძლო ფორმებს: მმართველობის სფეროს დეცენტრალიზაცია (კორსიკა); სამართალშემოქმედების სფეროში განსაზღვრულ კომპეტენციათა მინიჭება (სამხრეთ ტიროლი); დამოუკიდებლობა ცენტრალური სახელმწიფოს მართლწესრიგისაგან (ალანდის კუნძულები). ავტონომია შეიძლება ფუნქციონირებდეს განსხვავებული საერთაშორისო გარანტიების პირობებშიც. ალანდის კუნძულებისა და სამხრეთ ტიროლის ავტონომია ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მაშინ როცა გრენლანდიისა და ფერარის კუნძულების თვითმმართველობითი კომპეტენციები რეგულირებულია დანიის შინაგარეულ წიფოებრივი აქტებით. მთლიანობაში, ყველაზე უფრო სასურველ შედეგს იძლევა ავტონომიის ის მოდელი, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს კონკრეტული სიტუაციის ინდივიდუალურ თავისებურებებს.³¹

ზოგიერთი უნიტარული, დეცენტრალიზებული სახელმწიფოს ავტონომიური ერთეული, ხშირად შეესაბამება ფედერალურ სტანდარტებს, ხოლო ავტონომიური თვითმმართველობის ხარისხით ზოგჯერ აჭარბებს კიდევ ამ სტანდარტებს.³² ფუნქციური თვალსაზრისით, როგორც ფედერაციის სუბიექტი უნდა განიხილებოდეს ბასკეთი ესპანეთში, სამხრეთ ტიროლი იტალიაში, ალანდის კუნძულები ფინეთში. ამავე დროს, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ტერიტორიული ავტონომიების სტატუსი დადგენილია შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით და მათზე ასევე ვრცელდება სახელმწიფო ზედამხედველობა. ამ თვალ-

³⁰ ვიტ. Heintze, H. J., Autonomie und Völkerrecht, S. 16.

³¹ Heintze, H. J., Autonomie, Selbstbestimmungsrecht der Völker und Minderheitenschutz, in: Der Staat, 36. Band, 1997, Heft 3. S.413.

³² Perntaler, P./Kathrein, I./Weber K., Der Föderalismus im Alpenraum, Wien, 1982.

საზრისით, ტერიტორიული ავტონომია თვისებრივად განსხვავდება ფედერაციის სუბიექტების სტატუსისაგან. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია სახეზე იყოს ეთნიკური ავტონომიებისა და ფედერალური მოდელის განსხვავებული კომბინაციებიც (რუსეთის ფედერაცია, აშშ, კანადა და ა.შ.).³³

იურიდიულად ავტონომია შესაძლებელია ეფუძნებოდეს ან საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს (მაგალითად, იტალია-ავსტრიის, შვეიცია-ფინეთის, პაკისტან-ინდოეთის, იტალია-ინგლისი-აშშ-იუგოსლავიის ხელშეკრულებები), ან მხოლოდ შინასახელმწიფოებრივ კონსტიტუციურ სამართალს (მაგალითად, ესპანეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია და ა. შ.).

ტერიტორიული ავტონომიის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები და მისი ინსტიტუციონალური ორგანიზაცია ყოველთვის მოქცეულია შესაბამისი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში. ამასთანავე, სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა, თავის მხრივ, ითვალისწინებს რეგიონალური განვითარებისა და ეთნიკური ჯგუფის (ძირითადად ისტორიული ტრადიციებით განპირობებულ) განსაკუთრებულობებს. ყველა შემთხვევაში ტერიტორიულ ავტონომიას უნდა ჰქონდეს საკმარისი კომპეტენციები კულტურის, განათლების, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის, საზოგადოებრივი წესრიგის, ადმინისტრაციული ორგანიზაციის (ადგილობრივი თვითმმართველობის ჩათვლით), ტერიტორიული დაგეგმვისა და გარემოს დაცვის საკითხებში.³⁴

ტერიტორიული ავტონომია დამახასიათებელია იმ სახელმწიფოებისათვის, სადაც გვხვდება ე. წ. „Civil Law-System“ და მოქმედებს აღმასრულებელი ფედერალიზმის მოდელი, რომლის დროსაც ფედერაციის სუბიექტები

აღასრულებენ ფედერალურ კანონებს თავიანთი ადმინისტრაციული ორგანოებით და ასევე ახორციელებენ მართლმსაჯულებას.

პოლიტიკური პრაქტიკა იცნობს ტერიტორიული და პერსონალური ნიშნის კომბინაციის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ავტონომიასაც. ბელგიაში, მაგალითად, სახეზეა ორივე, როგორც პერსონალური (Communautes), ასევე ტერიტორიული (Regions) კრიტერიუმი. ტერიტორიული და პერსონალური ავტონომიის კომბინაცია ბევრად უწყობს ხელს პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტას, ხოლო ცალკეულ კონფლიქტურ შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებას აძლევს ერთგვარი მოპრიგებელი მოსამართლის ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობას.

ტერიტორიული ავტონომია, ძირითადად უზრუნველყოფილია პოლიციის, ეკონომიკის, მიმოსვლის, მშენებლობის და გარემოს დაცვის სფეროებში. გარდა ამისა, ავტონომია უზრუნველყოფილია სამართალშემოქმედების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სფეროში. მართლმსაჯულების სფეროში ავტონომიურობის საკითხი განსხვავებულადაა გადაწყვეტილი სხვადასხვა ქვეყანაში. ბელგიაში, მაგალითად, ფედერაციის სასამართლოები უფარდებენ რეგიონების სამართალს, შვეიცარიაში კანტონის სასამართლო უფლებამოსილია შეუფარდოს ფედერალური სამართალი. აშშ-ში ფედერაციის წევრი შტატების სასამართლო უფარდებს მხოლოდ შტატების სამართალს, ხოლო ფედერალური სასამართლოები შემოფარგლული არიან მხოლოდ ფედერალური სამართლის შეფარდებით.

3.2. პერსონალური ავტონომია

პერსონალურ ავტონომიას საფუძველად უდევს პერსონალურობის პრინციპი. პერსონალური ავტონომიის სისტემა ეფუძნება კონცეფციას, რომლის თანახმადაც ინდივიდი არის კოლექტიური უფლებების მქონე სუბიექტი. მართალია, პერსონალური ავტონომიის სუბიექტები ეთნიკური ჯგუფის წევრები არიან, მაგრამ

³³ Pernthaler, P., Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, Wien, 1996, S.62.

³⁴ Pernthaler, P., Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, S. 62.

პერსონალური ავტონომია განიხილება ხალხის ჯგუფის, როგორც კოლექტიური ერთობის, უფლებათა დაცვის ერთ-ერთ, ყველაზე უფრო სუსტ ფორმად.

პერსონალური ავტონომიის კონცეფცია შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს იქ, სადაც ვერ ამართლებს ტერიტორიული ავტონომიის მოდელი. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სახეზეა ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ხალხთა ჯგუფები, როდესაც მათი ტერიტორიული განსახლების არეალი ერთმანეთისაგან მკაფიოდ არ არის გამოჯნული. ამ დროს, სასურველია, ავტონომიის პრინციპი რეალიზებულ იქნეს პერსონალური და არა ტერიტორიული ავტონომიის ორგანიზაციული ფორმით (მაგალითად, „აკადიერები“ – ფრანგულენოვანი კანადელები – კვებეკის ფარგლებს გარეთ, სლოვენები – კერნტენში, ებრაელები – რუსეთის ფედერაციაში).

პერსონალური ავტონომიის ფორმა არ არის დამოკიდებული უმცირესობის რაოდენობაზე. ამიტომ, რომ პერსონალური ავტონომიის დროს პრაქტიკულად არ დგას ტერიტორიული დავის და სეცესიის პრობლემა. პერსონალური ავტონომიის მნიშვნელოვან უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი მოიცავს განსაზღვრული ეთნიკური ჯგუფის ყველა წევრს მათი განსახლების ადგილის მიუხედავად. პერსონალური ავტონომიის კონცეფციის მეშვეობით ხალხის ან უმცირესობის კოლექტიური უფლების სუბიექტად, პრაქტიკულად, გვევლინება ინდივიდი.

პერსონალური ავტონომიის დროს ხალხის ჯგუფი ინსტიტუციონალიზებულია საჯარო სამართლის ორგანიზაციული ფორმით, რომელიც ასრულებს რეპრეზენტაციულ ფუნქციას და უზრუნველყოფს უმცირესობათა სპეციფიკური ინტერესების რეალიზაციას, პირველ რიგში, კულტურის, ენის, აღზრდა-განათლების სფეროში. ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას პერსონალური ავ-

ტონომია სარგებლობს სათანადო ფინანსური უფლებამოსილებითაც.

პერსონალური ავტონომიის რეალიზება შესაძლებელია არა მარტო საჯარო-სამართლებრივი, არამედ თვითონ ეთნიკური ჯგუფების მიერ ჩამოყალიბებული კერძო-სამართლებრივი გაერთიანებების სახით (სხვადასხვა საზოგადოება, ფონდი, ეკლესია და ა. შ.). აღნიშნულ გაერთიანებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ფუნქციები შეასრულონ კულტურის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

პერსონალური ავტონომიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს აყალიბებს პოლიტიკურ პარტიებთან დამოკიდებულება. აქ შესაძლებელია იყოს ორი ვარიანტი. პირველი, როდესაც პარტია ყალიბდება ეთნიკური კუთვნილების ნიშნით და არსებობს ხალხთა ჯგუფის „საკუთარი“ პარტია (მაგალითად, სამხრეთ ტიროლის სახალხო პარტია); მეორე, როდესაც რომელიმე ეთნიკური ან სხვა ნიშნით განსაზღვრული ჯგუფის წევრები ინტეგრირებული არიან სახელმწიფოს საერთო-პარტიულ სისტემაში. ცხადია, ეს უკანასკნელი ვარიანტი გაცილებით მეტი ინტეგრაციული მუხტის შემცველია, ვიდრე წმინდა ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებულ პარტიებში მონაწილეობა. ეთნიკური ნიშნის საფუძველზე ფორმირებული პარტია ხშირად დესტრუქციულ გავლენას ახდენს ინტეგრაციულ პროცესებზე, რამდენადაც იგი, როგორც წესი, მისწრაფვის არა ინტეგრაციისაკენ, არამედ თვითიზოლაციისაკენ.

პერსონალურ ავტონომიას, მრავალი უპირატესობის გარდა, ახასიათებს გარკვეული ნეგატიური მხარეებიც. პერსონალური ავტონომიის საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებაში წევრობის საკითხი მთლიანად დამოკიდებულია ინდივიდუალურ ნებაზე. თუ უმცირესობის რომელიმე წარმომადგენელი სუბიექტურად თავის თავს არ მიიჩნევს ამ ჯგუფის წევრად, ცხადია, იგი არ შეიძლება იძულებით მიეკუთვნოს ამ ჯგუფს. აქედან

გამომდინარე, პერსონალური ავტონომია „წარმოადგენს“ მხოლოდ თავის წევრებს და არა საერთოდ უმცირესობის ჯგუფს. საკმაოდ პრობლემურია საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება პერსონალური ავტონომიის მოდელი მართვის თანამედროვე სისტემის ერთიანობის და ცხოვრებისეული ურთიერთობების თანაბარი სტანდარტების იდეას.³⁵

პერსონალური ავტონომიის რეალიზაცია გართულებულია იმის გამოც, რომ პოლიტიკურ პრაქტიკაში ტრადიციულად უფრო გავრცელებული იყო ტერიტორიული ავტონომიის მოდელი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არატერიტორიული ავტონომიის ცნება იურიდიულ ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად იყო დამუშავებული.³⁶ გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული პერსონალური ავტონომიის კონცეფციის იმ ფუნქციონალური იდეის რეალიზაცია, რომ ინდივიდი უნდა განვიხილოთ როგორც ჯგუფური უფლებების სუბიექტი. მულტიკულტურულ, მულტიეთნიკურ საზოგადოებებში ასევე ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული ინდივიდის განსაზღვრული ეთნიკური ჯგუფისადმი მიკუთვნების საკითხიც.

3.3. კულტურული ავტონომია

კულტურული ავტონომია გულისხმობს ხალხის ჯგუფის ან უმცირესობის ავტონომიურ თვითმმართველობას მხოლოდ კულტურულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებში.³⁷ კულტურული ავტონომიის დროს უმცირესობა დამოუკიდებლად წყვეტს ეთნიკური იდენტურობის განმსაზღვრელ ისეთ საკითხებს, როგორცაა ენა, განათლება და კულტურა. კულტურული ავტონომია ხელს უწყობს უმცირესობათა კულტურულ განვითარებას. ამავე დროს, ავტონომიის ეს ფორმა არ გულისხმობს უმცირესობის მიერ აბ-

სოლუტურად ყველა კულტურული უფლების რეალიზაციას. უმცირესობა საესეებით შესაძლებელია დაკმაყოფილდეს კულტურის რომელიმე ერთი სფეროს, მაგალითად, სასკოლო ავტონომიის ფორმით.

ისევე როგორც ავტონომიის დანარჩენ ფორმებს, კულტურულ ავტონომიასაც აქვს ცალკეული ნეგატიური ასპექტები. კერძოდ, კულტურულმა ავტონომიამ შეიძლება გამოიწვიოს უმცირესობის კულტურის თვითიზოლაცია. კულტურული იზოლაცია, თავის მხრივ, აღრმავებს გაუცხოების სინდრომს ხალხთა განსხვავებულ ჯგუფებს შორის. ერთად ცხოვრება მოითხოვს ურთიერთპატივისცემას და ერთმანეთის, განსაკუთრებით ერთმანეთის კულტურის ცოდნას. კულტურულმა ავტონომიამ, სოლიდარობის და ერთმანეთის გვერდით ცხოვრების სურვილის ნაცვლად, შეიძლება წახალისოს ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და გაუცხოების ტენდენციები. კულტურული ავტონომიის საზღვრები გადის იქ, სადაც უმრავლესობისაგან უმცირესობის გამიჯვნა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მთლიანობას და ერთიანობას.³⁸ ამიტომ, კულტურულ ავტონომიასთან ერთად სასურველია მოქმედებდეს ერთიანი სახელმწიფო ნების ფორმირების პროცესში უმცირესობის პოლიტიკური მონაწილეობის მექანიზმები. კულტურული ავტონომია მხოლოდ მაშინ ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციებს, როდესაც იგი აყალიბებს უმრავლესობასთან მჭიდრო კავშირთ-იერთობის და არა იზოლაციის პირობებს.

3.4. ორგანიზაციული ავტონომია

ორგანიზაციული ავტონომიის ფორმა დამახასიათებელია შვეიცარიული ფედერალიზმისათვის. შვეიცარიის კანტონებში გვხვდება პირდაპირი დემოკრატიის სრულიად განსხვავებული მოდელები, განსხვავებული საარჩევნო სისტემები და კანტონების მთავრობათა ჩამოყალიბების ასევე განსხვავებული წესი. ორგანიზაციული ავტონომიის მსგავსი ფორ-

³⁵ Heintze, H. J., Wege zur Verwirklichung des Selbstbestimmungsrechts der Völker innerhalb bestehender Staaten, S. 45.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე, გვ. 46.

³⁸ იქვე.

მა პრაქტიკულად არ გვხვდება სხვა ფედერაციულ სახელმწიფოებში. მაგალითად, ორგანიზაციული ავტონომიის ფორმას არ იცნობს ბელგია, სადაც კომუნები და პოლიცია უშუალოდ ექვემდებარება არა რეგიონების, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებას.

ორგანიზაციული ავტონომიის ერთ-ერთი სახეა ფინანსური ავტონომია. ფედერაციულ სახელმწიფოებში გვხვდება შემოსავლების და გასავლების სფეროში მოქმედი ფინანსური ავტონომიის განსხვავებული მოდელები. ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოში გადასახადების სისტემა მთლიანად მოწესრიგებულია ცენტრალური ხელისუფლების მიერ და მოქმედებს ფედერაციის სუბიექტების დაფინანსების სუბვენციური სისტემები. ფედერაციის წევრებს მხოლოდ რამდენიმე ფედერაციულ სახელმწიფოში აქვთ შემოსავლის ისეთი წყარო, რომელიც საკმარისი იქნებოდა მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების დასაფინანსებლად.

ორგანიზაციული ავტონომიის თვალსაზრისით, საინტერესოა ფედერაციის სუბიექტთა ავტონომიის პრობლემა საგარეო პოლიტიკის სფეროში. საგარეო-პოლიტიკური ინტერესების დაცვა განეკუთვნება ფედერალური ხელისუფლების კლასიკურ უფლებამოსილებათა სფეროს. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ეფუძნება სახელმწიფოს მონისტურ გაგებას და იგი, არსებითად, არ აღიარებს არანაირ განსხვავებას ფედერაციულ და უნიტარულ სახელმწიფოებს შორის. თუმცა, თანამედროვე პირობებში აშკარად შეიმჩნევა საგარეო, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობებში, ფედერაციის სუბიექტთა ავტონომიურ უფლებამოსილებათა ზრდის ტენდენცია.

3.5. რეგიონალური ავტონომია

რეგიონალური ავტონომია გვხვდება ევროპის ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოში, სადაც (ფედერაციული სახელმწიფოსაგან განსხვავებით), სულ ცოტა თეორიულად მაინც, დაცულია ერთიანი ეროვნული სუვერენიტე-

ტის პრინციპი. რეგიონალური ავტონომიის შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია ცალმხრივად შეცვალოს რეგიონების გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა წრე. ფედერალური სისტემებისაგან განსხვავებით, რეგიონალური ავტონომიისათვის დამახასიათებელია ავტონომიების მიმართ მეტნაკლებად ძლიერი სახელმწიფო ზედამხედველობის ინსტიტუტის არსებობა.³⁹

რეგიონალური ავტონომიებისა და ფედერაციის სუბიექტების ერთმანეთისაგან განსხვავება საკმაოდ რთულია მათდამი მიკუთვნებული უფლებამოსილებების მოცულობის საფუძველზე. პოლიტიკურ პრაქტიკაში რეგიონების ავტონომია ხშირ შემთხვევაში უახლოვდება ფედერალურ სტანდარტებს. თითქმის ყველა ავტონომიურ რეგიონს აქვს საკუთარი პოლიტიკური სისტემა და მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია, მათ შორის კანონშემოქმედების სფეროში (იტალია, ესპანეთი). ამავე დროს, ავტონომიური ერთეული, ფედერაციის სუბიექტისაგან განსხვავებით, ყოველთვის უფრო მეტად არის დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე. რაც მთავარია, ავტონომიური რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო დაფინანსებასა და ცენტრალური სახელმწიფოს სუბვენციებზე.

ეთნიკური უმცირესობების დაცვის თვალსაზრისით რეგიონალური ავტონომიის ფორმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპის ისეთ რეგიონებში, როგორცაა სამხრეთ ტიროლი, ბასკეთი, კატალონია, ირლანდია, შოტლანდია, ალანდის კუნძულები.

3.6. კომუნალური ავტონომია

კომუნალური ავტონომია უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დემოკრატიულ თვითმმართველობას.⁴⁰ ადგილობრივი თვით-

³⁹ Perenthaler, P., Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, Zweite, völlig neubearbeitete Auflage, 1996, S.306.

⁴⁰ იქვე, გვ. 307.

მმართველობა, ფედერაციული სახელმწიფოსა და რეგიონალური ავტონომიისაგან განხვავებით, უფრო „მტკიცედ“ და „მყარად“ არის მოქცეული სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკურ და სამართლებრივ ჩარჩოებში და თანაბრად ეფუძნება როგორც მოქალაქის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, ასევე სახელმწიფო ზედამხედველობის იდეას.⁴¹

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავებულია სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში. ფართო ავტონომიის მქონე თვითმმართველობის ორგანოთა გვერდით გვხვდება შედარებით ნაკლები ავტონომიის მქონე ადმინისტრაციული ერთეულები ან სპეციალური ოლქები (მაგალითად, სასკოლო ოლქი). ინგლისსა და სკანდინავიის ქვეყნებში გვხვდება მეორე დონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც ვერ თავსდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგად კონცეფციას.⁴²

მართალია, დღეს არაფერს დავობს კომუნების აუცილებლობაზე, მაგრამ თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში უკვე ხშირად ლაპარაკობენ ადგილობრივი თვითმმართველობის კრიზისზე.⁴³ თვითმმართველობის ორგანოები სულ უფრო დამოკიდებული ხდებიან „ზევიდან“ წამოსულ ადმინისტრაციულ მითითებებზე, დაფინანსებაზე და დავალებებზე. აღნიშნული ტენდენციის გავლენით იქმნება იმის რეალური საფრთხე, რომ არ მოხდეს თვითმმართველობის ორგანოების ტრანსფორმაცია ზემდგომი ინსტანციებისადმი დაქვემდებარებულ, აღმასრულებელ ორგანოებად.

თვითმმართველობის ორგანოთა მოქალაქეებთან სიახლოვისა და თვითმმართველობის ინსტიტუტებისაგან მოქალაქეების გაუცხოების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ

დგას დიდ ქალაქებსა და საქალაქო აგლომერაციებში. „დიდ“ ტერიტორიულ ერთეულებში თვითმმართველობის ორგანო, ისევე როგორც სახელმწიფო, ხშირად აღიქმება, როგორც ბიუროკრატიული მმართველობის სისტემა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს კი არ იცავს, არამედ სწორედ რომ პირიქით— საჭიროა ამ ორგანოების წინაშე თავის დაცვა. მსგავსი ტენდენციების თავიდან ასაცილებლად, თვითმმართველობის ბევრმა ორგანომ განახორციელა გარკვეული ღონისძიებები გადაწყვეტილებათა მიღების, დაგეგმვისა და მართვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის განმტკიცების თვალსაზრისით.

მიუხედავად ყველა იმ იურიდიული და პოლიტიკური განხვავებისა, რომელიც არსებობს დეცენტრალიზებულ, უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოებს შორის, ფედერალიზმის პოლიტიკური იდეა იმანენტურად მოიცავს კომუნალური ავტონომიის ფორმას, რომლის გარეშე ფედერალური სისტემა არ იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი.⁴⁴

3.7. ფუნქციური ავტონომია

ფუნქციური ავტონომიის დროს ცალკეული სახელმწიფო ფუნქციები და უფლებები გადაცემული აქვთ ხალხთა ჯგუფისა და უმცირესობების კერძო-სამართლებრივ გაერთიანებებს.⁴⁵ ფუნქციური ავტონომიისას უმცირესობა ორგანიზებულია კერძო-სამართლებრივი ანუ არასახელმწიფო, საზოგადოებრივი გაერთიანების, კავშირის ფორმით.⁴⁶ კერძო-სამართლებრივი გაერთიანებების უფლებამოსილებები, ძირითადად, მოიცავს კულტურის, პრესის, აღზრდა-განათლების, რელიგიის საკითხებს. ფუნქცი-

⁴¹ იქვე.
⁴² Perntaler, P./Wimmer, N., Die unteren Verwaltungseinheiten in Westeuropa, Die Verwaltung, 1982, S. 301 ff.
⁴³ იქვე. გვ.307.

⁴⁴ Perntaler, P., Allgemeine Staatslehre und Verfassungslehre, S. 307.
⁴⁵ Blumenwitz, D./Gornig, G. (Hrsg.), Minderheiten- und Volksgruppenrechte in Theorie und Praxis, S. 25.
⁴⁶ Heintze, H. J., Wege zur Verwirklichung des Selbstbestimmungsrechts der Völker innerhalb bestehender Staaten, S. 37.



ური ავტონომიის მოდელი მიზნად ისახავს სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის განტვირთვას და ადგილობრივი ინიციატივის წახალისებას. ფუნქციური ავტონომიის მეშვეობით, ყოველგვარი ბიუროკრატიული აპარატის გარეშე, ხდება ინდივიდუალურ უფლებათა კოლექტიური რეალიზაცია. ამიტომ, რომ ფუნქციური ავტონომია მიზნულია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესში უმცირესობათა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის ყველაზე მარტივ და ეფექტიან საშუალებად.⁴⁷ ცენტრალური ხელისუფლება, ფუნქციური ავტონომიის შემთხვევაში, ეთნიკურ უმცირესობებს ანდობს ცალკეულ სახელმწიფო ფუნქციათა შესრულებასაც. ნდობის ასეთი ატმოსფერო კი ხელს უწყობს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა ინტეგრირებას და ამავედროულად, ემსახურება ეკონომიკური და მობილური სახელმწიფო აპარატის ფორმირების ამოცანას.

ფუნქციური ავტონომიის მაგალითად ხშირად მოჰყავთ დანიელი უმცირესობის მდგომარეობა გერმანიის ფედერალურ მიწაში – შლეზვიგ-ჰოლშტაინში. თუმცა, აქ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან. ერთი მხრივ, დანიელებს აქვთ „მფარველი სახელმწიფო“ (დანიის სახით), ხოლო მეორე მხრივ, დანიელების ფუნქციურ ავტონომიას საფუძვლად უდევს გერმანული უმცირესობის არსებობა დანიაში.⁴⁸

3.8. ენობრივი ავტონომია

ენობრივი ავტონომია გულისხმობს, რომ ხალხის ჯგუფს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი ენა, როგორც ოფიციალური ენა და აწარმოოს ამ ენაზე მეცადინეობა სკოლებსა

და სხვა სასწავლო დაწესებულებებში ამ ჯგუფის განსახლების ტერიტორიაზე. ენის დაცვას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს უმცირესობათა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. პოლიეთნიკურ სახელმწიფოში ენობრივი ავტონომიის საინტერესო მაგალითია შვეიცარია და ბელგია. შვეიცარიაში ერთენოვანია 22 კანტონი. მათგან გერმანულენოვანია 17, ფრანგულენოვანი 4 და იტალიურენოვანი 1. სამი შვეიცარიული კანტონი ორენოვანია (გერმანული და ფრანგული), ხოლო ერთი – სამენოვანი (გერმანული, იტალიური და რეტო-რომანული).

ინდოეთის კონსტიტუცია ცნობს 15 ენას, რომელიც მოიცავს 387 განსხვავებულ დიალექტს. ამას ემატება ინგლისური, რომელიც ჰინდის მერე მეორე სახელმწიფო ენაა და იგი ინტერკულტურული კომუნიკაციის საშუალებაა.⁴⁹ ენობრივი ფაქტორი ინდოეთში იყო შტატების ფორმირებისა და შემდგომში მათი ტერიტორიული რეორგანიზაციის არსებითი კრიტერიუმი.

4. უმცირესობათა სამართაშორისო-სამართლებრივად დაცული ავტონომია (ალანდის კუნძულები)

ფინეთის შემადგენლობაში მყოფი, მაგრამ, ძირითადად, შვედებით დასახლებული ალანდის კუნძულების სტატუსი მოწესრიგებულია ფინეთის 1920 წლის 7 მაისის კანონით, რომელსაც თავიდან ერქვა „ავტონომიის კანონი ალანდისათვის“. 1951 წლის 28 დეკემბერს მიიღეს ამ კანონის ახალი რედაქცია,⁵⁰ ხოლო 1993 წლიდან მოქმედებს სრულიად ახალი კანონი.⁵¹ კუნძულის სა-

⁴⁷ M. Brems, Die politische Integration ethnischer Minderheiten, 1995, S.132.

⁴⁸ Ipsen, K., Die Minderheitensituation im dänisch-deutschen Grenzraum, in: Mohr, M. (Hrsg.), Friedenssichernde Aspekte des Minderheitenschutzes in der Ära des Völkerbundes und der Vereinten Nationen in Europa, Berlin, 1996, S. 276.

⁴⁹ Khan, R., Socio-Ethic Dimensions of India s Federal Polity, Beograd, 1979, S.30. ციტირებულია Frenkel, M., Föderalismus und Bundesstaat, S. 22.

⁵⁰ Kimminich, O., Rechtsprobleme der poliethnischen Staatsorganisation, München, 1985, S.151.

⁵¹ Hofmann, R., Die rechtliche Stellung der Minderheiten in Finnland, in: Frowein, J. A./Hofmann, R./Oeter, S., Das Minderheitenrecht europäischer Staaten, Teil 1. Heidelberg, 1993, S.122.

მართლებრივი სტატუსი ასევე განსაზღვრულია ფინეთ-შვეციის 1921 წლის 27 ივნისის ხელშეკრულებით.⁵²

ავტონომიის კანონის 36-ე პარაგრაფის თანახმად, კუნძულის ოფიციალური ენაა მხოლოდ შვედური. 1951 წლიდან ალანდის საჯარო სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ შვედურ ენაზე, რაც მზარდ კრიტიკას აწყდებოდა კუნძულზე მცხოვრები ფინელების მხრიდან. ეს გარემოება გაითვალისწინა 1991 წლის თვითმმართველობის კანონმა, რომლის თანახმადაც, საჯარო სკოლებში სწავლება მიმდინარეობს შვედურ ენაზე, თუ პროვინციის კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კუნძულის საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი (Lagting), რომელიც შედგება საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული 30 წევრისაგან. პარლამენტი ნიშნავს მთავრობას (Landskapsstyrelse). ალანდის კუნძულებს გარანტირებული ადგილი აქვს ფინეთის რაიხსტაგშიც. პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილება მოიცავს განათლების და კულტურის საკითხებს, ჯანმრთელობის დაცვას, ეკონომიკურ უფლებამოსილებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის და პოლიციის საკითხებს. პარლამენტს არა აქვს საგადასახადო კანონების მიღების უფლება. ალანდის კუნძულები ფინეთის ბიუჯეტიდან ლეზულობს ფიქსირებულ თანხას, რომელსაც დამოუკიდებლად ანაწილებს კუნძულის პარლამენტი.

ალანდის კუნძულებს აქვს დამოუკიდებელი „სახელმწიფო მოქალაქეობა“ (ალანდის „მოქალაქე“, ცხადია, ამავდროულად ფინეთის მოქალაქეა). კანონის 10-ე პარაგრაფის თანახმად, მას, ვისაც არ გააჩნია ალანდის კუნძულების „რეგიონალური მოქალაქეობა“, ალანდის კუნძულების აღმასრულებელი საბჭოს ნებართვის გარეშე არა აქვს მიწის შესყიდვის უფლება.

თვითონ აღმასრულებელ საბჭოს ნიშნავს ალანდის კუნძულების პარლამენტი, რომელიც არჩეულია რეგიონალური მოქალაქეების მიერ (ავტონომიის კანონის §2.).⁵³

თვითმმართველობის ახალმა კანონმა გაზარდა ალანდის კუნძულების საკანონმდებლო უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთა წრე. კერძოდ, პარლამენტი თვითონ არეგულირებს საეაჭრო გემების მიმოსვლის საკითხს (ალანდის კუნძულების დროშით), ფოსტის საკითხებს (რამდენიმე წელია, რაც კუნძულს თავისი საფოსტო მარკები აქვს) და რადიომაუწყებლობის, აგრეთვე, სოციალურ სფეროს მიკუთვნებულ საკითხთა ფართო წრეს. კანონი ითვალისწინებს საკუთარი ადმინისტრაციული სასამართლოს ჩამოყალიბების შესაძლებლობასაც.⁵⁴

ალანდის კუნძულების მიერ მიღებული კანონი წარედგინება ფინეთის პრეზიდენტს. იმ შემთხვევაში, თუ, პრეზიდენტის აზრით, კუნძულის პარლამენტმა გადააჭარბა თავის საკანონმდებლო უფლებამოსილებების სფეროს, ფინეთის სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია მოითხოვოს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს დასკვნა და შემდეგ, ოთხი თვის ვადაში, გადაწყვიტოს მთლიანად კანონის ან მისი რომელიმე ნაწილის ძალაში შესვლის საკითხი, ან დაადოს მას ვეტო. კუნძულის პარლამენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ფინეთის პარლამენტში. ფინეთის კონსტიტუციაში ან მიმდინარე კანონებში ცვლილებების შეტანა, რომელიც შეეხება ალანდის კუნძულებზე საკუთრების ან მეწარმეობის თავისუფლებას, აუცილებლად მოითხოვს კუნძულის პარლამენტის თანხმობას. ფინეთის პარლამენტი ასევე, ცნობად იღებს ალანდის კუნძულების უფლებამოსილი ორგანოს აზრს იმ საკანონმდებლო საკითხებზე, რომლებსაც გან-

⁵² Veiter, Th., Nationale Autonomie. Rechtstheorie und Verwirklichung im positiven Recht, Wien-Leipzig, 1938, S. 144.

⁵³ Hofmann, R., Die rechtliche Stellung der Minderheiten in Finnland, S. 122.

⁵⁴ იქვე, გვ. 124.

საკუთრებული მნიშვნელობა აქვს ალანდის კუნძულებისათვის. ალანდის კუნძულების ორგანოთა აზრს არა აქვს სავალდებულო ძალა ფინეთის პარლამენტისათვის.

1991 წლის თვითმმართველობის კანონის ახალი თავი შეეხება კუნძულის მონაწილეობას საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებების მომზადებასა და მათი ძალაში შესვლის სფეროში. კანონი ითვალისწინებს კუნძულის მთავრობის მონაწილეობას საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებების მოსამზადებელ სამუშაოებში. გარდა ამისა, კუნძულის მთავრობას უნდა ეცნობოს უცხო სახელმწიფოებთან მიმდინარე იმ მოლაპარაკებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს კუნძულის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებების დადებას ან წარმოადგენს კუნძულების განსაკუთრებული ინტერესის საგანს.

ასეთ შემთხვევაში მოლაპარაკებების პროცესში ჩაებმება კუნძულის მთავრობის წარმომადგენელი. ისეთი ხელშეკრულების ძალაში შესვლა, რომელიც ეწინააღმდეგება თვითმმართველობის კანონის დებულებებს, მოითხოვს ფინეთის რაიხსტაგში საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანისათვის დადგენილ უმრავლესობას და, ასევე, კუნძულის პარლამენტის 2/3-ის თანხმობას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შეეხება საკითხებს, რომელთა შინადასახელმწიფოებრივი რეგულირება განეკუთვნება კუნძულის საკანონმდებლო კომპეტენციას, სარატიფიკაციო კანონის ძალაში შესვლა მოითხოვს კუნძულის პარლამენტის თანხმობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების აღნიშნული ნაწილი არ იმოქმედებს ალანდის კუნძულების მიმართ. თვითონ კუნძულს არა აქვს საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულების დამოუკიდებლად დადების უფლებამოსილება.⁵⁵

ზინა ხუბუა,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი.



⁵⁵ იქვე, გვ. 125.



საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებები საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ ქვეყანაში დაამკვიდრა მმართველობის ე.წ. საპრეზიდენტო სისტემა. იგი ეფუძნება ხელისუფლების სამი შტოს მკაცრ გამიჯვნას და იმავდროულად – მათი მჭიდრო თანამშრომლობის პრინციპს.

1991 წლის 14 აპრილს საქართველოში მიღებულ იქნა კანონი საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაწესების და, ამასთან დაკავშირებით, „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის საფუძველზეც 18 აპრილს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“. ამ ფაქტით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად იქნა გათვალისწინებული პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოს სახელისუფლო სისტემაში. მაგრამ 1991-1992 წლებში დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში პრეზიდენტის თანამდებობა გაუქმდა.

1995 წლის კონსტიტუციამ გაცილებით სრულყოფილად წარმოადგინა პრეზიდენტის ინსტიტუტის მრავალფეროვანი მხარეები. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნის წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით (70-ე მუხლი) და აგრეთვე

მის საფუძველზე საქართველოს კანონით „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 1 სექტემბერს. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით¹. ქვეყნის ძირითადი კანონით გათვალისწინებულია, რომ ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს ყოველ პარტიას ან საინიციატივო ჯგუფს, რომლებმაც კანდიდატის წარდგენის მიზნით არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღისა განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ამის შემდეგ მათ უფლება აქვთ, შეაგროვონ მხარდამჭერთა ხელმოწერები.

პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაცია

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს, მუხლი 70.



ციაში გასატარებლად პარტიამ, ამომრჩეველთა ჯგუფის რწმუნებულმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 40 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია, რომელშიც უნდა იყოს არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერა². არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო სიებში შეტანილი ამომრჩევლების საერთო რაოდენობის უმრავლესობამ. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ხმა მიიღო. თუკი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც პირველ ტურში მოაგროვეს სხვებზე მეტი ხმა. ამ დროს არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მესამედმა მაინც. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო მეტ ხმას მიიღებს, მაგრამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეხუთედისა. თუკი მეორე ტურშიც ვერ აირჩა პრეზიდენტი, ორი თვის განმავლობაში უნდა გაიმართოს ხელახალი არჩევნები.

პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური ეწყობა წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს.

საქართველოს კონსტიტუციამ პროგრესულად განსაზღვრა ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს პრეზიდენტობის კანდიდატი. სამართლიანია, რომ მან ადრე მოქმედ ძირითადი კანონისაგან განსხვავებით მოხსნა პრეზიდენტად არჩევი-

სათვის დაშვებული მაქსიმალური ასაკობრივი ცენზის მითითება. კონსტიტუციის მე-12 მუხლის საფუძველზე პრეზიდენტად შეიძლება არჩეულიყო პირი 35-დან 65 წლის ასაკამდე. მაქსიმალური ასაკობრივი ცენზის გაუქმება მართებულია იმიტომ, რომ ასაკობრივმა ადამიანმაც შეიძლება ეფექტურად მართოს ქვეყანა. კონსტიტუცია არ ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა სახელმწიფო ენის ცოდნა, რომელიმე ეროვნებისადმი კუთვნილება. კონსტიტუციის ეს პოზიცია, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გადასინჯვას საჭიროებს.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ინაუგურაციის ანუ თანამდებობის დაკავების პროცედურა, რომელიც იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს³.

პრეზიდენტი დებს ფიცს საზეიმო ვითარებაში. ფიცის დადება ხდება ხალხის წინაშე. მისი ტექსტი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლით და ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებანი საქართველოში. ახლა გავეცნოთ ანალოგიურ საკითხს მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა მაგალითზე.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში

² პ. ცნობილად, საქართველოს კონსტიტუციური საპარტალი, თბილისი, გამომც. „ლდ.“, 1999, გვ. 230.

³ იქვე, გვ. 231.

საპრეზიდენტო არჩევნების ორი ძირითადი სახე არსებობს: პირდაპირი და ირიბი⁴. თავის მხრივ პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება საყოველთაო არჩევნების სახით ან რეფერენდუმის გზით. ირიბი საპრეზიდენტო არჩევნების სახეები: 1) პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ; 2) პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის და შტატების, პროვინციების, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების წარმომადგენლების მიერ; 3) პრეზიდენტის არჩევა ხმოსანთა კოლეგიის მიერ.

მმართველობის საპრეზიდენტო სისტემის ქვეყნების უმრავლესობაში პრეზიდენტის არჩევნები ტარდება საყოველთაო პირდაპირი არჩევნების გზით. გამონაკლისია აშშ – კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკა და ინდონეზია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტარდება საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ პრეზიდენტს ირჩევს ხმოსანთა კოლეგია. ინდონეზიაში პრეზიდენტს ირჩევს ეროვნული საკონსულტაციო კონგრესი.

პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემის ბევრ ქვეყანაშიც, როგორცაა საფრანგეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, მონღოლეთი და სხვ. ბულგარეთში, ჩეხეთში, თურქეთში, სადაც მოქმედებს მმართველობის იგივე სისტემა, პრეზიდენტს ირჩევენ პარლამენტის დეპუტატების კენჭისყრის გზით. რაც შეეხება საპარლამენტო რესპუბლიკებს, მათთვის ასევე ყველაზე მეტად დამახასიათებელია პრეზიდენტის არჩევა პარლამენტში კენჭისყრის გზით, როგორც ეს ხდება, მაგალითად, იტალიაში, უნგრეთში, შვეიცარიაში, ლატვიაში. მაგრამ აქაც არის გამონაკ-

ლისები: პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება ისეთ საპარლამენტო რესპუბლიკებში, როგორებიცაა ირლანდია, ავსტრია, ისლანდია.

საპრეზიდენტო არჩევნების ტიპი დიდადაა დამოკიდებული მმართველობის სახელმწიფო სისტემის ფორმაზე. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაური და მისი მთავრობა დამოუკიდებელი არიან პარლამენტისაგან. პრეზიდენტი იღებს ხალხისაგან საკუთარ მანდატს ქვეყნის ხელმძღვანელობაზე და იგი ირჩევა საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნებზე. მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია თავის მოქმედებებში სახელმწიფოს მეთაური ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში. მაგრამ მთავრობა ხელისუფლების ამ ფორმის დროს ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. შესაბამისად, ქვეყნის პრეზიდენტს ირჩევენ პირდაპირი ან ირიბი გზით. საპარლამენტო რესპუბლიკის დროს კი, სადაც პრეზიდენტს პრეზიკატევიზა ფაქტობრივად გამოჯნულია მთავრობის უფლებამოსილებისაგან, პარლამენტი ირჩევს სახელმწიფოს მეთაურს და არსებითად ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას.

პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაო პირდაპირი არჩევნების დროს დემოკრატიულ ხასიათს ატარებს და ამომრჩევლებს არჩევანის რეალურ შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არა ერთ, არამედ სულ მცირე რამდენიმე პოლიტიკურ ძალას გააჩნია მეტნაკლებად თანაბარი პირობები წინასწარჩვენო ბრძოლაში მონაწილეობისათვის. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის რეალური წინააღმდეგობაა მრავალპარტიული სისტემის არქონა.

ბევრ აზიურ და განსაკუთრებით აფრიკულ ქვეყანაში, სადაც ახლაც მოქმედებს

⁴ Сахаров Н. А, Институт президентства в современном мире, Москва, "Юридическая литература", 1994, стр. 33.

ერთპარტიული სისტემა, ოპოზიციის კანდიდატებს პრაქტიკულად არა აქვთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსები. მრავალ აფრიკულ ქვეყანაში არჩევნებში ერთადერთ კანდიდატად ფიგურირებს, როგორც წესი, ხელისუფლების სათავეში მყოფი პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად მმართველი პარტიის მეთაურია.

იმავე აფრიკულ ქვეყნებში, სადაც უკანასკნელ წლებში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მრავალპარტიულ საფუძველზე დაიწყო, ოპოზიციურ ძალებსა და მმართველ პარტიას თანაბარი პირობები არა აქვთ. მაგალითად, კენიაში 1993 წლის დასაწყისში ჩატარდა უკანასკნელი 26 წლის მანძილზე პირველი საპრეზიდენტო არჩევნები მრავალპარტიულ საფუძველზე. ამ არჩევნებზე ძირითადი მეტოქეები იყვნენ მმართველი პარტიის აფრიკული ეროვნული კავშირის ლიდერი პრეზიდენტი მოი და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი — მოტიბა. ამ არჩევნების მიმდინარეობისას ოპოზიციის კანდიდატებს უქმნიდნენ ყოველგვარ წინააღმდეგობებს: მათ უკრძალავდნენ ქვეყნის მთავარ რაიონებში მასობრივ მიტინგებზე გამოსვლას, მათ წინააღმდეგ მობილიზებული იყო მთავრობის მიერ კონტროლირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ბევრ მათგანზე თავდასხმა მოეწყო. გარდა ამისა, დაახლოებით 1 მილიონ მოქალაქეს ჩამოერთვა პირადობის მოწმობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება. ადგილი ჰქონდა პრეზიდენტის მომხრე თანამდებობის პირების მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვასაც. საბოლოოდ ოფიციალური შედეგების მიხედვით, პრეზიდენტმა მოიმ 550 ათასი ხმით მეტი მიიღო თავის ძირითად მეტოქეზე და ხელახლა იქნა არჩეული ქვეყნის პრეზიდენტად. ოპოზიციამ კატეგორიულად უარყო არჩევნების შედეგები და მოითხოვა ახალი არჩევნების

ჩატარება. პასუხად პრეზიდენტმა მოიმ დაადანაშაულა ოპოზიცია ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღების მცდელობაში და განაცხადა, რომ მისი რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მიმართ ყველაზე სასტიკ მეთოდებს გამოიყენებდა, მაგრამ ბოლო წლებში აფრიკაში ჩატარებულ ყველა მრავალპარტიულ არჩევნებზე მსგავსი სიტუაცია არ არის. მაგალითად, ზამბიაში 1991 წელს, 20 წლის მანძილზე პირველად, ჩატარებულ მრავალპარტიულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ოპოზიციის კანდიდატმა გაიმარჯვა.

საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატების უმრავლესობა არის პარტიის ლიდერი ან პარტიის წარმომადგენელი. სწორედ მათ გააჩნიათ არჩევნებში გამარჯვების ყველაზე რეალური შანსები, რადგანაც წამყვანი პარტიები ღიდ ზეგავლენას ახდენენ ამომრჩეველებზე. ამავე დროს, ამა თუ იმ საარჩევნო სისტემის დემოკრატიულობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება დამოუკიდებელი, უპარტიო კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობით (არმონაწილეობით). ავტორიტარული საპრეზიდენტო რეჟიმების დროს ასეთი შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხებულია, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში დამოუკიდებელ კანდიდატებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საპრეზიდენტო არჩევნებში.

უნდა ითქვას, რომ ბევრ ქვეყანაში საყოველთაო და პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ერთ და ორ ტურად. იმისათვის, რომ პიროვნება არჩეულ იქნეს პრეზიდენტად, პირველი ტურის შემდეგ, ავსტრიაში, კანდიდატისათვის საკმარისია კენჭისყრაში მონაწილე ყველა ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტის მიღება, საფრანგეთში კი მოითხოვება ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ძირითადი კანონით გათვალისწინებულ ხმათა რაოდენობას პირველ

ტურში, მაშინ ტარდება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომელთაც ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღეს პირველ ტურში. მეორე ტურის გამარჯვებული ხდება პრეზიდენტი.

შარლ დე გოლი საფრანგეთის პრეზიდენტი ხელმეორედ გახდა 1966 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგებით. ლეხ ვალენსაც პოლონეთის პრეზიდენტად არჩეულ იქნა 1990 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ.

განსაკუთრებით ხშირად, საპრეზიდენტო არჩევნები ორ ტურად ტარდება ისეთ ქვეყნებში, სადაც ბევრი პარტიაა. მაგალითად, გვატემალაში, სადაც ლეგალურად მოქმედებს 8 პარტია, 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რეგისტრირებული იყო 12 კანდიდატი და ვერცერთმა მათგანმა ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა პირველ ტურში, 1988 წლის ნოემბერში. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურმა, რომელიც 1989 წლის იანვარში ჩატარდა, გამარჯვებული გამოავლინა.

ზოგიერთ ქვეყანაში (ჩილე, ბოლივია და სხვა) მეორე ტურში პრეზიდენტს ირჩევენ არა საყოველთაო არჩევნებით, არამედ პარლამენტში კენჭისყრის გზით. სწორედ ასე იქნა არჩეული ესტონეთის პრეზიდენტი ლ. მერი, როცა 1992 წლის არჩევნების მეორე ტურში მას ხმა მისცა სახელმწიფო კრების დეპუტატთა უმრავლესობამ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნები თითქმის სულ ტარდება ერთ ტურად, რადგანაც იქ მოქმედებს მათორიტარული საარჩევნო სისტემა შეფარდებითი უმრავლესობით. იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს თითოეულ მის მოწინააღმდეგეზე მეტ ხმას. აშშ-ში ტარდება საყოველთაო, მაგრამ არა პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები. ეს

იმას ნიშნავს, რომ არჩევნების დღეს ამომრჩევლები ხმას აძლევენ შტატების მიხედვით პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებს და ხმოსნებს, რომლებიც ირჩევიან თითოეული შტატიდან იმ რაოდენობით, რამდენი წარმომადგენელიცაა ამ შტატის აშშ-ის კონგრესის ორივე პალატაში. ამომრჩევლების ხმების დათვლის შემდეგ ირკვევა თუ რომელ შტატში მიიღო ამა თუ იმ კანდიდატმა ხმების უმრავლესობა. ნ კვირის შემდეგ თავიანთი შტატების დელაქალაქებში ხმას აძლევენ თითოეული შტატის ხმოსნები და ივარაუდება, რომ ყოველ შტატში ყველა ხმოსანმა ხმა უნდა მისცეს იმ კანდიდატს, რომელმაც მათ შტატში ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო. საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები მაშინ ირკვევა, როცა აშშ-ის კონგრესის სპეციალურ სხდომაზე ხდება ხმოსანთა ხმების დათვლა. კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმოსანთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ოფიციალურად ხდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ამიტომაცაა, რომ კანდიდატები ცდილობენ, უპირველეს ყოვლისა, გაიმარჯვონ იმ შტატებში, სადაც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა – კალიფორნიაში, ნიუ-იორკში, ტენასში, ოჰაიოში, ფლორიდაში და ზოგიერთ სხვაში, რადგანაც ამ შტატებიდან ხმოსანთა კოლეგიაში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ირჩევა.

შეფარდებითი უმრავლესობის სისტემამ აშშ-ში არაერთხელ შექმნა სიტუაცია, რომლის დროსაც პრეზიდენტის პოსტზე ირჩეოდა კანდიდატი, რომელსაც მიღებული ჰქონდა ქვეყნის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე ნაკლები. მაგალითად, 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რესპუბლიკელების კანდიდატმა რ. რეიგანმა. მან მიიღო ამ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 51% და ხმოსანთა 489 ხმა. თუ ვიანგარიშებთ აშშ-ის ყველა ამომ-

რჩევლის საერთო რიცხვს, რომელთაც გააჩნიათ ხმის უფლება საპრეზიდენტო არჩევნებში, აღმოჩნდება, რომ რეიგანს ხმა მისცა ქვეყნის ყველა ამომრჩევლის 30%-ზე ნაკლებმა, ხოლო 45%-ზე მეტმა საერთოდ არ ისურვა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში გავრცელებული პროცედურა პარლამენტის დეპუტატების მიერ პრეზიდენტის არჩევისა, ყველგან მეტ-ნაკლებად ერთნაირია. მაგალითად, იტალიაში ქვეყნის პრეზიდენტი ირჩევა პარლამენტის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სენატისა და დეპუტატთა პალატის წევრები, არამედ სამსამი დელეგატიც ქვეყნის თითოეული ოლქიდან.

იტალიის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. პრეზიდენტად არჩევისათვის აუცილებელია ხმების ორმესამედის მიღება. თუკი პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს პირველ სამ ტურში ხმების საჭირო რაოდენობას, მაშინ შემდგომ ტურებში არჩევისათვის საკმარისია აბსოლუტური უმრავლესობა.

„გერმანიაში ფედერალურ პრეზიდენტს ირჩევს „ფედერალურ კრებად“ წოდებული ამომრჩეველთა კოლეგია, რომელშიც შედიან ბუნდესტაგის დეპუტატები და ამდენივე მიწების ლანსტაგების წარმომადგენლები“⁵. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას დააგროვებს.

სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე კანდიდატის წამოყენების და რეგისტრაციის პროცესები ეროვნული კანონმდებლობით სხვადასხვანაირად წყდება. უნდა აღინიშნოს,

რომ უმრავლეს კაპიტალისტურ ქვეყნებში პრეზიდენტობის კანდიდატს წამოაყენებენ პოლიტიკური პარტიები. აღსანიშნავია, რომ არჩევნების კანონიერებაზე კონტროლი ევალუბათ უმაღლეს სასამართლო ორგანოებს ან კონსტიტუციური ზედამხედველობის სპეციალურ ორგანოებს.

საპრეზიდენტო არჩევნების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა. სხვადასხვა ქვეყანაში გათვალისწინებულია პრეზიდენტის უფლებამოსილების სხვადასხვაგვარი ვადები.

ყველაზე მეტად გავრცელებულია პრეზიდენტის უფლებამოსილების 5 და 4 წლიანი ვადები. უმეტეს ქვეყნებში მოქმედებს ხუთწლიანი ვადა. ამ ხნით ქვეყნის პრეზიდენტს ირჩევენ გერმანიაში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, ისრაელში, ინდონეზიაში, პაკისტანში, ბრაზილიაში და სხვა ქვეყნებში. ოთხწლიანი ვადა დაწესებულია: აშშ-ში, ისლანდიაში, რუმინეთში. ირანში, ზიმბაბვეში, ბოლივიაში, კოლუმბიაში, ჩილეში და სხვა.

მრავალ ქვეყანაში პრეზიდენტი ხელისუფლების სათავეში იმყოფება 6 წლის განმავლობაში – ავსტრია, ეგვიპტე, არგენტინა, მექსიკა, ნიკარაგუა და სხვა; 7 წლით ირჩევენ პრეზიდენტს საფრანგეთში, იტალიაში, ირლანდიაში, თურქეთში და სხვა.

საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადების ამ ამპლიტუდაში უკიდურესობებია პრეზიდენტის არჩევა 1 წლით, ან სამუდამოდ.

შვეიცარიის კონსტიტუციის თანახმად, ამ სახელმწიფოში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს კოლეგიალური ორგანო – ფედერალური საბჭო, რომლის შემადგენლობიდანაც პარლამენტი ყოველწლიურად 1 წლის ვადით ირჩევს სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურს – შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს.

⁵ თ. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ., 1995, გვ. 123.

არჩეული პრეზიდენტი რჩება ერთ-ერთ ფედერალურ მრჩევლად და ხელმძღვანელობს ერთ-ერთ სამინისტროს. მაგალითად, 1993 წელს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი პარალელურად ტრანსპორტის მინისტრის მოვალეობებს ასრულებდა. შვეიცარიის პრეზიდენტს არ გააჩნია არავითარი განსაკუთრებული უფლებამოსილება, რომლებიც აქვს პრეზიდენტს საპრეზიდენტო ან ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში. პრეზიდენტი თავმჯდომარეობს ფედერალური საბჭოს სხდომებს. პრეზიდენტის გარდა, პარლამენტი ყოველწლიურად იმავე ვადით ირჩევს ვიცე-პრეზიდენტსაც, რომელიც, როგორც წესი, ერთი წლის შემდგომ ახალი პრეზიდენტის მიერ ირჩევა. ჩვენი აზრით, განხილული შვეიცარიის მოდელი აბსოლუტურად მიუღებელია. ის, რომ შვეიცარიის პრეზიდენტს არ გააჩნია არავითარი განსაკუთრებული უფლებამოსილება, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებაა, ხოლო ის, რომ პრეზიდენტი პარალელურად მინისტრიცაა, საერთოდ, ამ ინსტიტუტის გამასხრებაა.

ამჟამად, სამუდამოდ არჩევა პრეზიდენტად მსოფლიოს მხოლოდ ერთ ქვეყანაში ხდება. ესაა აფრიკის სახელმწიფო მალავი, რომლის მეთაურმაც პრეზიდენტის პოსტი დაიკავა 1966 წელს. სხვათა შორის არც ისე დიდი ხნის წინათ, მსოფლიოში იყო რამდენიმე სახელმწიფო, რომელთა მეთაურებიც სამუდამოდ იყვნენ გამოცხადებულნი პრეზიდენტებად. ასეთი სტატუსი გააჩნდათ პრეზიდენტ ბურგიბას – ტუნისში, პრეზიდენტ ბოკასას – ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და ზოგიერთ სხვა დიქტატორს. ყველა მათგანი დროთა განმავლობაში დამხობილ იქნა, მათ შემცვლელებმა კი აღარ მოინდომეს ამ მექანიზმის დატოვება.

დიდი მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის

ახლად არჩევის საკითხს. ეს საკითხი სხვადასხვაგვარადაა დარეგულირებული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით.

არგენტინაში, მექსიკაში, ბოლივიაში, ჩილეში და სხვა ქვეყნებში პრეზიდენტი ირჩევა ერთი ვადით და ახლად არჩევის უფლება არ გააჩნია. ვენესუელაში, პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების ვადის დამთავრებისთანავე ხელმეორედ იყაროს კენჭი. მან თავისი პოსტი ახალ პრეზიდენტს უნდა დაუთმოს. ამის გამო პერესმა, რომელსაც პირველად პრეზიდენტის პოსტი 1974-1979 წლებში ეკავა, მეორედ თავისი კანდიდატურის დასახელება შეძლო მხოლოდ 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. პორტუგალიაში, პრეზიდენტობის მეორე ვადის ამოწურვის შემდეგ პრეზიდენტი მესამე ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ 5 წლის შემდგომ. საფრანგეთსა და იტალიაში ახლად არჩევის შემზღუდავი ნორმები არ არის. გერმანიაში ერთი პიროვნება შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორი ვადით.

აშშ-ში, გერმანიის მსგავსად, პიროვნება შეიძლება აირჩეს ორი ვადით. აუცილებელი არ არის ამ თანამდებობის დაკავება ზედიზედ ორი ვადით. თუმცა, ამ შესაძლებლობით აშშ-ის მხოლოდ ერთმა პრეზიდენტმა ისარგებლა. ეს იყო გროვერ კლივლენდი, რომელიც ფედერალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას პირველად 1885-1889, მეორედ კი, 1893-1897 წლებში ედგა სათავეში.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით გვსურს გამოვთქვათ ჩვენი რამდენიმე მოსაზრება. პრეზიდენტის არჩევა 1 წლით და სამუდამოდ რომ უსუსური ვარიანტებია, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ამათ შემდეგ ყველაზე უმართებულოდ მიგვაჩნია ხუთწლიანი მოდელი. ხოლო საუკეთესო კი, ჩვენი აზრით, არის ქვეყნის პრეზიდენტის არჩევა 4 წლის ვადით.

რაც შეეხება პრეზიდენტის ახლად არჩევის საკითხს, აქ მართებულად მიგვაჩნია საფრანგეთისა და იტალიის ვარიანტი. ახლად არჩევა შეზღუდული არ უნდა იყოს. ეს საშუალებას მისცემს ამომრჩევლებს იმდენჯერ აირჩიონ ხელახლა ესა თუ ის პიროვნება პრეზიდენტად, რამდენჯერაც ამისი საჭიროება იქნება. ერთი სიტყვით, ეს ვარიანტი საშუალებას იძლევა, რომ პრეზიდენტი იმდენი ხნის მანძილზე დარჩეს ხელისუფლების სათავეში, სანამ იგი თავისი ქვეყნის ნომერ პირველი პოლიტიკოსი იქნება. ამ შემთხვევაში შეიძლება პიროვნება 20 და მეტი წლის განმავლობაში იყოს პრეზიდენტი, და ეს აბსოლუტურად სწორია, რადგანაც იგი მთელი ამ ხნის მანძილზე ქვეყნის უძლიერესი პოლიტიკური ფიგურაა.

ახლა განვიხილოთ, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები. პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოს კონსტიტუცია მოიცავს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი აუცილებლად უნდა იყოს თავისი ქვეყნის მოქალაქე. ამასთან ერთად, ზოგიერთ ქვეყანაში აუცილებელია ბინადრობის ცენზი. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა ცხოვრობდეს ამ ქვეყანაში სულ ცოტა 14 წლის განმავლობაში. მონღოლეთში ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატი ასევე უნდა ცხოვრობდეს თავის ქვეყანაში. პოლონეთში 1990 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ოფიციალურად რეგისტრირებული იყო და ერთ-ერთი კანდიდატის სახით მონაწილეობდა კანადაში მცხოვრები ს. ტიმინსკი, რომელიც ერთდროულად იყო კანადის, პოლონეთისა და პერუს მოქალაქე.

ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის შემოღებულია ნაციონალურ-ეთნიკური ცენზი. მაგალითად, პორტუგალიაში პრეზიდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ პორტუგალიური წარმოშობის

მოქალაქე. საბერძნეთში პრეზიდენტობის კანდიდატს უნდა ჰყავდეს ბერძენი მამა და უნდა გააჩნდეს საბერძნეთის მოქალაქეობა სულ მცირე 5 წლის მანძილზე. მექსიკაში კანდიდატის არა მარტო მამა, არამედ დედაც უნდა იყვნენ დაბადებით მექსიკელები.

აზიისა და აფრიკის ცალკეულ ქვეყნებში ოფიციალური ან არაოფიციალური ნაციონალურ-ეთნიკური ცენზი პრეზიდენტობის კანდიდატისათვის შეუთავსდება ტერიტორიულ-რეგიონალურ ცენზს.

ევროპულ ქვეყნებსა და აშშ-ში თეორიულად პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ამ ქვეყნების ნებისმიერი მოქალაქე მისი ნაციონალურ-ეთნიკური და რასობრივი წარმოშობის მიუხედავად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებში განუწყვეტლივ იზრდება ლათინოამერიკული და აზიური წარმოშობის ამერიკელების რაოდენობა, ვერც ერთმა პიროვნებამ მათი რიცხვიდან დღემდე ვერ შეძლო ანგლო-საქსონური წარმოშობის თეთრი ამერიკელების მონოპოლიის გარღვევა აშშ-ის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. ეს ვერაინ მოახერხა შავი ამერიკელების რიცხვიდანაც. 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა, დუკაკისმა წააგო კიდევ იმიტომაც, რომ იგი ბერძნული წარმოშობის ამერიკელია.

საერთოდ კი, შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე არ შეიძლება აირჩეს ნატურალიზებული მოქალაქე და სახელმწიფოს მეთაური ხდება მხოლოდ დაბადებით აშშ-ის მოქალაქე.

მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციებში არის ნორმა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტობის კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ პასიური ან აქტიური საარჩევნო უფლება. იტალიის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს

ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. უნგრეთის კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი მოქალაქე.

ბევრ სახელმწიფოში პრეზიდენტობის კანდიდატები არ უნდა იმყოფებოდნენ სამხედრო სამსახურში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს სამოქალაქო პირი. როგორც ცნობილია, აშშ-ში 1953 წელს პრეზიდენტი გახდა გენერალი დუაიტ დეივიდ ეიზენჰაუერი, საფრანგეთში კი 1958 წელს – გენერალი შარლ დე გოლი. მაგრამ მათი კანდიდატურების წამოყენების მომენტი-სათვის ორივე მათგანი დიდი ხანია აღარ იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, მაშასადამე, ისინი სამოქალაქო პირები იყვნენ. უნდა ითქვას, რომ ეს ნორმა დასავლეთში პოლიტიკური კულტურის ორგანული ნაწილი გახდა, თუმცა იგი არ არის გათვალისწინებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის კონსტიტუციებში. მექსიკაში, რომლის ისტორიაშიც იყო სამხედრო გადატრიალებები, კონსტიტუციის თანახმად, იმისათვის რომ პიროვნება ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს, აუცილებელია, რომ იგი არ იმყოფებოდეს სამხედრო სამსახურში 6 თვის განმავლობაში არჩევნების დღემდე. ასეთი ვარიანტი აშკარად მიუღებელია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის პრეზიდენტათვის, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოდიოდნენ სამხედრო გადატრიალებების შედეგად და იმყოფებოდნენ სამხედრო სამსახურში სახელმწიფოს მეთაურად გახდომის შემდეგაც.

მექსიკის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს სასულიერო წოდება. ახლო წარსულში იყო შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტი ერთდროუ-

ლად ეკლესიის უმაღლესი იერარქი იყო. ეს იყო კვიპროსის პრეზიდენტი არქიპისკოპოსი მაკარიოსი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თანამდებობათა ასეთი შეთავსება ძალიან იშვიათია პრეზიდენტობის ინსტიტუტისათვის.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში უკვე არა ერთი ასწლეულია ფუნქციონირებს სისტემა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო სამსახურის პროფესიონალ ჩინოვნიკებს. ისინი, როგორც წესი, არ ხდებიან ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატები. ყოველ შემთხვევაში დღემდე სახელმწიფო სამსახურის სისტემაში მომუშავე ჩინოვნიკებს არ დაუსახელებიათ თავიანთი კანდიდატურა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. ამავე დროს ისეთ თანამდებობის პირებს, როგორცაა ქალაქის მერი ან შტატის გუბერნატორი, შეუძლიათ საპრეზიდენტო კამპანიაში მონაწილეობის მიღება აშშ-ში ან საფრანგეთში. მაგალითად, აშშ-ში დემოკრატიული პარტიის პრეტენდენტებს შორის, 1980 წლის საპრეზიდენტო კამპანიის ადრეულ ეტაპებზე, ფიგურირებდა კალიფორნიის შტატის გუბერნატორი ბრაუნი. მექსიკაში მსგავსი რამ გამორიცხულია, რადგანაც აქ მოითხოვება, რომ სულ მცირე საპრეზიდენტო არჩევნების დღის წინან თვის განმავლობაში პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს არ ეჭიროს შემდეგი თანამდებობები: სახელმწიფო მდივნის (ესე იგი, მინისტრი) ან მისი მოადგილის, რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, შტატის გუბერნატორის და სხვა.

უნდა ითქვას, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობაში პრეზიდენტები მორწმუნე ადამიანები არიან. მაგალითად, აშშ-ში თითქმის ყველა პრეზიდენტი მიეკუთვნებოდა პროტესტანტიზმის ამა თუ იმ მიმართულებას. ერთადერთი გამონაკლისი იყო აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი,

რომელიც კათოლიკე იყო და მისთვის კათოლიკობა ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება გახდა თეთრი სახლისკენ მიმავალ გზაზე. არგენტინაში კი პირიქით, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი აუცილებლად უნდა იყოს კათოლიკე.

დაბოლოს, ბევრ სახელმწიფოში პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის დადგენილი არის ესა თუ ის ასაკობრივი ცენზი. ყველაზე მეტად გავრცელებულია ნორმა, რომლის თანახმადაც ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს 35 წლის ასაკს მიღწეული პირი. ასეთი ასაკობრივი ცენზი სახელმწიფოს მეთაურისათვის დადგენილია აშშ-ში, ავსტრიაში, მექსიკაში, პორტუგალიაში, უნგრეთში, ირლანდიაში და სხვა ქვეყნებში. საბერძნეთში ასაკობრივი ცენზი უფრო მაღალია და 40 წელს შეადგენს. მონღოლეთის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს 45 წლის ასაკს მიღწეული პირი. იტალიაში კი ასაკობრივი ცენზი კიდევ უფრო მაღალია და იგი 50 წელს შეადგენს.

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეჯამებისა და მათი ოფიციალურად გამოცხადების შემდგომ, საპრეზიდენტო რესპუბლიკებში, დგება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდება ძველი პრეზიდენტის მთავრობის მუშაობის დამთავრება და ახალი პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისათვის მზადება. ეს პერიოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში 3 თვეს გრძელდება, რაც საკმარისად ხანგრძლივი ვადაა. ეს ვადა შეიძლება უფრო მცირეც იყოს (ნიკარაგუა, ვენესუელა) და უფრო

ხანგრძლივიც (არგენტინაში ეს პერიოდი შეიძლება გრძელდება).

საკმარისად ხანგრძლივი პაუზა საპრეზიდენტო არჩევნებსა და ახალი პრეზიდენტის მოღვაწეობის დასაწყისს შორის, განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ საჭიროა რაღაც დრო ქვეყანაში პოლიტიკური ვენებათაღელვის ჩასაცხრომად. ამავე დროს, აუცილებელია ძველ პრეზიდენტსა და მის მთავრობას მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ მათ დაამთავრონ თავიანთი მოღვაწეობა და ახალი პრეზიდენტი და მისი „რანში“ ყველაზე უფრო გადაუდებელი სახელმწიფო საქმეების საქმის კურსში შეიყვანონ, მეორე მხრივ, ახლადარჩეულ პრეზიდენტს ასევე აუცილებლად სჭირდება განსაზღვრული დრო იმისათვის, რომ მოემზადოს ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავებისათვის.

იმ ქვეყნებში, რომლებშიც ქვეყნის პრეზიდენტი ირჩევა არა საყოველთაო არჩევნებით, არამედ პარლამენტში კენჭისყრის გზით, ახალი პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავება დაუყოვნებლივ ხდება. მაგალითად, საბერძნეთში პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს, საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის დეპუტატების მიერ მისი არჩევის მეორე დღეს. ასევე ოპერატიულად იწყებენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას იტალიის, ინდოეთისა და ლატვიის პრეზიდენტები. მათ მიერ ფიცის მიღების ცერემონია პარლამენტის სპეციალურ სხდომაზე საზეიმო ვითარებაში ხდება.

როსტომ ცხეველიანი,

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ასპირანტი.



სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ნინო ხოფერია

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოკასუხის ბამოუცხადებლობის ბამო

გაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი გამოიხატება იმაში, რომ მხარეს, რომელიც არ გამოცხადდება საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ დანიშნულ სხდომაზე, დაეკისრება არახელსაყრელი შედეგები, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის წინააღმდეგ იქნება გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ამ საკითხთან მიმართებაში საკმაოდ ხშირად წამოიჭრება შეკითხვები, ხომ არ ნიშნავს საკითხის ასეთი ფორმით გადაჭრა მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვას და საბოლოო ჯამში შეჯიბრებითობის პრინციპის შეზღუდვას.

დაუსწრებელი წარმოება მთლიანად რომაულ-კანონიკური სამართლის განვითარების შედეგია. თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ მხარეთა დამოუკიდებლობისას პროცესუალური პრინციპების დაცვით, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალნაირად დარეგულირდა. კონტინენტური ევროპის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა (ფრანგული, ინგლისური, იტალიური, ავსტრიული) იცნობს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ბამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ.¹ საქართველოს

ახალმა საპროცესო კოდექსმა ასევე გაითვალისწინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მექანიზმები, განსხვავებით საბჭოური სამართალისაგან, რომელიც ასეთ შესაძლებლობას არ ცნობდა და ამდენად საქმის განხილვისა და გადაწყვეტის გაჭიანურებას უწყობდა ხელს.

როგორ გამოიხატება დაუსწრებელი გადაწყვეტილების დადებითი და უარყოფითი მხარეები?

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე მხარის დაუსწრებლობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის დროსაც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არავითარი ყურადღება არ ექცევა და ის მხარე, რომელმაც არ გამოიყენა შესაძლებლობა თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები განეკარგა, საკუთარი პრეტენზია თვითონვე გადაწყვიტა.

ბევრი იურისტის აზრით, ასეთი „სანქცია“ გაუმართლებელია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ასეთ დროს ხდება არასამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ვალდებულია კი სასამართლო ყოველთვის სამართლიანი იყოს?

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბამოტანის შესაძლებლობა დისპოზიციურობის პრინციპის ბამოხატულებათ, რამეთუ მხა-

¹ Schima, Die Versäumnis im Zivilprozeß, 1928.



რეგულაციები აირჩიეს საკუთარი ნების ავტონომიის განკარგვის გზა. როდესაც საპროცესო სამართალი მოსარჩელეს აძლევს შესაძლებლობას ნებისმიერ დროს უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხემ ცნოს და აღიაროს სარჩელი, ან მხარეები მორიგდნენ, სასამართლო ვალდებულია მიიღოს მხარეთა მიერ პროცესის შედეგებისადმი შესაბამისი გადაწყვეტილება, რამეთუ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების დროს მხარეთა გაბატონებული მდგომარეობა ძირითადი და წამყვანი იდეაა.²

შეჯიბრებითობის პრინციპის გაბატონებული მდგომარეობის დროს მოსამართლე ირკვევს არა საქმის ჭეშმარიტ მასალებს, არამედ ყურადღებას აქცევს მხოლოდ ფაქტობრივ სიტუაციას – დაუსწრებლობას.³ რამ და რატომ გამოიწვია დაუსწრებლობა, მეორე საკითხია.

მოსამართლე განთავისუფლებულია ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მოვალეობიდან იმ გაგებით, როგორც ამას ჰქონდა ადგილი საბჭოურ პრაქტიკაში.

ამრიგად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის პრაქტიკულად გამოვლენის შედეგებია და არა პირიქით, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს.

რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების დარეგულირებას ქართულ კანონმდებლობაში, ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა:

- რომელიმე მხარის გამოუცხადებლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე;
- როცა მხარე სასამართლოს სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდება, მაგრამ

² Grunsky, Grundlagen des Verfahrensrechts, 2. Aufl. 1974.

³ Schima, Die Versaumnis im Zivilprozess, 1928.

საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარს განაცხადებს.

მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები მოცემული გვაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-231-ე მუხლებში. ჩვენ ამჯერად მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ მოპასუხის გამოუცხადებლობის შედეგებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაშინ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო მიიჩნევს დამტკიცებულად და გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

რას გულისხმობს სარჩელში მითითებული გარემოებების იურიდიულად გამართლება? მაგალითად, სარჩელში მითითებულია, რომ მოპასუხემ არ დააბრუნა ვადაზე სესხად აღებული 1000 ლარი და ამის საფუძველზე მოითხოვს არამართო აღნიშნული თანხის დაბრუნებას თავის პროცენტებიანად, არამედ მოპასუხის მთელი ქონების ჩამორთმევას და მისთვის გადაცემას, ვინაიდან მან გატეხა სიტყვა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოპასუხის გამოუცხადებლობის დროს დამტკიცებულად ითვლება 1000 ლარის ოდენობის სესხის არსებობის ფაქტი, მაგრამ იურიდიულად ეს ფაქტი არ ამართლებს და ვერ დაედება საფუძველად იმ აბსურდულ მოთხოვნას, რომ სიტყვის გატეხის გამო მოპასუხეს უნდა ჩამოერთვას მთელი მისი

ქონება და გადაეცეს მოსარჩელეს. ამიტომ, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს იმ ნაწილში, რომელშიც დამტკიცებულად და დადასტურებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ასაბუთებენ (ამართლებენ) მოსარჩელის მოთხოვნას, ხოლო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც არაა დასაბუთებული იურიდიულად, უარი უნდა ეთქვას.⁴

თითქმის ანალოგიურად არის საკითხი გადაწყვეტილი გერმანულ სამართალშიც. მოპასუხის გამოუცხადებლობის დროს, თუ სარჩელი დაუშვებელი და დაუსაბუთებელია, როგორც ლიტერატურაში და პრაქტიკაში ამბობენ, ადგილი აქვს ე.წ. არანამდვილ (unechtes) დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.⁵

აქ წამოიჭრება მეორე პრობლემა. როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ასეთ დროს მოსამართლემ, დაუსწრებელი თუ ჩვეულებრივი? გერმანულ პრაქტიკაში ამ დროს ამბობენ, რომ გამოტანილი უნდა იყოს ნაწილობრივ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელშიც ფაქტები დასაბუთე-

ბულია, ხოლო სარჩელზე უარის თქმა უნდა მოხდეს ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით იმ ნაწილში, რომელშიც იურიდიული დასაბუთება არ გვაქვს. ორივე დადგენილება მიიღება ერთი გადაწყვეტილების სახით, რომელსაც ეწოდება ნაწილობრივ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ასეთი პრაქტიკა ჩვენს სასამართლოებში ჯერჯერობით არ არის. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ დროს გამოტანილი უნდა იყოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ ან მთლიანად დაუკმაყოფილებლობის შესახებ, ვინაიდან სასამართლო მსჯელობს ფაქტებზე, რომელსაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების დროს ადგილი არ აქვს. ფაქტებზე მსჯელობისა და აქედან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად კი სასამართლო იღებს ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას.

იმედია, სასამართლო პრაქტიკა უახლოეს მომავალში მოაწესრიგებს აღნიშნულ პრობლემას.

ნიკოლოზ ხოშიაძე,

თსუ სამოქალაქო და საპროცესო სამართლის კათედრის
წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



⁴ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 1999.
⁵ Stein/Jonas/Grunsky, § 331 Rn. 19,20.

საკუთრების მინდობა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი ინსტიტუტი

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საკუთრების მინდობის ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის¹ 724-ე – 729-ე მუხლებმა განსაზღვრეს მინდობის ცნება, მინდობილი მესაკუთრის სტატუსი, საკუთრების მინდობასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების თავისებურება. კანონმდებელი განამტკიცებს საკუთრების ხელშეკრულების ფორმას, მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობის წესს მესამე პირებთან ურთიერთობაში. მოცემულია ბლანკეტური ნორმაც, რომლის თანახმადაც საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები (კოდექსის 729-ე მუხლი). კანონმდებელი არ სარგებლობს ისეთი ცნებებით, როგორცაა: „ტრასტი“, საკუთრების „მინდობილი მართვა“, ფიდუციარული საკუთრება, რაც თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ნიშნავს სწორედ მინდობილ საკუთრებას. არ გამოიყენება არც „ბენეფიციარის“, ანუ სარგებლობის მიმღებების ცნება. კოდექსი შემოიფარგლება ცნებებით „საკუთრების მინდობა“, „მინდობილი მესაკუთრე“ და „საკუთრების მიმდობი“.

ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგება უმეტესწილად მიმდინარეობს არა აღმინ-

ისტრაციული (მბრძანებლური) მეთოდების გამოყენებით, არამედ ეკონომიკური ბერკეტებისათვის (კომერციული საწყისებისათვის) უპირატესი მნიშვნელობის მინიჭებით. ამ ვითარებაში საკუთრების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს განსაკუთრებული დატვირთვის მნიშვნელობა ენიჭებათ.

ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე სუბიექტი უნდა იყოს დაინტერესებული ურთიერთობათა საბოლოო შედეგებით, ხოლო ქონების უნიათო მართვისას მასვე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.

საკუთრების მინდობა, ანუ ტრასტი (ამ სახელწოდებით არის ცნობილი საკუთრების მინდობა ინგლისურ-ამერიკულ კანონმდებლობაში და გავრცელებულია მის ფარგლებს გარეთ) დამახასიათებელია ინგლისურ-ამერიკული სამართლისათვის. ტრასტი (Trust), როგორც საპრეცედენტო სამართლის² განშტოების – სამართლიანობის სა-

² საპრეცედენტო სამართალი (case law) შედგება ორი ნაწილისაგან: საერთო სამართლისაგან (common law) და სამართლიანობის სამართლისაგან (law of equity). ორივე ნაწილი ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში. ჯერ ჩამოყალიბდა საერთო სამართალი, ხოლო მოგვიანებით (XVII საუკუნეში) სამართლიანობის სამართალი. ამ უკანასკნელისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების სამართალს, სახელშეკრულებო (საკონტრაქტო) სამართლის და სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს – საკუთრების მინდობას, ანუ ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ჩამოყალიბებას.

¹ შემდგომში კოდექსი.

მართლის (law of equity) სპეციალური ინსტიტუტი აღმოცენდა შუასაუკუნოვან ინგლისში.

XX საუკუნეში ეს ინსტიტუტი სხვადასხვა მოდიფიკაციით ახასიათებს არა მხოლოდ ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის კანონმდებლობას, არამედ დამკვიდრდა იმ ქვეყნების სამართლის სისტემებშიც, რომლებიც ტრადიციულად მიეკუთვნებიან კონტინენტალური, ანუ რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობას.

მინდობილი საკუთრების, ან როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, მინდობილი მართვის მომწესრიგებელი ნორმები, თავისებურებების გათვალისწინებით, განმტკიცებულია: საფრანგეთის, შვეიცარიის, გერმანიის, რუსეთის, იაპონიის და ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობით.³

განსხვავებული სამართლის სისტემების დაახლოება არ არის ალოგიკური, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სამართლის ინტერნაციონალიზაცია, რაც იწვევს სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების დაახლოების პროცესს. კონტინენტალური სამართლის სისტემა აღარ გვეკლინება პირველდაწყებითი სახით, ადგილი აქვს ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ნორმათა რეცეფციას. თავის მხრივ, არც ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემა დარჩა უცვლელი. ამჟამად ძნელია აშშ-ს სამართალს ეწოდებოდეს მხოლოდ საპრეცედენტო სამართლის სისტემა. ქვეყანაში მო-

³ Гражданские и торговые права капиталистических государств, Часть 1, ответ. ред. Нарышкина Р.Л., М., 1983, с.264; Кряжков А. В. - Доверительное управление имуществом России: Формирование института и сферы применения // Государство и право, 1997, №3, с. 22-31; Михеева Л. - Ценные бумаги и денежные средства как объекты доверительного управления // Хозяйство и право, 1998, №9, с. 41.

ქმედებს უნიფიცირებული სავაჭრო კოდექსი (Unifom Commercial Cod). მრავალ შტატში კანონმდებლობა კოდიფიცირებულია, ამასთან სხვადასხვა შტატის კანონმდებლობა, არაიშვიათად, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შედეგად ერთი შტატის იურისტს უფლება არა აქვს დამოუკიდებლად ეწეოდეს კერძო პრაქტიკას სხვადასხვა შტატის სასამართლოებში.⁴

იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს სახელმწიფოთა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის დაახლოების ტენდენციის პროცესი.⁵

კომუნისტური რეჟიმის პერიოდში საქართველოში ისევე, როგორც მთელ ყოფილ სსრ კავშირში, აგრეთვე ე.წ. პოსტკომუნისტურ დროს სათანადო ყურადღება ეთმობოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის (პრეზიდიუმის) მიერ მიღებულ დადგენილებებს კონკრეტული საქმეების განხილვისას,⁶ ასეთი დადგენილებები იყო მიჩნეული, როგორც კაუზალური განმარტების მქონე აქტი, რომლებსაც იძლეოდა სასამართლოს ორგანო კონკრეტული საქმის თაობაზე და ფორმალურად ატარებდა სავალდებულო ხასიათს მხოლოდ მისი განხილვისას. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ავტორიტეტი, აგრეთვე იმის შიში, რომ ზემდგომი ინსტანციის საზედამხედველო

⁴ აღნიშნულ გარემოებას სამართლიანად მიაქცია ყურადღება ლ. ჭანტურიამ. იხ. ლადო ჭანტურია - შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში (დამხმარე სახელმძღვანელო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), გამომც. „სამართალი“, თბ., 1997, გვ.89.

⁵ Алексеев С.С. Теория право. Харьков, 1994, с. 204-205; Давид Р., Жофре-Спинози К. - Основные правовые системы современности. М., 1996, с. 23-24.

⁶ დღეს მოქმედი კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ აღარ ითვალისწინებს კონკრეტული საქმეების განხილვას სასამართლოს პლენუმზე.

სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არაიშვიათად იძენდა გადაწყვეტი ფაქტორის მნიშვნელობას საერთო კომპეტენციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებები რეალურად განამტკიცებდნენ საქართველოში საპრეცედენტო სამართლის საწყისებს. აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ საქართველოსათვის არ ყოფილა და არც ამჟამადაა უცხო საპრეცედენტო სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები.

წინამდებარე წერილი არ ისახავს მიზნად დაახასიათოს ტრასტის, როგორც ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტის შინაარსი. შრომის მიზანია ახსნას იმ ნორმათა არსი, მათი ბუნება, რომლებმაც პოვეს ასახვა კოდექსში საკუთრების მინდობის ცნების ქვეშ.

სამართლის ცალკეული ნორმების დახასიათებამდე მკითხველს ვაუწყებთ, რომ არსებობს ორგვარი კონცეფციალური მიდგომა საკუთრების მინდობის ნორმათა ბუნების დახასიათებისას: ა) საკუთრების მინდობა ანუ ტრასტი მიეკუთვნება სანივთო (ქონებრივი) სამართლის ნორმებით მოსაწესრიგებელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ამ კონცეფციისათვის დამახასიათებელია ტრასტის ინგლისურ-ამერიკული ინსტიტუტის რეცეფცია კონტინენტალური სამართლის სისტემისათვის. ამგვარი გაგებით უნდა ვაღიაროთ, რომ საკუთრების უფლება ერთსა და იმავე ქონებაზე ერთდროულად შეიძლება ეკუთვნოდეს ერთზე მეტ სუბიექტს. აღნიშნული კონცეფციისათვის დამახასიათებელია საკუთრების უფლებამოსილების „გახლეჩის“ დაშვება.⁷

ბ) საკუთრების მინდობა (ტრასტი, ან როგორც მას ზოგჯერ უწოდებდნენ მინდ-

ობილი მართვა) მიეკუთვნება არა სანივთო, არამედ სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) სამართლის ნორმებს. ამ კონცეფციის შესაბამისად საკუთრების უფლება ყველაზე გავრცელებული სახელშეკრულებო უფლებაა. ამასთან, მხოლოდ მესაკუთრეს შეუძლია განახორციელოს მის კუთვნილ ქონებაზე სრული ბატონობა. მესაკუთრეს შეუძლია მისი უფლებამოსილების ნაწილი (მფლობელობა, სარგებლობა, ქონების განკარგვა) გადასცეს სხვა პირს და ამასთან პირვანდელი მესაკუთრე კვლავ დარჩეს კონკრეტული ქონების მესაკუთრედ. პირი, რომელიც მიიღებს ქონებას საკუთრების მინდობით (მართვით), არ იძენს მინდობილ ქონებაზე საკუთრების უფლებას. მინდობილი მესაკუთრის (მმართველი) უფლებამოსილება შეზღუდულია საკუთრების მინდობის (საკუთრების მართვის) ხელშეკრულებით.⁸

სანივთო და სახელშეკრულებო (ვალდებულებებით) სამართლებს შორის განმასხვავებელი ნიშნები შემდეგია: სანივთო სამართალურთიერთობები ატარებენ აბსოლუტურ ხასიათს, მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) ურთიერთობების სუბიექტებად გვეკლინებიან ყოველთვის მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული პირები; სანივთო სამართლებრივი ურთიერთობები, სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) ურთიერთობებისაგან განსხვავებით, ატარებენ უდავო ხასიათს; სანივთო სამართლებრივი

⁸ Суханов Е. - Общие положения о праве собственности и других вещных правах // Хозяйство и право, 1995, №6, с. 29-46; Суханов Е. Право хозяйственного ведения, право оперативного управления // Хозяйство и право, 1995, №7, с. 3-12; Дозорцев В. А. - Доверительное управление // Вестник Высшего арбитражного суда 1996 №12, с. 117-128; Кряжков А.В. - Доверительное управление имуществом России: Формирование института и сферы применения // Государство и право, 1997, №3, с. 22-31; Генкин А. С. Эффективный траст, опыт западной Европы и Российская практика, Издательский дом "Альпина", 1999 и др.

⁷ Рябов А. А. - Траст в Российском праве // Государство и право, 1996, №9, с. 42-51.

ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლები, მათი პირობები და ფორმა მკაცრად განსაზღვრულია კანონმდებლობით, ხოლო სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლები განსაზღვრულია სამოქალაქო კანონმდებლობით სანიმუშო სახით, არაამომწურავად; სარჩელი, მიმართული აბსოლუტური უფლებების დასაცავად, ყოველთვის თან სდევს ნივთს (ქონებას); სხვადასხვა, განსხვავებული წესები და პირობებია დადგენილი სანივთო სამართლებრივი უფლებებისა და სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) უფლებების გადაცემისათვის; აბსოლუტური უფლების ობიექტი უნდა იყოს ყოველთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი (ქონება). მაგალითად, შეუძლებელია პირი იყოს აბსტრაქტული ასი ლიტრი ზეთის მესაკუთრე ზოგადად, საკუთრების ობიექტად ყოველთვის ჩაითვლება კონკრეტულად განსაზღვრული ასი ლიტრი ზეთი. თუ შეუძლებელია ნივთის ინდივიდუალიზაცია, ასეთი ობიექტი შეიძლება იყოს გამოყენებული მხოლოდ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში და ვერ იქნებოდა გამოყენებული როგორც სანივთო სამართლის ურთიერთობათა ობიექტი.⁹

გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ მიმდინარეობს სანივთო და ვალდებულებითი ურთიერთობების დაახლოება. ისინი იძენენ ურთიერთგამჭოლ ხასიათს, მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს,¹⁰ სადავოა.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლო-

ბით საკუთრების მინდობის მომწესრიგებელი ნორმათა ერთობლიობა მიეკუთვნება არა სანივთო, არამედ სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) სამართლის ნორმებს. საქართველო ტრადიციულად მიეკუთვნება კონტინენტალური სისტემის მქონე ქვეყანათა ჯგუფს.

კანონმდებელმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად საკუთრების მინდობის ინსტიტუტის სანივთო სამართლის ინსტიტუტად აღიარება. ამ მიმართებით დაცული იყო სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიციის ტრადიციების თანმიმდევრობა. არსებობდა სხვა დამაბრკოლებელი გარემოებებიც. არსებობდა ვარაუდი იმისა, რომ საკუთრების მინდობის სანივთო სამართლის ინსტიტუტად დამკვიდრებას შესაძლებელი იყო გამოეწვია მინდობილი მესაკუთრის უფლებათა უმართებულო გაფართოება, რაც სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების დატაცების რეალურ საფუძველს შექმნიდა. ძირითადი მიზეზი და უხერხულობა, თუ რატომ არ მიიჩნია კანონმდებელმა საკუთრების მინდობა სანივთო სამართლის ინსტიტუტად, ჩემი აზრით, მდგომარეობს შემდეგში:

ქონება საკუთრების უფლებით შეიძლება ჰქონდეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საქართველოსა და მის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს (ავტონომიური რესპუბლიკა, რეგიონი, სახელმწიფო მმართველობის ქვემდგომი ორგანო, მუნიციპალური წარმონაქმნი), ხოლო ტრასტის ინგლისურ-ამერიკული გაგებით მექანიკური რეცეფცია გამოიწვევდა ერთსა და იმავე ქონებაზე ერთზე მეტი მესაკუთრის დაშვების აღიარებას. ამასთან, ყველა პირის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილება ერთნაირად უნდა იყოს დაცული სასამართლო წესით. სამოქალაქო უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო ყველა სხვა სუბიექტის მიერ მიღებული აქტი, რომელიც ზღუდავს მესაკუთრის უფლებამოსილებას, არ ექვემდებარება გამოყენებას.

⁹ დაწვრილებით იხ. Ефремов Л.Г. - О соотношении вещных и обязательных прав // Государство и право, 1998, №10, с. 35-44.

¹⁰ Брагинский М. И., Витрянский В.В. - Договорное право. Общие положения. М., 1997, с. 229-238.

კოდექსში განმტკიცებული საკუთრების მინდობის ნორმათა კვლევა აქტუალობას იძენს იმ მიმართებითაც, რომ ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ახალი კოდექსი აღარ შეიცავს ნორმას ქონების ოპერატიული მართვის (სამეურნეო გამგებლობის) შესახებ.

კოდექსი იძლევა საკუთრების მინდობის ცნების შემდეგ დეფინიციას: „საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმდობი გადასცემს ქონებას მიმდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად“ (724-ე მუხლი). ქონების გადაცემა საკუთრების მინდობით არ იწვევს საკუთრების უფლების გადასვლას მიმდობილ მესაკუთრეზე.

მინდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმდობის რისკითა და ხარჯით. ამასთან, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით.

მინდობილი მესაკუთრე, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას კომერციულ საწყისებზე, უნდა იყოს ადჭურვილი ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის სფეროში ფართო უფლებამოსილებით. კოდექსი (იხევე, როგორც ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი) არ ადგენს ვალდებულებათა სახეების ნუსხის ამოწმურავ ჩამონათვალს. სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება (კოდექსის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი).

პრაქტიკა ადრეც აყენებდა დღის წესრიგში სხვისი ქონების ავტონომიური მართვის აუცილებლობას: ანდერძის აღსრულებისას, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ქონების მართვისას, ან იმ პირის ქონების მართვისას, რომელიც საჭიროებს

მეურვეობასა და მზრუნველობას. ეკონომიკის მართვის ახალი სისტემის დანერგვა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საკუთრების მინდობის გამოყენებას სამეწარმეო სფეროში. მაგ., საბანკო დაწესებულების საკუთრების მინდობით გადაცემა მისი სანაციის პერიოდში.

კანონმდებელმა დანერგა საკუთრების მინდობის ორი ფორმა.

პირველი ფორმა გულისხმობს საკუთრების მინდობას კომერციულ საწყისებზე (საბანკო დაწესებულებების საკუთრების მინდობის სატრასტო ოპერაციები, პრივატიზების პროცესში შექმნილი სააქციო საზოგადოებათა სახელმწიფო წილი აქციათა დასტის (ანუ ბაკეტის) საკუთრების მინდობით გადაცემა; ცალკეული საფინანსო-სამრეწველო ფკუფის მიერ გაერთიანებული კონცენტრირებული კაპიტალის საკუთრების მინდობით გადაცემა; არასახელმწიფო საბენსიო ფონდების აქტივობის საკუთრების მინდობით გადაცემა; საბაიე-საონგესტიციო ფონდების აქტივების საკუთრების მინდობით გადაცემა; კავშირის, ასოციაციების ფონდების ქონების საკუთრების მინდობით გადაცემა და სხვ.). მიზანია, რომ მომავალში სახელმწიფო და მუნიციპალურ საჯარო იურიდიულ პირებს, შესაძლებელია გადაეცეთ ქონება სწორედ საკუთრების მინდობის უფლებით.

კომერციულ საწყისებზე დაფუძნებული საკუთრების მინდობა პოვებს უფრო ფართო გავრცელებას მას შემდეგ, რაც რეალურად ამოქმედდება კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ.

საკუთრების მინდობა შეიძლება განხორციელდეს არაკომერციული ფორმითაც, უსასყიდლოდ, როდესაც მინდობილი მესაკუთრე არ იღებს გასამრჯელოს, ან სასყიდლით. კომერციულ საწყისზე დაყრდნობით მითითებულ ორ ფორმას ახასიათებს არსებითი განსხვავება. წინამდებარე წერილში მეტი ყურადღება ეთმობა საკუთრების მინდობის

კომერციული, როგორც წამყვანი ფორმის დახასიათებას.

კანონმდებელი უშვებს მხოლოდ ქონების (ნივთის) და არა ორგანიზაციის (საწარმო ან დაწესებულება, რომელიც სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით) გადაცემას საკუთრების მინდობით. შესაბამისად, როდესაც საკუთრების მიმდობს (ანუ ტრასტის დამფუძნებელს) სურს მთელი ორგანიზაციის (საწარმოს, დაწესებულების) გადაცემა საკუთრების მინდობის უფლებით, წინასწარ უნდა მოხდეს იურიდიული პირის ლიკვიდაცია. ლიკვიდირებული იურიდიული პირის ქონება შეიძლება იყოს გადაცემული, როგორც ქონება საკუთრების მინდობით. თუ საკუთრების მინდობით ხდება არა მთელი საწარმოს, არამედ მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ფილიალის, საამქრო, წარმომადგენლობა, განყოფილება) გადაცემა საკუთრების მინდობით, იურიდიული პირის ლიკვიდაცია გამოირიცხება.

საკუთრების მიმდობსა (ტრასტის დამფუძნებელსა) და მინდობილ მესაკუთრეს (ფიდუციარს) შორის აღმოცენდება ვალდებულებითი ხასიათის ურთიერთობები. საკუთრების მინდობის დეფინიცია არ მიუთითებს ვადაზე, როგორც ხელშეკრულების არსებით (ძირითად) პირობაზე. აღნიშნული ხარვეზი უნდა შეივსოს. სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) ურთიერთობების აუცილებელი პირობაა ვადა, ამიტომ საკუთრების მინდობის დეფინიცია უნდა დაზუსტდეს და შეივსოს ვადის, როგორც არსებითი პირობის დადგენით.

სანიეთო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, ვალდებულებით ურთიერთობებში ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა შორის ვალდებულებები წყდება, თუ ხელშეკრულებაშივე მხარეები არ განსაზღვრავენ ურთიერთობათა პროლონგირების წესს.

მინდობილ მესაკუთრეს ევალება ნაკისრ

ვალდებულებათა სისტემატიური და არა ერთჯერადი შესრულება. დავახასიათოდ ხელშეკრულების ბუნება.

საკუთრების მინდობის აღმოცენების საფუძველი, ყველა შემთხვევაში, ხელშეკრულებაა, ვინაიდან აუცილებელია მინდობილი მესაკუთრის (ფიდუციარის) წინასწარი თანხმობა. აუცილებელია აგრეთვე ხელშეკრულების დასადავად მესაკუთრის ან ამისათვის უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობა. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ხელშეკრულების დადებას წინ უნდა უძღოდეს ხელისუფლების ორგანოს მიერ მიღებული აქტი (მაგ., მეურვის დანიშვნა, სალიკვიდაციო კომისიის აქტი და ა.შ.). ასეთ აქტში მითითებულ ორგანოს ევალება მინდობილი მესაკუთრის შერჩევა, მასთან ხელშეკრულების შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულებას დებს არა ქონების მესაკუთრე, არამედ სხვა პირი (მაგ., მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, როდესაც პირი გამოცხადდება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, კოდექსის 21-ე მუხლი).

საკუთრების მინდობის ხელშეკრულება იდება წერილობით (კოდექსის 729-ე მუხლი). კანონმდებელი არ მიუთითებს ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებაზე და ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე. აღნიშნული რეგლამენტაცია მიმართა არასრულწლოვანებს. ხელშეკრულების ფორმის განმსაზღვრელი ნორმა უნდა დაზუსტდეს. დისპოზიციით უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ხელშეკრულებით უძრავი ქონების გადაცემისას უნდა იყოს გამოყენებული კოდექსით დადგენილი უძრავი ქონების გასხვისების წესები. აუცილებელი უნდა იყოს ხელშეკრულების სანოტარო ფორმის დაცვა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

ქონება (ნივთი), რომელსაც საკუთრების მიმდობი გადასცემს მინდობილ მესაკუთრეს, უნდა იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული. დაუშვებელია გვაროვნული ნიშნით გან-

საზღვრული ქონების გადაცემა. მითითებული პირობა განპირობებულია ამავე გარიგების ბუნებით. ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, ან ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით ვადამდე მოშლისას საკუთრების მიმდობს უბრუნდება მესაკუთრისათვის ადრე გადაცემული ქონება. საკუთრების მიმდობის ხელშეკრულება ობიექტის სახით შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ ქონებასაც, რომელსაც საკუთრების მიმდობი შეიძენს მომავალში, ან ქონება, რომელიც საკუთრების მიმდობის ხელშეკრულების დადებისას ჯერ არ არსებობს ბუნებაში. ასეთი ქონება გახდება მთლიანი ხელშეკრულების, მაგრამ არა საკუთრების მიმდობის საგანი (იგულისხმება, რომ მხარეთა შორის ფორმდება მიმდობის ხელშეკრულება, რომელიც დამატებით უშვებს კიდევ სხვა, მომავალში შეძენილი ქონების შეერთებას საკუთრების მიმდობით უკვე გადაცემულ ქონებასთან). ხელშეკრულებაში უნდა აისახოს ის კრიტერიუმები, თუ როგორ შეუერთდება მომავალში შექმნილი (შეძენილი) ქონება იმ ქონებას, რომელიც ადრე უკვე იყო გადაცემული საკუთრების მიმდობით.¹¹

საკუთრების მიმდობით გადაცემული ქონება უნდა იყოს გამოყოფილი და განკერძოებული, როგორც მიმდობილი მესაკუთრის, ასევე საკუთრების მიმდობის ქონებისაგან. ასეთი განკერძოებულობა უნდა იყოს დოკუმენტურად განმტკიცებული.

ხელშეკრულების ობიექტად ჩემი აზრით, შეიძლება გვევლინებოდეს მხოლოდ ისეთი ქონება, რომელიც ექსპლუატაციისას (მოხმარებისას) არ ნადგურდება. მაკროეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, საკუთრების მიმდობის ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ქონება, რომელიც ექსპლუატაციისას მონაწილეობს წარმოების არა

მხოლოდ ერთ ციკლში. შესაბამისად, საკუთრების მიმდობის ობიექტად დამოუკიდებლად არ გამოიყენება ნედლეული, საწვავი და სხვა მსგავსი ობიექტები. კანონმდებელი არ ადგენს საკუთრების მიმდობით გადასაცემ ქონების ნუსხას. დასაშვებია ქონებრივი კომპლექსის მთლიანად, ან მისი ცალკეული ობიექტის გადაცემა. კომპლექსთან (მის ცალკეულ ობიექტთან) ერთად საკუთრების მიმდობმა შეიძლება გადასცეს მიმდობილ მესაკუთრეს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ობიექტებიც (ნედლეული, საწვავი, ფული). გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ობიექტები ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დამატებით ცალკე განკერძოებული და ასახული საბუღალტრო დოკუმენტაციაში (მაგ., ფული საბანკო დაწესებულების ცალკე ანგარიშზე), რაც ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს მათ ინდივიდუალიზაციას და სწორ აღრიცხვიანობას. მაგ., ქონებრივ კომპლექსთან ერთად საკუთრების მიმდობით შეიძლება იყოს გადაცემული ერთი ტონა ბენზინი, მაგრამ ეს არის არა ერთი ტონა ბენზინი ზოგადად, განყენებულად, არამედ სხვა ბენზინისაგან გამოყოფილი საწვავი.

ყველაზე გავრცელებული უნდა იყოს უძრავი ქონების გადაცემა საკუთრების მიმდობით. დასაშვებია შეზღუდვის გარეშე მოძრავი ქონების გადაცემაც. ასეთი ობიექტების განკერძოებულობა არაიშვიათად ატარებს პირობით ხასიათს. ზოგჯერ ტარდება მათი რეგისტრაცია (მაგ. ავტომობილების), მაგრამ ასეთი ფიქსაცია ატარებს ტექნიკურ და არა სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის ხასიათს.

ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს ფასიანი ქალაქი, ან არადოკუმენტური ფორმის დადგენილი უფლება (მაგ., უფლება კომპიუტერში შეტანილ უქალაქო დოკუმენტზე). თუ ფასიანი ქალაქი სახელობითი ან საორდერო საბუთის სახით არის წარმოდგენილი, საკუთრების მიმდობის გა-

¹¹ დაწვრილებით იხ. Дозорцев В. А. - Доверительное управление // Вестник Высшего арбитражного суда, 1996, №12, с. 120.

დაცემის გაფორმების რეგისტრაციისას ფაქტობრივად ადგილი ექნება მათ განკერძოებულობასაც. წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული წარმომდგენზე ფასიანი ქალაქების გამოყოფა, მათი განკერძოებულობა მინდობილი მესაკუთრისა და საკუთრების მიმდობის ქონებისაგან. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მიზანშეწონილია ფასიანი ქალაქების მიმოქცევის მიმართ უნიფიცირებული, სპეციალური წესების შემოღება, რამაც უფრო დეტალური ასახვა უნდა პოვოს კანონში ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ. ფული შეიძლება იყოს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ობიექტი მხოლოდ საწარმოს, როგორც ქონებრივი კომპლექსის ნაწილი და არა საკუთრების მინდობის დამოუკიდებელი ობიექტი. ასეთი ფულის თაობაზე ოპერაციების ჩატარების უფლება უნდა ჰქონდეს არა მინდობილ მესაკუთრეს, არამედ სათანადო ლიცენზიით აღჭურვილ საბანკო (საკრედიტო) დაწესებულებას.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც კლიენტი თავის მომსახურე ბანკს (ან სხვა საკრედიტო დაწესებულებას) გადასცემს ფულს საკუთრების მინდობის უფლებით, რაც მხარეთა შორის სატრასტო ხელშეკრულებით ფორმდება. ასეთი ხელშეკრულება მხოლოდ ნორმალურად შეიძლება იწოდებოდეს სატრასტო ხელშეკრულებად. თავისი ბუნებით, შინაარსით ფული, როგორც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ობიექტი, არ შეიძლება იყოს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ობიექტი. თუ კლიენტს სურს მიანდოს საკრედიტო დაწესებულებას ფული მინდობით, ან დადოს ჭეშმარიტი ფიდუციალური გარიგება, ასეთი ხელშეკრულება მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს არა როგორც სატრასტო ხელშეკრულება, არამედ როგორც დავალების ხელშეკრულება. დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული (ანუ საბანკო დაწესებულება) ვალდებულია შეასრულოს

მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის (კლიენტის) სახელითა და ხარჯზე (კოდექსის 709-ე მუხლი).

საკუთრების მინდობის ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია სამი მხარის მონაწილეობა: ა) საკუთრების მიმდობი, ანუ ტრასტის დამფუძნებელი; ბ) მინდობილი მესაკუთრე, ანუ ფიდუციარი; გ) სარგებლის მიმღები, ანუ ბენეფიციარი. ბენეფიციარი აღჭურვილია მხოლოდ უფლებებით, საკუთრების მიმდობი და მინდობილი მესაკუთრე უფლებებითა და ვალდებულებებით.

საკუთრების მინდობის ცნების დეფინიცია არ იცნობს სარგებლის მიმღების, ანუ ბენეფიციარის მხარეს. კლასიკური გაგებით საკუთრების მიმდობი და ბენეფიციარი შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი. მინდობილი მესაკუთრე და ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი. კანონმდებელი მხოლოდ განმარტავს, რომ ქონების მართვა უნდა ხორციელდებოდეს საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად (კოდექსის 724-ე მუხლი).

ხელშეკრულების სუბიექტად შეიძლება გვევლინებოდეს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. საკუთრების მიმდობად, როგორც წესი, გვევლინება ქონების მესაკუთრე. საკუთრების მინდობის კომერციული ფორმისას უმეტესწილად ასეთ სუბიექტად გვევლინება იურიდიული პირი, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი, შედარებით იშვიათად ფიზიკური პირი. საკუთრების მინდობის არაკომერციული ფორმის გამოყენებისას საკუთრების მიმდობად გვევლინება სათანადო მმართველობის ორგანო (მაგ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო), ამასთან დაუშვებელია, რომ მმართველობის ორგანო, რომელიც გვევლინება საკუთრების მიმდობად ხელშეკრულებაში, იმავდროულად თვითონ იყოს ბენეფიციარიც.

მინდობილი მესაკუთრე შეიძლება იყოს

როგორც ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი. კანონმდებელი არ ადგენს რაიმე შეზღუდვებს. გარკვეული შეზღუდვების დაწესება მიზანშეწონილად მიმაჩნია მაშინ, როდესაც ადგილი აქვს კომერციული ფორმის საკუთრების მინდობას და მინდობილ მესაკუთრედ გვევლინება ფიზიკური პირი. ფიზიკურ პირს უნდა გააჩნდეს ქონებრივი ცენზი, უნდა იყოს რეგისტრირებული როგორც ინდივიდუალური მეწარმე. კომერციული ფორმის საკუთრების მინდობის დაფუძნებისას მინდობილ მესაკუთრედ უნდა გვევლინებოდეს არა ნებისმიერი იურიდიული პირი, არამედ მხოლოდ კომერციული იურიდიული პირი. სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ბაზაზე საკუთრების მინდობის დაფუძნებისას სასურველია მინდობილი მესაკუთრის გამოვლინება კონკურსის (ტენდერის) ჩატარების საფუძველზე. ასეთი შეზღუდვების დაწესება უკეთ დაიცავს მესაკუთრისა და ბენეფიციარის ინტერესებს.

მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობებში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით, მართავს ქონებას თავისი სახელით. მინდობილი მესაკუთრე საკუთრების მინდობით გადაცემულ ქონებას იცავს სანივთო სარჩელის საფუძველზე. ის უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელით, როგორც ჭეშმარიტმა მესაკუთრემ. თუ მინდობილი მესაკუთრე საკუთრების მინდობის საწინააღმდეგოდ არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი (კოდექსის 725-ე მუხლი).

სადავოდ მიმაჩნია კოდექსის 728-ე მუხლის დისპოზიცია, რომელიც ადგენს მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საჭიროა ნორმის დაკონკრეტება. უნდა დადგინდეს, თუ

როგორია ეს პასუხისმგებლობა: სრული, სუბსიდიალური. მინდობილი მესაკუთრის კონტრაგენტს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია მინდობილ მესაკუთრეზე. ამასთან, თუ მინდობილი მესაკუთრე ჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებას, რა შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა.

საკუთრების მინდობის, ანუ როგორც მათ ხშირად უწოდებენ, სატრასტო ურთიერთობები, საქართველოსათვის ახალი ინსტიტუტია. იურიდიული პირი, რომელიც პროფესიონალურ საწყისებზე იკისრებდა მინდობილი მესაკუთრის (ფიდეუციარის) ფუნქციების შესრულებას, შესაძლებელია ამჟამად იყოს საბანკო (საკრედიტო) დაწესებულება ადგილობრივი სათანადო ლიცენზიით. მომავალში შესაძლოა გავრცელდეს სატრასტო კომპანიების (საზოგადოებების) ფუნქციონირების ტაქტიკა.

სარგებლის მიმღები, ანუ ბენეფიციარი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. თუ ბენეფიციარად გვევლინება არა ქონების მესაკუთრე (ანუ როდესაც ტრასტის დამფუძნებელი იმავდროულად არ არის ბენეფიციარი), ასეთი ბენეფიციარის მონაწილეობით ურთიერთობებზე ვრცელდება კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულების წესსა და პირობებს (კოდექსის 349-ე – 351-ე მუხლები). მინდობილ მესაკუთრეს და საკუთრების მიმდობს არა აქვთ უფლება ურთიერთშეთანხმებით მოშალონ საკუთრების მინდობის ხელშეკრულება ბენეფიციარის თანხმობის გარეშე. ბენეფიციარის სამართალსუბიექტობის შეწყვეტისას (პირის გარდაცვალება, იურიდიული პირის ლიკვიდაცია) ან ბენეფიციარის უარის შემთხვევაში, მიიღოს სარგებელი, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

კანონმდებელი პირდაპირ არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველებს. ხე-

ლშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ბენეფიციარს შეუწყდება სარგებლის მიღება, ხოლო ქონება უბრუნდება მესაკუთრეს, თუ ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული ქონების განკარგვის სხვა წესი.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა. ხელშეკრულების დადებისა და მხარეებისათვის უფლებებისა და ვალდებულებების აღმოცენებისათვის არ კმარა მხოლოდ შეთანხმების მიღწევა მხარეთა შორის, აუცილებელია საკუთრების მინდობით გადასაცემი ქონების რეალური გადაცემა. ობიექტის გადაცემის თაობაზე შეთანხმების მიღწევა მინდობილ მესაკუთრეს არ ანიჭებს უფლებას გამოითხოვოს ქონება მესაკუთრისაგან.

ხელშეკრულება უნდა ატარებდეს ყოველთვის ვადიან ხასიათს. სამწუხაროდ, კანონმდებელი არ მიიჩნევს ვადას, როგორც ხელშეკრულების ძირითად არსებით პირობას. მიმაჩნია, რომ საკუთრების მინდობის კანონმდებლის დეფინიცია ამ მიმართებით საჭიროებს დაზუსტებას. ვადა უნდა იყოს მიჩნეული ხელშეკრულების არსებით პირობად, ამასთან, მხარეებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება ვადის ამოწურვამდე ცალმხრივი განცხადების საფუძველზე მოშალონ საკუთრების მინდობის ხელშეკრულება. კანონმდებელი წინასწარ უნდა ადგენდეს იმ პირობებს, თუ როდის იქნება დასაშვები საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ხელშეკრულების მოშლა. ასეთ პირობებად შეიძლება ჩაითვალოს: ბენეფიციარი ფიზიკური პირის გარდაცვალება, ან იურიდიული პირის ლიკვიდაცია; ბენეფიციარის უარი მიიღოს სარგებელი, თუ ხელშეკრულებით წინასწარ არ იყო განსაზღვრული, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სარგებელს მიიღებს საკუთრების მიმდობი; მინდობილი მესაკუთრის გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ქმედუნარიანობის შეზღუდვა, ან ქმედუნაროდ

გამოცხადება, ან ინდივიდუალური მეწარმის (აგრეთვე ფიზიკური პირის, როგორც ინდივიდუალური მეწარმის) გადახდისუნაროდ ანუ გაკოტრებულად გამოცხადება; მინდობილ მესაკუთრეს არ შესწევს უნარი უშუალოდ თვითონ განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; საკუთრების მიმდობის გაკოტრებულად გამოცხადება.

თუ საკუთრების მიმდობი მოითხოვს ვადამდე ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლას, ტრასტის დამფუძნებელი, ანუ საკუთრების მიმდობი, ვალდებულია აუნაზღაუროს მინდობილ მესაკუთრეს მისი მისაღები გასამრჯელო სრულად, თუ მინდობილი მესაკუთრე მოქმედებდა გასამრჯელოს მიღების პირობით. ასეთი ჩამონათვალის არსებობა გამორიცხავს კანონმდებლის ნების განსხვავებულ განმარტებას. ჩამონათვალი უნდა იყოს ამომწურავი, ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მოშლა (ასეთი დროის მონაკვეთი შეიძლება დადგინდეს ექვსი თვის ვადით).

მინდობილი მესაკუთრის ძირითადი უფლებებია განახორციელოს იურიდიული და ფაქტობრივი ქმედება საკუთრების მინდობით გადაცემულ ქონებაზე. მინდობილი მესაკუთრე ასრულებს მესაკუთრის უფლებამოსილებას, მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში. უძრავი ქონების განკარგვა მას შეუძლია ხელშეკრულებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. მოძრავი ქონების განკარგვა პრეზიუმირებულია, მაგრამ ხელშეკრულება მას შეიძლება კრძალავდეს. მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება საკუთრების მიმდობს. ქონების ნაყოფი რჩება საკუთრების მიმდობს (კოდექსის 726-ე მუხლი).

მინდობილი მესაკუთრე უნდა მოქმედებდეს არა საკუთარი, არამედ ბენეფიციარის



ინტერესებში (ხოლო კანონმდებლის განმარტებით საკუთრების მიმდობის ინტერესებში, რაც არაზუსტად მიმაჩნია). მთელი უფლებამოსილება მიმდობილმა მესაკუთრემ უშუალოდ თვითონ უნდა განახორციელოს. გაწეული საქმიანობის შესახებ მიმდობილი მესაკუთრე ანგარიშვალდებულია საკუთრების მიმდობის წინაშე, რომელსაც პერიოდულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია. ხელშეკრულებით შესაძლოა პირობის დათქმა, რომლითაც ბენეფიციარისათვის სავალდებულო იქნება ინფორმაციის მიწოდება.

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მიმდობილი მესაკუთრისათვის გასამრჯელოს გადახდა, ასეთ შემთხვევაში საკუთრების მიმდობის ხელშეკრულება სასყიდლიანია. მიმდობილი მესაკუთრე იღებს თავის გასამრჯელოს ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ამონაგებიდან. მხარეს, რომელიც არღვევს საკუთრების მიმდობის ხელშეკრულების პირობებს, ეკისრება პასუხისმგებლობა. უნდა განვასხვავოთ მხარეთა შორის პასუხისმგებლობა უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილეთა შორის და მათი პასუხისმგებლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მესამე პირებთან ურთიერთობისას ქონებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაცია უნდა მოხდეს საკუთრების მიმდობით გადაცემული ქონებიდან. კოდექსის 728-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მიმდობილი მესაკუთრე. მიმაჩნია, რომ მიმდობილმა მესაკუთრემ პასუხი უნდა აგოს მესამე პირებთან ურთიერთობაში მხოლოდ სუბსიდიალურად, თუ საკმარისი არ აღმოჩნდა საკუთრების მიმდობით გადაცემული ქონებრივი მასა. ამასთან, იგულისხმება რომ ფიდუციარი ჯეროვნად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, იჩენდა გულისხმიერებას, როგორც საკუთარი ქონების მიმართ. აღნიშნული დასკვნის საფუძველს გვაძლევს კოდექსის 725-ე მუხლის პირვე-

ლი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ მიმდობილი მესაკუთრე მართავს ქონებას საკუთრების მიმდობის რისკითა და ხარჯით. მიმდობილი მესაკუთრე თავისუფლდება მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან იმ შემთხვევაში, თუ დაადასტურებს, რომ ქონებას ზიანი მიაღდა დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდობილი მესაკუთრე მეწარმეა, პასუხისმგებლობის დაკისრების მითითებული კონსტრუქცია გამართლებულია.

საქართველოში უკვე დანერგილი კომერციული ფორმის საკუთრების მიმდობის ურთიერთობების მაგალითია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და სააქციო საზოგადოება „ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერ კომპანი ნ.ვ.“ ნიდერლანდების ანტილესის საზოგადოებას შორის 1997 წლის 9 იანვარს დადებული ხელშეკრულება. მითითებული ხელშეკრულებით სააქციო საზოგადოება „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხანა“ გადაეცემა სამართავად ჰოლანდიურ კომპანიას. უცხოურ კომპანიას გადაეცა საქართველოს სააქციო საზოგადოების აქციათა 100% და საზოგადოების მართვის უფლება. უცხოურმა კომპანიამ აქციათა დასტის (პაკეტის) გადაცემისა და მართვის უფლება კონკურსში (ტენდერში) გამარჯვების შედეგად მოიპოვა. მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო ხუთი წლის ვადით, მითითებული ხელშეკრულების მეხუთე პუნქტი არასწორად განსაზღვრავს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად მისი ხელისმოწერის მომენტიდან. მხარეებმა შეცდომით გააიგივეს მართვის (თავისი შინაარსით სატრასტო) ხელშეკრულება კონსესუალურ ხელშეკრულებასთან. ხელშეკრულებით ბენეფიციარად გვევლინება ტრასტის დამფუძნებელი ანუ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს დადებულიად არა მხარეთა შორის შეთანხმე-

ბის მიღწევის მომენტიდან, არამედ ქონების რეალურად გადაცემის მომენტიდან.

თავისებურებით ხასიათდება არაკომერციული ფორმის საკუთრების მინდობა. მის დასაფუძნებლად კანონმდებელი ადგენს განსაკუთრებულ პირობებს, აუცილებელია ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილება. მესაკუთრე არ გვევლინება საკუთრების მინდობის დამფუძნებლად. რეალურად საკუთრების მინდობის დამფუძნებლად გვევლინება სხვა პირი. საკუთრების მინდობის ხელშეკრულების შეწყვეტისას საკუთრების მიმდობ ორგანიზაციას საკუთრების მინდობით გადაცემული ქონება არ უბრუნდება. ასეთ ორგანიზაციას არა აქვს უფლება განაცხადოს პრეტენზია ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოწვეული იყო მინდობილი მესაკუთრის მიერ ქონების უნიათო მართვის შედეგად. შესაბამისად საკუთრების მიმდობ ორგანიზაციას არ უბრუნდება ქონება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ. ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის წამოყენების უფლება მხოლოდ მესაკუთრის პრეროგატივაა.

საკუთრების მინდობის არაკომერციული ფორმის ხელშეკრულება შეიძლება იყოს უსასყიდლო. კოდექსის 726-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ მინდობილი მესაკუთრე მინდობილ საქმიანობისათვის საკუთრების მიმდობისაგან არ იღებს გასამრჯელოს. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასეთ შემთხვევაში (როდესაც ხელშეკრულება უსასყიდლოა) მინდობილი მესაკუთრე უნდა განთავისუფლდეს ქონებრივი პასუხისმგებლობისგან არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას, არამედ ყველა სხვა შემთხვევაში, თუ არ დადგინდა, რომ საკუთრების მინდობით გადაცემულ ქონებას ზიანი მიაღდა მინდობილი მესაკუთრის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.

კანონმდებელი უშვებს საკუთრების მინდობის მიმართ დამატებით დავალების ხელშეკრულებების შესაბამისი წესების (კოდექსის 729-ე მუხლი) გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კანონმდებელი საკუთრების მინდობის ურთიერთობებს მიიჩნევს სახელშეკრულებო ანუ ვალდებულებითი ურთიერთობების ნაირსახეობად.

* * *

საკუთრების მინდობის სახელშეკრულებო, ანუ სატრასტო ურთიერთობებმა ჯერჯერობით ვერ პოვა ფართო გავრცელება. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: საკუთრების მინდობის ანუ, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, ტრასტის ინსტიტუტი ნაკლებად არის ცნობილი მეწარმეთა ფართო წრისათვის; არასრულყოფილია მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია; ვერ პოვა სათანადო პოპულარიზაცია სატრასტო კომპანიებმა (საზოგადოებებმა), რაც მათი სუსტი პროფესიონალიზმის ბრალია; იქ, სადაც დაინერგა სატრასტო ურთიერთობები, სრულყოფილად და ეფექტიანად არ არის გამოყენებული მისი პოტენციური შესაძლებლობები.

სატრასტო ურთიერთობების ჯეროვანი სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით საჭიროა კოდექსში მოქმედი საკუთრების მინდობის ნორმათა ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, აგრეთვე კანონის მიღება საკუთრების მინდობის (ტრასტის) შესახებ. ასეთი კანონის მიღება არ ეწინააღმდეგება კოდექსის ძირითად საწყისებს. ამჟამად უკვე არის მიღებული მრავალი კანონი, რომლებიც კოდექსთან ერთად და დამატებით აწესრიგებენ სამოქალაქო ურთიერთობებს (მაგ., კანონი გრანტების შესახებ, როდესაც თვით კოდექსი არეგულირებს ჩუქების ხელშეკრულებიდან აღმოცენებულ ურთიერთობებს).

კანონმა საკუთრების მინდობის (ტრასტის) შესახებ სამართლებრივად უნდა მოაწესრი-

გოს როგორც კომერციული ფორმის სატრასტო ურთიერთობები, აგრეთვე არაკომერციული სატრასტო ურთიერთობებიც. აუცილებელია საკუთრების მინდობის ცნების დეფინიციის სრულყოფა, სარგებლობის მიმღების (ბენეფიციარი) მხარის უფლებამოსილების განსაზღვრა, ვადის, როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობის დადგენა. სრულყოფას მოითხოვს ხელშეკრულების ფორმაც. მიზანშეწონილია უძრავი ქონების საკუთრების მინდობით გადაცემისას ისეთივე რეგლამენტის დადგენა, როგორსაც კანონმდებელი ითვალისწინებს უძრავი ქონების გასხვისებისას.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება დღის წესრიგში დააყენებს სატრასტო ურთიერთობების სულ უფრო ფართოდ დანერგვის აუცილებლობას სამეწარმეო ურთიერთობებში. ეს მოდელი მეტად მიმზიდველი გახდება იმ მეწარმეებისათვის, რომლებიც „კანონით დადგენილ“ ჩარჩოებში ეცდებიან აარიდონ თავი ბიუჯეტის სასარგებლოდ სათანადო გადასახადის გადახდას. დღეს მოქმედი სამოქალაქო და საგადასახადო კანონმდებლობა ამის ფართო გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ამ ხარვეზის აღმოფხ-

ვრის მიზნით აუცილებელია არა მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობის, არამედ საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სინქრონული სრულყოფაც.

აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში სწორედ სატრასტო ურთიერთობები უნდა გახდეს უნივერსალური მოდელი - პანაცეა, რომელიც ყველაზე უკეთ მოერგება ეკონომიკურ ურთიერთობას და ყოველი მეწარმე უნდა ესწრფვოდეს მის დანერგვას. ადრე ყოფილ საკავშირო ეკონომიკაში და საქართველოშიც რამდენჯერმე იყო ცდა, როდესაც ამოჩემებული იყო მართვის, ან ორგანიზაციის ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა და კამპანიური ხასიათით ცვდილობით დაგვენერგა სწორედ ეს ურთიერთობები. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენს ქვეყანაში ჯერ კოოპერაციული მოძრაობა, ხოლო შემდგომ საიჯარო ურთიერთობებით გატაცება.

საკუთრების მინდობის (სატრასტო) ურთიერთობების გამოყენების ან არგამოყენების საკითხი უნდა გადაწყვიტოს თვით ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე პირმა თავისი ნების ავტონომიის გამოქვეყნებით.

ტარიელ ზამბახიძე,
თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



საკუთრების მინდობა

(ისტორიული მიმოხილვა)

საქართველო დღეს გარდამავალი პერიოდისათვის ჩვეული ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემების წინაშე დგას და საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში იმყოფება. გვემური ურთიერთობებიდან საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის ეტაპი არა მარტო რთული და ხანგრძლივი, არამედ მეტად მტკივნეულია მთელი საზოგადოებისათვის. საზოგადოებრივი ურთიერთობის რადიკალურად შეცვლის ბაზაზე და სოციალისტური სისტემის საპირისპირო პოლიტიკური და ეკონომიკური ცნებების საფუძველზე იქმნება ახალი ეკონომიკური სისტემა. თვისობრივად იცვლება ეკონომიკის ყველა შემადგენელი ნაწილი: რესურსების გადანაწილების წესი, საკუთრების ურთიერთობანი და ამ ურთიერთობათა ადეკვატურად ამსახველი სამართლებრივი ბაზა. საქართველოს საბაზრო ეკონომიკა, თავისი ფორმითა და შინაარსით, განსაკუთრებული ისტორიულ-ეკონომიკური ტიპია, რომელიც აღმოცენდა და მოქმედებს საბჭოური სოციალიზმის, „ველური კაპიტალიზმის“, განვითარებული ქვეყნების შერეული ეკონომიკური სისტემისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციის გამოცდილების ერთგვარი კონგლომერატის სახით. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ გასაუ-

ლელია ძალზე რთული და საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც საბაზრო ურთიერთობების საბოლოო დამკვიდრებისათვის შესაფერის ეკონომიკურ სამართლებრივ გარემოს შექმნის. სამოქალაქო კანონმდებლობა საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ელემენტია, მისი ქვაკუთხედი კი სამოქალაქო კოდექსია, რომელიც გვევლინება ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების რთულ და ყოვლისმომცველ სამართლებრივ ნორმათა სისტემად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ახლებურად მოაწესრიგა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები. კოდექსი უარს ამბობს ისეთ ცნებებზე, როგორცაა ქონების ოპერატიული მართვა და ქონების სამეურნეო გამგებლობა, მაგრამ მასში რეგლამენტირებულია ვალდებულებითი სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა საკუთრების მინდობა (მუხ. 724-729), რომელიც ნოვაციაა და სამეცნიერო კვლევის საინტერესო ობიექტია.

სწორედ საკუთრების მინდობის კონსტრუქციით უნდა მოხდეს იმ სამართლებრივი ვაკუუმის შევსება, რაც ზემოხსენებული ინსტიტუტების უარყოფამ გამოიწვია.

წინამდებარე სტატიის მიზანია საკუთრების მინდობის ურთიერთობების ჩამოყალიბების და სხვადასხვა სამართლის სისტემაში

მათი დამკვიდრების რთული პროცესის განალიზება. სამეცნიერო კვლევამ ცხადყო, რომ ურთიერთობათა ამ ტიპის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დაიწყო და ევოლუციის მეტად საინტერესო პროცესი განვლო. სწორედ ამიტომ, საკუთრების მინდობის ინსტიტუტის არსის გაგებისათვის, ვფიქრობ, აუცილებელია ისეთი ცნებების განხილვა და მათი ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის გადავლება, როგორცაა „მინდობილი საკუთრება“, „საკუთრების მინდობილი მართვა“, „დანაწევრებული საკუთრება“, „ფიდუციარული ურთიერთობები“...

როგორც ცნობილია, თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემების ინტეგრაციის პროცესი. სახეზეა ერთი სამართლის სისტემის ინსტიტუტების სხვა სამართლის სისტემაში დანერგვის მაგალითებიც, რაც მსოფლიოს საფინანსო, საფონდო, სასაქონლო ბაზრების მოთხოვნილებებითაა განპირობებული. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციაზე (მეთხუთმეტე სერიის დროს) 1985 წლის 1 ივლისს მიღებული კონვენცია ტრასტების შესახებ. როგორც თავად კონვენციის ტექსტშია მითითებული, მისი მიზანია საერთო სამართლისათვის დამახასიათებელი სატრასტო ურთიერთობების სხვა სამართლის სისტემაში დამკვიდრება. კონვენციით დაკონკრეტებულია საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ხასიათის სატრასტო ურთიერთობების რეგულირების სხვადასხვა ასპექტი, ისეთი, როგორცაა: სატრასტო ურთიერთობების დამახასიათებელი ნიშნები, სამართლის არჩევის პრობლემატიკა, კონვენციის მოქმედების სფერო და ა.შ. ალბათ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზემო აღნიშნული კონვენცია ხელმოწერილია ისეთი ქვეყნების მიერ, როგორცაა არგენტინა, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი,

ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ესპანეთი, თურქეთი, პოლონეთი და ა.შ. სულ კონვენციას ხელი მოაწერა 47 სახელმწიფოს წარმომადგენელმა. ამ პატარა კონვენციის ტექსტი მზადდებოდა 5 წლის განმავლობაში. მისი რატიფიცირებითი სახელმწიფო (თუ სპეციალურ დათქმას არ აკეთებს) აღიარებს ყველა სახის ტრასტს, რომელიც კონვენციაშია მითითებული, მიუხედავად დაფუძნების თარიღისა. კონვენცია მოიცავს ნებაყოფლობით და წერილობითი სახით დაფუძნებულ (მუხლი 3), ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაფუძნებულ ტრასტებს (მუხ. 20).

როგორც უკვე აღვნიშნე, საკუთრების მინდობის ურთიერთობების ჩამოყალიბება დიდი ხნის წინ დაიწყო, ამიტომაც შევეცდები მათი განვითარება ისტორიული ასპექტით განვიხილო, რაც გაგვიოთლებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების არსის სწორად გაგებას. შევეცდები განვმარტო გერმანული Treuhand და ინგლისური Trust, ასევე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ნორმები.

* * *

უძველესი პერიოდის მესაკუთრეებს, ისევე როგორც თანამედროვეებს, ახასიათებდათ მზრუნველობა ქონების შესანარჩუნებლად მათი მოგზაურობის ან გარდაცვალების შემთხვევაში. საკუთრების მინდობის კონსტრუქციის მსგავსი ურთიერთობები, როცა ქონებას მართავდნენ არამესაკუთრეები, წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტეში. ქურუმი-მეურვეები, რომლებიც მონარქთან დაახლოებული პირები იყვნენ, მართავდნენ ფარაონების და მათი შვილების აურაცხელ ქონებას.¹

¹ American Bankers Association, American Institute of Banking, Trust Department Services, New York, 1962, p.408

მეცნიერი რიოსი იკვლევდა ისეთი ტიპის იაპონურ საზოგადოებას, რომელიც განკარგავდა მდიდარი საძურაების ქონებას მათ ანდერძში გამოვლენილი ვნების შესაბამისად (ძვ. წ. 500 წ.).²

უძველესი სამართლებრივი კოდექსი, რომელიც შეიცავს მეურვეობის და კაპიტალის მართვის წესებს, არის ბერძნული სოლონის კანონები (დაახლოებით ძვ. წ. 600 წ.). ისინი განამტკიცებენ შესაძლებლობას, რომლის თანახმადაც პირს თავისუფლად შეეძლო შეერჩია თავისი ქონების მმართველი სუბიექტი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთრების მინდობის ურთიერთობები განსაკუთრებით განვითარდა რომის სამართალში (I-III სს.), სადაც იცნობდნენ ფიდუციალური ურთიერთობების რთულ კომპლექსს. ფიდუციალური გარიგების ძალით ერთი პირი (ფიდუციანტი) ქონებას გადასცემდა მეორეს (ფიდუციარს) განსაკუთრებული დათქმით (fidei fiduciae causa), რომელიც ფიდუციარს ანიჭებდა უფლებამოსილებას და ვალდებულებას ქონება გამოეყენებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და დაებრუნებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დადგომისას. მაგალითად, ნივთი შეიძლება გადასცემოდა ფიდუციარს საკუთრებაში ფიდუციანტის ვალის უზრუნველსაყოფად (ფიდუციალური გირავნობა) – ვალის ბოლომდე დაფარვამდე (fiducia cum creditore). ფიდუციის ეს სახე გამოიყენებოდა მხოლოდ მოძრავი ქონების მიმართ და კრედიტორებისათვის ქმნიდა ქონებრივ გარანტიას. არსებობდა ფიდუციის მეორე სახეც, რომლის დროსაც მესაკუთრე მთელ თავის კუთვნილ ქონებას (familiam) გადასცემდა თავისი ნდობით აღჭურვილ პირს (familiae emptor), რომელიც კისრულობდა ვალდებულებას

ბას გონივრულად განეკარგა ეს ქონება, მაგალითად, გადაეცა განსაზღვრული ბენეფიციარისათვის. ფიდუციამ პროსკრიპციულ სიაში მოხვედრილ უამრავ ლტოლვილს მისცა საშუალება შეენარჩუნებინა თავისი ქონება. საგულისხმოა ისიც, რომ რომაული ფიდუცია სათანადო წესით არ უზრუნველყოფდა ბენეფიციარის ინტერესების დაცვას. პ. ორტმანი ახდენს ძველრომაული Pactum fiduciae-ს ციტირებას: „მესამე პირებს (და მათ შორის ბენეფიციარებსაც) არა აქვთ არავითარი კანონიერი უფლება ფიდუციარის წინააღმდეგ, ისინი ნდობით უნდა მოეკიდნონ ქონების მიმდობის ნებას“.³ როგორც პროფ. ა.ვ. ვენედიქტოვი მიუთითებს, გერმანულ Treuhand – თან და ინგლისურ Trust – თან რომაულ Fiducia-ს ის საერთო აქვს, რომ მათი საფუძველია ერთი კონტრაქტის ნდობა მეორეს მიმართ და განვითარებულია საკუთრების მატერიალური და ფორმალური ელემენტები: ნამდვილი მესაკუთრე გადასცემს ფორმალურ საკუთრების უფლებას სხვა პირს, რომელიც იქცევა მხოლოდ ფორმალურ და არა ეკონომიკურ მესაკუთრედ.⁴ თანამედროვე სამართლებრივი სისტემები უფრო ფართოდ განიხილავენ მატერიალური და ფორმალური ელემენტების გაორებას, ვიდრე რომის სამართალი. ამიტომ, საკუთრების მინდობის კონსტრუქციის განხილვა უნდა განხორციელდეს სწორედ ინგლისის, აშშ-ს, გერმანიის კანონმდებლობის მაგალითზე.

მინდობილი საკუთრების ინსტიტუტი წარმოიშვა ინგლისში XII-XIII საუკუნეებში. ამ ეპოქაში იგი გამოიყენებოდა მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში და იწოდებოდა არა როგორც ტრასტი (Trust), არამედ როგორც – სარგებლობა (uses).

³ Oertmann P. Die Fiducia im roemischen Privatrecht. Berlin, 1890, S. 135.

⁴ Венедиктов А.В., Правовая природа государственных предприятий, М., 1929, с.89.

² Royce C.B. Ancient Precedents for Modern Wills and Trusts, in: Trust Companies, March 1926, p. 383-387.

რაინდები, რომლებიც მიემართებოდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, მათ მფლობელობაში არსებულ მიწებს გადასცემდნენ ნდობით აღჭურვილ პირებს, რათა მათ ეს ქონება გამოეყენებინათ ლაშქრობაში წასული რაინდის ცოლის და შვილის ინტერესებში.

ინგლისში მიწის უმაღლეს მესაკუთრედ ითვლებოდა მეფე, უშუალოდ მისგან ღებულობდნენ მიწას ლორდები, რომლებიც უნაწილებდნენ მას წვრილ მფლობელებს. სწორედ ამ უკანასკნელთა უფლებები მიწაზე შეზღუდული იყო მთელი რიგი აღკვეთებით. მათ არ შეეძლოთ თავისუფლად გადაეცათ მიწა მემკვიდრეობით. ინგლისელებმა სცადეს ამ ნორმებისათვის გვერდის ავლა: ჯერ კიდევ მიწის მფლობელის სიცოცხლეშივე მიწის ნაკვეთი შეთანხმებით გადაეცემოდა ერთ ან რამდენიმე პირს, რათა ამ უკანასკნელთ ემართათ ეს უძრავი ქონება შეთანხმებაში მითითებულ პირთა, ანუ მემკვიდრეთა სასარგებლოდ. ამ კონსტრუქციის წყალობით, მიწის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქონებით სარგებლობდნენ სწორედ ის პირები, რომელთა მემკვიდრედ დანიშნავდა მას სურდა.

არ შეიძლება აქვე არ მივეუთითოთ, რომ ტრასტის ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა ინგლისის საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის დაპირისპირებამ. თავისი იდეების გავრცელებისათვის, პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი გავლენის გაძლიერებისათვის სასულიერო ფენას აუცილებლად სჭირდებოდა შესაბამისი მატერიალური ბაზა. მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებას არ იძლეოდა აღკვეთა, რომლის საფუძველზეც იკრძალებოდა უძრავი ქონების გასხვისება ეკლესია-მონასტერთა სასარგებლოდ. სწორედ uses ინსტიტუტის საშუალებით გამოიძებნა გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან. მინდობილი მესაკუთრის სტატუსი

მიენიჭათ წმ. ფრანცისკოს ორდენის ბერებს.⁵

წარჩინებული ქალაქელები, რომლებსაც სურდათ ეკლესიის დახმარება, ქონებას გადასცემდნენ ქალაქელთა სპეციალურ საბჭოს, რომელიც ითვლებოდა ამ ქონების ნორმალურ მესაკუთრედ, რაც სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია. ქალაქელთა ნდობით აღჭურვილი პირები კი იყვნენ სწორედ ბერები, რომლებიც სარგებლობდნენ აღნიშნული ქონებით.

მინდობილი საკუთრების ინსტიტუტი კლასიკური ფორმით ჩამოყალიბდა XIV საუკუნეში, როგორც სამართლიანობის სამართლის ნაწილი. ამ პერიოდისათვის საერთო სამართალი, თავისი ფორმალურობის გამო, ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვეობის მოთხოვნებს. პირები, რომლებიც სამეფო სასამართლოებს მიმართავდნენ დავების გადასაწყვეტად, სულ უფრო ხშირად რჩებოდნენ საქმის განხილვის შემდეგ უკმაყოფილო. აღნიშნულ პირებს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, თუ არა ის, რომ სამართლიანი გადაწყვეტილებისათვის მიემართათ თავად მეფისათვის. მეფე, მოგვიანებით კი ლორდ-კანცლერიც, განსაზღვრული პროცედურის დაცვის შემდეგ, განიხილავდნენ ასეთ საქმეებს მორალის და სამართლიანობის საფუძველზე და თავიანთი გადაწყვეტილების გამოტანისას შებოჭილი არ იყვნენ სამართლის არავითარი ნორმით. XV საუკუნეში შეიქმნა ლორდ-კანცლერის სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებებსაც მიენიჭა ისეთი იურიდიული ძალა, როგორც საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

აქედან გამომდინარე, გადაჭარბების გარეშე შეიძლება დავასკვნათ, რომ მინდობილი საკუთრების ძირითადი ელემენტი არის ნდო-

⁵ Кипрос Мартидис, Трасты в офшорных зонах, Изд. "Крестьянское дело", Белград, 1997, с.6.

ბა, რომელსაც ტრასტის დამფუძნებელი უცხადებს მინდობილ მესაკუთრეს და რომლის საფუძველზეც გადასცემს მას ქონებას მინდობილ საკუთრებაში. ამასთან, „ნდობა“ არ გვევლინება სამართლებრივ კატეგორიად. იგი სამართლებრივი ჩარჩოებით ბოლომდე შემოსაზღვრული არაა. მხარეთა ნდობითი ურთიერთობები განისაზღვრება სამართლიანობის ზოგად ფორმებში. სამართლიანობის სამართლის ამოცანა იყო სწორედ დაფუძნების ინტერესების დაცვა მინდობილი მესაკუთრის არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან.

XVI საუკუნეში კვლავ გამწვავდა მეფესა და ეკლესიას შორის დაპირისპირება, რის შემდეგაც 1535 წელს ჰენრიხ VIII-მ ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მიწების დაპატრონების მიზნით გამოსცა ე.წ. Statute of Uses. ამ სტატუტის თანახმად, ყველა იმ შემთხვევაში, როცა ერთი პირი ქონებას ფლობდა სხვა პირის ინტერესებში, საკუთრების უფლების სუბიექტი იყო ის, ვის ინტერესებშიც ყალიბდებოდა აღნიშნული ურთიერთობა. სამართლიანობის სამართლის სასამართლოებმა ისარგებლეს საკანონმდებლო ხარვეზებით, რის წყალობითაც uses ზოგი სახე არ დაექვემდებარა სტატუტის მოქმედებას. მოგვიანებით, XVII საუკუნეში სამართლიანობის სასამართლოებში აღდგა მთელი დოქტრინა და მთელი ინსტიტუტი, მაგრამ უკვე სახელწოდებით – trust. ტრასტის დროს ერთი პირი (დამფუძნებელი – settlor) საკუთრებაში გადასცემდა სხვა პირს (მინდობილ მესაკუთრეს – trustee) ქონებას სამართავად მესამე პირის (სარგებლის მიმღების – beneficiary) სასარგებლოდ.

სამეცნიერო კვლევამ ცხადყო, რომ საკუთრების მინდობის კონსტრუქციას იცნობდნენ უძველესი გერმანელები და ნორმანები. გერმანიაში გავრცელებული იყო ურთიერთობა, რომლის დროსაც მესაკუთრე

ქონებას სამეფო ხაზინის სასარგებლოდ გადასცემდა სამართავად სალმანს, რის სანაცვლოდაც მესაკუთრე სიცოცხლის ბოლომდე იღებდა სარჩოს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი სალმანი ქონებას უბრუნებდა მის მემკვიდრეებს. სალმანის არაკეთილსინდისიერების ან ქმედუნარობის შემთხვევაში ქონება უბრუნდებოდა მის მიმნდობს.

პროფ. ა.ვ. ვენედიქტოვის აზრით, გერმანული Treuhand-ის და ინგლისური trust-ის გამოსავალი წერტილი ერთია: ძველგერმანული სამართალი.⁶ ავტორი მიიჩნევს, რომ გერმანიაში რომის სამართლის რეცეფციაში შეაფერხა ამ ინსტიტუტის განვითარება და ამიტომაც იგი ისე ფართოდ ვერ გავრცელდა, როგორც ინგლისში. მიუხედავად ამისა, იგი მაინც იყო შენარჩუნებული გერმანულ სამართალში და XIX საუკუნის ბოლოდან ისევ გახდა პოპულარული.⁷

დღევანდელ დღეს გერმანიაში არსებობს ნდობითი ოპერაციების სამი ძირითადი სახე: 1). ფილუცია მკაცრი გაგებით (Vollrechtstreuhand); 2). ფილუცია ქონების მიმნდობის ხარჯზე მოქმედების უფლების დელეგირებით (Ermaechtigungstreuhand); 3. დავალების ხელშეკრულების საფუძველზე აღმოცენებული ფილუცია (Vollmachts-(Quasu)-treuhand). არსებობს ღია და ფარული ხასიათის ნდობითი ოპერაციები. ანსხვავებენ ფილუცია-გარანტიას საკუთარ ინტერესებში (eigennutzige Sicherungstreuhand) და ფილუცია-მართვას მესამე პირის ხარჯზე (fremdnuetzige Verwaltungstreuhand).

გერმანული Treuhand-ის თავისებურება ისაა, რომ იგი არ გულისხმობს ნდობით აღჭურვილ პირზე საკუთრების უფლების გადასვლას, არამედ სახეზეა გადაცემული

⁶ Венедиктов А.В., Правовая природа государственных предприятий, М.,1928, с.189.

⁷ Gierke O. Grundzuge des deutschen Privatrechts – in Holtendorffs Encyklopadie, 6. Auff., 1904, Bd. I, S.452..



ქონების მინდობილი მართვა. საკუთრების მინდობის ურთიერთობის ზემოთ განხილული ორი ტიპის (მინდობილი საკუთრება და საკუთრების მინდობილი მართვა) ჩამოყალიბება განპირობებულია საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემებში საკუთრების უფლების სხვადასხვაგვარი ცნების არსებობით. ამ უკანასკნელი სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობა განამტკიცებს საკუთრების ერთიან ცნებას, რომელიც გულისხმობს ნივთზე ბატონობის უფლებას. საკუთრების უფლება მოიაზრება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიად. რაც შეეხება საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებს, აქ გაბატონებულია საკუთრების ცნება, რომელიც ცალკეულ უფლებამოსილებათა კონგლომერატია.

ანგლო-ამერიკული სამართლის საკუთრების უფლების თანამედროვე თეორიის ფუძემდებლებმა (კოუზი, ალჩიანი) განავითარეს XIX საუკუნეში ბემ-ბავერკის მიერ ჩამოყალიბებული აზრი, რომ „საკუთრება არ არის მხოლოდ და მხოლოდ რესურსი; ამ რესურსის გამოყენების უფლებათა ერთობლიობა ან მათი ნაწილი, – აი, რა არის საკუთრება“.⁸ ამ ცნების იდეალური გამოხატულებაა ტრასტი. საკუთრების უფლება მასში დანაწევრებულია ტრასტის დამფუძნებლის, მინდობილ მესაკუთრესა და ბენეფიციარს შორის. ანგლო-ამერიკულ სამართალში იცნობენ მესაკუთრის 10-12 უფლებამოსილებას, რომლებიც განსხვავებულ სიტუაციებში სხვადასხვაგვარად ნაწილდება. მაგალითად, ა. ონორეს მიერ მოცემული საკუთრების უფლების ცნება იძლევა შემდეგ ელემენტებს: ფლობის უფლება (ნივთზე მხოლოდ ფიზიკური კონტროლი), პირადად სარგებლობა, მართვა, უფლება შემოსავალზე,

კაპიტალზე (გასხვისება, გაფლანგვა, განადგურება, ნივთის შეცვლა), ექსპროპრიაციისაგან იმუნიტეტის უფლება, ნივთის გადაცემის უფლება, საკუთრების უფლების უვადო ხასიათი, ვალდებულება არ გამოიყენონ ნივთი სხვის საზიანოდ, პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნივთზე გადახდევინების მიქცევისას და უფლება დარჩენილ ნაშთზე.⁹

არ შეიძლება არ განიხილოთ აშშ-ში მინდობილი საკუთრების კონსტიტუციის დამკვიდრება და განვითარება. ეს პროცესი პირობითად შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავეყოთ. 1806 წელს ფინანსისტის და პოლიტიკოსის ა. ჰამილტონის რეკომენდაციით შეიქმნა პირველი სატრასტო კომპანია მდიდარი კაპიტანის – რენდელის მიერ მოხუცი მეზღვაურების სასარგებლოდ ნაანდერძევი ქონების სამართავად. 1835 წელს დარეგისტრირდა პირველი სპეციალური სატრასტო კომპანია. პირველი კანონი ტრასტის შესახებ 1872 წელს მიიღო შტატმა კონნექტიკუტმა.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში აშშ-ში მოხდა სატრასტო და საბანკო ბიზნესის შერწყმა. ჯორჯ პერკინსონმა, რომელიც გახლდათ “City Bank“-ის მეთაური, შექმნა ე.წ. საერთო სატრასტო ფონდი (common trust funds), რომელმაც გააერთიანა წვრილ მესაკუთრეთა კაპიტალი და აურაცხელი შემოსავლის წყარო გახდა.

ე.წ. სამეწარმეო ტრასტი (უძრავი ქონების სამართავად) პირველად დაფუძნდა 1940 წელს შტატ მიჩიგანში, როგორც უძრავი ქონებით კორპორაციების მიერ ოპერაციების განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვიდან თავის დაღწევის საშუალება.

აშშ-ში ბანკების ტრასტ-განყოფილებები განიხილება ფასიანი ქაღალდების ოპერა-

⁸ Капелюшников Р.И. Экономическая теория прав собственности//М. АН СССР, ИМЭ и МО, 1990. с.8.

⁹ Honore A.M. Ownership, in: Oxford Essays on Jurisprudence. Oxford, 1961.

ციების განხორციელების ყველაზე საიმედო სტრუქტურად.¹⁰

XIX საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში ტრასტის კონსტრუქცია გამოყენებული იყო მონოპოლიური გაერთიანების ორგანიზაციისათვის. ეს პროცესი დაიწყო როკფელერის კომპანიამ „Standart Oil“. 1882 წლის 2 იანვარს ხელმოწერილი იქნა შეთანხმება „Standard Oil Trust“-ის დაფუძნების შესახებ. ეს იდეა ეკუთვნოდა კომპანიის იურისკონსულტ ლოდს. აშშ-ის 40 მსხვილი ნავთობის კომპანიის აქციონერებმა თავიანთი კუთვნილი აქციები გადასცეს 9 მინდობილ მესაკუთრეს, რომელთაგან 2 გახლდათ მამა-შვილი როკფელერი. ტრასტის დამფუძნებლებმა აქციების გადაცემის სანაცვლოდ მიიღეს სერთიფიკატები, ხოლო მინდობილმა მესაკუთრებმა კი იკისრეს ვალდებულება „საქმეები ეწარმოებინათ სერთიფიკატის მფლობელთა მიერ მაქსიმალური სარგებლის მისაღებად“.¹¹

უკვე 90-იანი წლების დასაწყისში გაერთიანების ამ ფორმამ ადგილი დაუთმო ტრასტის თანამედროვე სახეებს, რაც დაკავშირებული იყო ამკრძალავი კანონის მიღებასთან (Sherman Act, 1890). ამის შემდეგ აქციები გადაეცემოდა არა ფიზიკურ პირთა ჯგუფს, არამედ სხვა იურიდიულ პირს (Holding Company). პირველადი ფორმისაგან ჰოლდინგის განსხვავება ისაა, რომ აქციათა გადაცემის საფუძველი არაა ხელშეკრულება მათი დათმობის შესახებ და აქციონერებს სანაცვლოდ გადაეცემათ არა trust certificates, არამედ Holding Company-ს აქციები. Holding Trust გავრცელდა დასავლეთ ევროპაშიც, თუმცა სხვა სახელწოდებით. მაგ., გერმანიაში მას უწოდებენ Kontrollgesellschaft-ს.

ნიშნდობლივია, რომ თავად ინგლისში trust არ გამოიყენებოდა ეკონომიკური გაერთიანების შესაქმნელად, როგორც ეს აშშ-ში მოხდა. ე.წ. Investment Trusts იყო სრულიად სხვა ტიპის ორგანიზაცია. პირები, რომლებიც ფლობდნენ ფულად სახსრებს, მაგრამ კარგად არ იცნობდნენ საფონდო ბაზარს, თავიანთ სახსრებს გადასცემდნენ მინდობილ მესაკუთრეებს, რათა ამ უკანასკნელთ შეეძინათ მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები და უზრუნველყოთ ტრასტის დამფუძნებლის (ბენეფიციარის) საშუალო შემოსავლის დონე. გერმანიაში საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ანალოგიური ტიპის ორგანიზაციები, რომელთაც ეწოდებოდა Treuhadgesellschaften. ისინი იქმნებოდა ბანკების უშუალო მონაწილეობით.¹²

რუსეთში ტრასტის ინსტიტუტის დამკვიდრების ცდა იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 1993 წლის 24 დეკემბრის №2296 ბრძანებულება. აღნიშნული აქტი ძალაში იყო რუსეთის ფედერაციის ახალი სამოქალაქო კოდექსის პირველი ნაწილის ამოქმედებამდე. ახალი სამოქალაქო კოდექსით შენარჩუნებულ იქნა ქონების ოპერატიული მართვის და სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტი და დამკვიდრდა ქონების მინდობილი მართვის კონსტრუქცია. დადასტურდა, რომ „მინდობილი მართვა არის ვალდებულებითი სამართლის და არა სანივთო სამართლის ინსტიტუტი“.¹³ მინდობილი მართვის ურთიერთობის თავისებურება ისაა, რომ მართვის განხორციელების დროს მმართველზე არ გადადის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება და მართვის დამფუძნებლის (ბენეფიციარის) ინ-

¹⁰ Генкин А.С. Эффективный траст. М., 1999. с.33.

¹¹ Нарышкина Р.Л., Доверительная собственность в гражданском праве Англии и США. М.,1965, с.33.

¹² Liefmann, Treuhander und Treuhadgesellschaften – in HWB der Staatswissenschaften, Bd. VIII, 1928, S.290-291.

¹³ Комментарий, ч.1 ГК РФ для предпринимателей, М.,1995, с.232.

ტერესი უფრო მეტადაა დაცული, ვიდრე ტრასტის დროს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მინდობილი მართვა არის ტრასტის მოდიფიცირებული სახე, რომელიც ამ ინსტიტუტის კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში რეცეფციის დროს ჩამოყალიბდა. რუსეთის სინამდვილემ ცხადყო, რომ პოსტკომუნისტური სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს იგი უფრო მეტად შეეფერება, ვიდრე მინდობილი საკუთრების ინსტიტუტი.

თუ საბჭოთა პერიოდის ცივილურ ლიტერატურას გადავაკლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ზოგი მეცნიერი ცდილობდა ტრასტის ინსტიტუტის დამკვიდრებას, რისთვისაც ისინი ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ტერმინი „trust“-ის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით და იძლეოდნენ კონსტრუქციას, რომლის დროსაც სახელმწიფო მის მიერ შექმნილ ორგანიზაციას სამართავად ანდობდა სახელმწიფო ქონებას.¹⁴

როგორც პროფ. ა.ვ.ვენედიქტოვი სამართლიანად მიუთითებს, ამ კონსტრუქციის ავტორები იგნორირებას უკეთებდნენ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტს, როგორიცაა ურთიერთობა ნამდვილ და ფორმალურ მესაკუთრეთა შორის, რასაც ადგილი აქვს ინგლისური trust-ის, გერმანული Treuhand-ის და რომანული fiducia-ს დროს, ანუ კავშირი ორ მხარეს, სამართლის ორ სუბიექტს შორის, რომელიც წარმოიშობა სასაქონლო ბრუნვის პროცესში.¹⁵ სახელმწიფოს ურთიერთობა სახელმწიფო იურიდიულ პირთან სახელმწიფო ქონების მართვის დროს არ არის ურთიერთობა ორ მხარეს შორის. იურიდიული პირი ურთიერთობაში წარმოად-

გენს სახელმწიფოს, არის სახელმწიფოს საკუთრების განცალკევებული ფორმა. სწორედ ამიტომ მიიჩნია ავტორმა შეუძლებლად trust-ის ან Treuhand-ის კონსტრუქციის საბჭოთა სინამდვილეში გამოყენება.

საკუთრების მინდობის ურთიერთობის განხილვისას არ შეიძლება არ მივუთითოთ ე.წ. დანაწევრებული საკუთრების თეორია. იგი წარმოიშვა ფეოდალურ ეპოქაში, როგორც მიწაზე საკუთრების ურთიერთობის რეგულირების საშუალება.

გამოსავალი მოიძებნა საკუთრების უფლების გაორებაში: სენიორს ჰქონდა უზენაესი საკუთრების უფლება, ხოლო ვასალს ან გლეხს კი – დაქვემდებარებული საკუთრება. დანაწევრებული საკუთრების უფლების იდეამ ფართო გავრცელება პოვა, რომელიც აისახა ზოგი ქვეყნის კანონმდებლობაში. ავსტრიის 1811 წლის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ასეთ დანაწევრებას და ერთმანეთისაგან ანსხვავებს უზენაეს მესაკუთრეს – Obereigentümer და დაქვემდებარებულს – Nutzungseigentümer.

გერმანიის 1896 წლის სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს საკუთრების დანაწევრების ცნებას. ამასთან, გერმანულ ლიტერატურაში გვხვდება ცდები დანაწევრებული საკუთრების თეორიის პრაქტიკაში დამკვიდრებისა (მაგ: Heimstätten).

Heimstätten იყო მიწის ნაკვეთი სახლით, ბაღით ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თემი 1920 წლის კანონის ძალით ურიგებდა ომის მონაწილეებს ან მათი ოჯახის წევრებს. მიწის ნაკვეთის გამცემს (Ausgeber) რჩებოდა მიწის ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლება Heimstätter-ის მიერ გასხვისების შემთხვევაში. ამ უკანასკნელს Ausgeber-ის თანხმობის გარეშე არ შეეძლო მიწის ნაკვეთის განკარგვა. გოლდშმიდტის აზრით ეს კონსტრუ-

¹⁴ Мартынов Б. С., Государственные трасты, 1924, с. 10.

¹⁵ Венедиктов А.В., Правовая природа государственных предприятий, М., 1928, с. 101.

ქცია დანაწევრებული საკუთრების უფლებ-
ის გამოხატულება იყო, თუმცა ამ იდეას არ
ეთანხმებოდა ვირჯი. ამ უკანასკნელს მიაჩნ-
და, რომ ერთადერთი მესაკუთრე გახლდათ
Heimstatter, ხოლო Ausgeber-ს კი გააჩნდა
სხვის ნივთზე შეზღუდული უფლება. გერ-
მანელი იურისტები ერთმანეთისაგან ანსხ-
ვაკებენ ფიდუციალური და დანაწევრებული
საკუთრების ცნებას. ფიდუციალური საკუთ-
რების დროს საუბარია საკუთრების არა
გაორებაზე ან დანაწევრებაზე, არამედ
საკუთრების ორსახოვნებაზე (Duplizität).
ფიდუციარი, ისევე როგორც ფიდუციანტი,
გვევლინება სრულ მესაკუთრედ (Vol-
leigentümer), მაგრამ ურთიერთობათა სხვა-
დასხვა სფეროში: ფიდუციარი – მესამე
პირებთან მიმართ, ფიდუციანტი კი თავად
ფიდუციართან ურთიერთობაში. და პირიქით,
დანაწევრებული საკუთრების დროს თითოეუ-
ლი მონაწილე არის არასრული მესაკუთრე
(unvollständiger Eigentümer), როგორც მესამე
პირებთან ურთიერთობაში, ისე ერთმანეთ-
თან დამოკიდებულებისას. ამიტომაც შეიძლება
მივუთითოთ, რომ კონტინენტური ევროპის
სამართლის სისტემის ქვეყნები იცნობენ
ფიდუციარული საკუთრების ცნებას, საერ-
თოდ სამართლის სისტემის ქვეყნები კი –
დანაწევრებულ საკუთრებას (რა თქმა უნდა,
გამონაკლისების გათვალისწინებით).

განვითარებას და სრულყოფას განიცდის
როგორც trust-ის, ასევე Treuhand-ის კონ-
სტრუქციები. ნიშანდობლივია ისიც, რომ
ანგლო-ამერიკული ტიპის ტრასტის ინსტი-
ტუტი XX საუკუნეში უკვე აღარაა დამახა-
სიათებელი მხოლოდ ამ სამართლის სისტემის
ქვეყნებისათვის. ზოგმა სახელმწიფომ იგი
აღიარა საკანონმდებლო წესით, ზოგან კი
სასამართლო პრაქტიკის წყალობით მკვიდ-
რდება. მაგალითად, ტრასტის შესახებ სპე-
ციალური კანონი მიიღეს ცვილონზე 1917
წელს, იაპონიაში კი – 1902, 1923 წლებ-

ში. მინდობილ საკუთრებას ეთმობა ლიხ-
ტენშტაინის სამთავროს სამოქალაქო კოდე-
ქსის მთელი თავი.

ოციან წლებში ეს ინსტიტუტი დამკვიდრდა
ლათინური ამერიკის მრავალ სახელმწიფო-
ში: მექსიკა, პუერტო-რიკო, სალვადორი,
პანამა. ზოგი ქვეყანა ითვალისწინებს მინდ-
ობილ საკუთრებას გარკვეული შეზღუდვე-
ბით. მექსიკის კანონმდებლობის თანახმად
ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწ-
ილე შეიძლება იყოს მხოლოდ იურიდიული
პირი, ამიტომ ის პრაქტიკულად საბანკო
მომსახურების სახით გამოიყენება.

დასავლეთის პრაქტიკაში სატრასტო კო-
მპანია ან კომერციული ბანკის სატრასტო
განყოფილება შეიძლება გამოვიდეს ორი სახ-
ით: 1. როცა მინდობილი ქონების დამო-
უკიდებლად განკარგვის უფლება აქვს და
2. როდესაც ასეთი უფლებამოსილება არ
გააჩნია.

საკუთრების მინდობის კონსტიტუციის
გამოყენების აუცილებლობა სხვადასხვა მიზ-
ნით შეიძლება იყოს განპირობებული. აშშ-ს
Restaments of the Law of Trusts მიუთითებს, რომ
მინდობილი საკუთრება შეიძლება დაფუძნდეს
ნებისმიერი, გარდა კანონსაწინააღმდეგო მიზნი-
სათვის, ოსტინ სკოტის აზრით კი, აბსურ-
დულია ნებისმიერი ცდა ტრასტის მიზნების
ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთებისა. „დამ-
ფუძნებლის განკარგულება შეიძლება გაკეთ-
დეს მეუღლის, ბავშვის ან სხვა პირთა
სასარგებლოდ. მისი მიზანი შეიძლება იყოს
მომავალი დროისათვის ქონების დაყოფა ან
კომპეტენტური პირისათვის მისი სამართა-
ვად გადაცემა, ან თუნდაც ბენეფიციარის დაცვა
მისი საკუთარი გამოუცდლობისაგან, ზოგჯერ
კი ეს უბრალოდ დაბეგვრის თავიდან ასაც-
ილებლად კეთდება“.¹⁶

¹⁶ Нарышкина Р.Л., Доверительная
собственность в гражданском праве Англии
и США, М., 1965, с.22.

* * *

როგორც ვხედავთ, საკუთრების მინდობის კონსტრუქცია ფართოდაა გავრცელებული ანგლო-ამერიკულ, ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალში, თუმცა, გარკვეული განსხვავებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული საკუთრების მინდობის ინსტიტუტი ინგლისური „trust“-ის, გერმანული „Treuhand“-ის დებულებების საფუძველზე აღმოცენებული კონსტრუქციაა, რომელიც ღრმა სამეცნიერო კვლევას საჭიროებს და რომელსაც პრაქტიკული გამოყენების დიდი მომავალი აქვს.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულება თავისი არსით, ვფიქრობ, საკუთრების მინდობილი მართვის ურთიერთობას უფრო შეესაბამება, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ კანონმდებელმა იგი ვალდებულებითი სამართლის ნაწილში განათავსა. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კოდექსით განმტკიცებული ეტიმოლოგიური ცნებები საერთო სამართლის სისტემასთან უფრო ახლოსაა – „მინდობილი მესაკუთრე“, „მინდობილი საკუთრება“. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლში მითითებულია კომერციული ბანკებისათვის ნებადართული საქმიანობის სახე-

ობანი, მუხლის (თ) პუნქტი კი ითვალისწინებს ისეთ ოპერაციას, როგორცაა „კლიენტის დავალებით ნდობითი (სატრასტო) და ფიდუციალური ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება, ფასიანი ქაღალდების მართვა“.

ცენტრალიზებული გვემოური სისტემისათვის უცხო იყო ისეთი აუცილებელი საბაზრო პირობა, როგორცაა – კონკურენცია. დღეისათვის საქართველოში აქტიურად ფუნქციონირებს მრავალი კომერციული ბანკი, რომლებიც საბჭოთა ეკონომიკისათვის უცნობი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ფენომენის – კონკურენციის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. საბაზრო ეკონომიკა მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. იცვლება საზოგადოების მოთხოვნები და წარმოების პროცესი. ბანკები, რომლებიც ადეკვატურ რეაგირებას ახდენენ ამ ცვლილებებზე, იღებენ მოგებას, ხოლო ბანკები, რომლებიც ამ პროცესში ვერ ერთვებიან, კოტრდებიან. სწორედ ამიტომ, საქართველოს კომერციული ბანკები მიმართავენ დასავლეთის გამოცდილებას, მუშაობის ახალი მიმართულების და მოგების მიღების ახალი საშუალებების გამოსაძებნად. ვფიქრობ, საბანკო საქმიანობა არის სწორედ ის სფერო, სადაც ყველაზე აქტიურად განვითარდება საკუთრების მინდობის ურთიერთობები.

თამარ ზამბახიძე,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო
სამართლის კათედრის ასპირანტი.



სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

კახა წიქარიშვილი

ბრალის ბარემში პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში – სამართლებრივი ანომალია თუ რეპუბლიკების ეფექტიანი მემქნაობა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ბრალი სისხლის სამართალში ერთ-ერთ უმთავრეს კატეგორიად და პასუხისმგებლობის უცილობელ წინამძღვრად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, საერთო სამართლის ქვეყნების სისხლის სამართალი გამონაკლისის სახით იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტს. წინამდებარე სტატიის მიზანია გაარკვიოს ამ ინსტიტუტის არსი, მისი გავრცელების არეალი, მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

ბრალის ბარემში პასუხისმგებლობის არსი

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ინგლისურად გადმოიცემა ტერმინით „Strict liability“, რაც სიტყვასიტყვით „მკაცრ“, „ზუსტ“ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ამერიკული „დანაშაულისა და მართლმსაჯულების ენციკლოპედია“ მის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „თუ მანვე შედეგის გამოწვევისას ბრალდებული არ მოქმედებდა არც განზრახვით (intention), არც თვითიმედოვნებით (recklessness), არც დაუდევრობით (negligence) და სამართლებრივი სისტემა მას მაინც არ ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს „მკაცრ“ ანუ „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას“ (Encyclopedia of crime and justice, p. 1513.)

ამ ცნების სხვაგვარ განმარტებას იძლევა ს.კლარკსონისა და ჰ.კიტინგის ავტორობით 1998 წელს გამოცემული ინგლისური სისხლის სამართლის სახელმძღვანელო: „პასუხისმგებლობა არის „მკაცრი“, როცა ბრალდებას არ ევალება ამტკიცოს ბრალდებულის ფსიქიკური დამოკიდებულება (mens rea) დანაშაულის ობიექტური მხარის (actus reus) ერთი ან რამდენიმე ელემენტის მიმართ“ (C.M.V. Clarkson and H.m. Keating. Criminal Law. Text and Materials).

როგორც ბოლო განმარტებიდან ვხედავთ, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა არ გულისხმობს იმას, რომ პირი საერთოდ ფსიქიკური დამოკიდებულების გარეშე მოქმედებს. მას შეიძლება განზრახი დამოკიდებულება ჰქონდეს თვით მოქმედების აქტის მიმართ, მაგრამ ქმედების ობიექტური მხარის რომელიმე არსებით (crucial) ელემენტთან არაბრალეულ, ანუ მხოლოდ ფაქტობრივ კავშირში იმყოფებოდეს.

ამ ზოგადი წესის არსის ნათელსაყოფად ამერიკული ენციკლოპედია ერთ საინტერესო მაგალითს გვაშვებებს: – რძის გამყიდველი ყიდის ფალსიფიცირებულ რძეს, რითაც იგი სჩადის დანაშაულს გათვალისწინებულს 1906 წლის ფედერალური კანონით „საკვებისა და მედიკამენტების შესახებ“. მაშინ, როცა თვით გაყიდვის აქტის მიმართ მისი ფსიქიკური დამოკიდებულება უცვლელია,

რძის ფალსიფიკაციასთან მისი ფსიქიკური დამოკიდებულება შეიძლება რამდენიმე სახით იყოს წარმოდგენილი.

1. მან იცის, რომ რძე ფალსიფიცირებულია და სურს მისი გაყიდვა (intention);

2. ის ფიქრობს, რომ რძე გაყალბებული შეიძლება იყოს, მაგრამ იმედოვნებს, რომ ეს ასე არ არის (recklessness);

3. მან არ იცის რძის ფალსიფიკაციის ფაქტი, მაგრამ მის ადგილას წინდახედულ (reasonably prudent) რძის გამყიდველს აუცილებლად ეცოდინებოდა ამის შესახებ და შესაბამისად მიიღებდა ზომებს მისი გაყიდვის აღსაკვეთად (negligence);

4. მან არ იცის რძის ფალსიფიკაციის შესახებ და სავსებით „გონივრულ შეცდომას“ უშვებს რძის ხარისხთან მიმართებაში (Encyclopedia of crime and justice p. 1513).

ბუნებრივი იქნება, თუ კანონი პირველ სამ შემთხვევას დასჯადად გამოაცხადებს, ვინაიდან მათში ჩვენთვის კარგად ცნობილი ბრალის ფორმების გრადაციაა გადმოცემული (განზრახვა, გაუფრთხილებლობა – თვითიმედოვნების და დაუდევრობის სახით). თუმცა ჩვენი სამართლებრივი სისტემის ფონზე შეიძლება წარმოიშვას დისკუსია მე-2 და მე-3 შემთხვევის კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ (გავიხსენოთ, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი მსგავს შემადგენლობას მხოლოდ განზრახვაზე აგებს). ალბათ, ყოველივე ამის ფონზე, სენსაციური იქნება იმის განცხადება, რომ საკვებისა და მედიკამენტების 1906 წლის კანონი კრიმინალიზაციის სფეროში აქცევს არა მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე, არამედ მე-4 შემთხვევასაც და ბრალდებას, ფალსიფიცირებული რძის გაყიდვისას, საერთოდ ათავისუფლებს ბრალის მტკიცების მოვალეობისაგან.

არაბრალეული პასუხისმგებლობის არსი უფრო მუქ ფერებში შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: ბრალის ყველაზე უფრო მსუბუქი ფორმის დაუდევრობის დასადგენად ანგლო-ამერიკული სამართლებრივი დოქტრინა

და სასამართლო პრაქტიკა იყენებს ე.წ. „გონიერი ადამიანის“ (reasonable person) ტესტს და ამბობს: „თუ მოცემულ შემთხვევაში ჩვეულებრივი გონიერი ადამიანი ბრალდებულისგან განსხვავებულად მოიქცეოდა და წინდახედულების ნორმების დაცვით თავიდან აიცილებდა საზოგადოებრივად მავნე შედეგს, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ბრალდებულმა ქმედება დაუდევრობით ჩაიდინა“ (Encyclopedia of crime and justice, p. 1513) (negligence). არაბრალეული პასუხისმგებლობის მთელი კურიოზი იმაში გამოიხატება, რომ იგი სჯის თვით „გონიერ ადამიანსაც“, ანუ იმას, ვინაც სიფრთხილის ყველა ზომა მიიღო და შედეგი თავიდან მაინც ვერ აიცილია.

ეს დასკვნა ერთი შეხედვით, იმდენად აბსურდული ჩანს, რომ შეიძლება რომაულ-გერმანული სამართლის კონცეფციაზე აღზრდილ იურისტში ღიმილი გამოიწვიოს, მაგრამ ჩვენ შენიშვნის სახით აქვე გვინდა აღვნიშნოთ. 1) არაბრალეული პასუხისმგებლობა ანგლო-ამერიკულ სისტემაში არა ზოგადი წესის, არამედ გამონაკლისის სახით არსებობს და მხოლოდ დანაშაულთა ცალკეულ კატეგორიებზე ვრცელდება და 2) ამ ინსტიტუტს ინგლისელ და ამერიკელ იურისტთა მთელი პლეადა ებრძვის (თუმცა მისი გავრცელების სფერო სულ უფრო და უფრო იზრდება).

თემის ამ ნაწილის დასასრულს ანგლო-ამერიკული სასამართლო პრაქტიკიდან გვინდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი, სადაც ცხადად ჩანს, რომ არაბრალეულობა, ჩვენი თემის კონტექსტში, გულისხმობს არა საერთოდ ფსიქიკური კავშირის უარყოფას მოქმედსა და ქმედების ობიექტურ მხარეს შორის, არამედ ამ კავშირის უგულვებლყოფას ობიექტური მხარის ერთ-ერთ ელემენტთან. ჩვენს შემთხვევაში, ასეთი ელემენტია დაზარალებულის ასაკი: კანონი კრძალავს სქესობრივ კავშირს გარკვეულ ასაკს მიუღწეველ პირთან. დამნაშავემ თუ ობიექტურად ასეთი ქმედება

ჩაიდინა, მან რაც უნდა ამტკიცოს, რომ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა დაზარალებულის ასაკის სიმცირე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავს ვერ დაიძვრენს. ანუ ეს დანაშაული ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში არის „Strict liability“-ს გავრცელების ერთ-ერთი ტიპური შემთხვევა.

**ბრალის ბარემზე
პასუხისმგებლობის
გავრცელების არეალი**

როგორც „დანაშაულის და სასჯელის ენციკლოპედია“ განმარტავს, ბრალის ბარემზე პასუხისმგებლობა ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში, ძირითადად, ორ განსხვავებულ სფეროს მოიცავს, ესენია:

- 1) ე.წ ტრადიციული დანაშაულები (traditional offences), (მაგ. სქესობრივი კავშირი სქესობრივად მოუძწიფებელ პირთან, ფელონიასთან დაკავშირებული მკვლელობები და სხვ.);
- 2) ე.წ. „რეგულაციური დანაშაულები“ (regulatory offences), (მაგ., გარემოს დაბინძურება, ფალსიფიცირებული წამლებისა და საკვების რეალიზაცია, ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია არასრულწლოვნებზე და სხვ.). დანაშაულთა ეს სფერო უკავშირდება ბიზნესის განვითარებას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

არაბრალეული პასუხისმგებლობის გავრცელება პირველი სახის დანაშაულებზე პრეცედენტული სამართლის წიაღში მოხდა, კერძოდ, 1844 წელს სასამართლომ საქმეზე *Commonwealth v. Mash* (48 Mass 7 Met.472), ზოგადად დაადგინა, რომ „პირი შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცეს ორცოლიანობისთვის, თუნდაც მას მეორე ქორწინებისას სრული საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ მისი პირველი მეუღლე მკვდარია.“

„Strict liability“-ს გავრცელება განსაკუთრებით სერიოზულად მოხდა ფელონიასთან დაკავშირებულ მკვლელობებზე. კერძოდ, სასამართლომ საქმეზე *People v. Stamp* (Cal. App.

3d 203) 1969 ზოგადად დაადგინა, რომ თუ დამნაშავის მიერ ფელონიის ჩადენამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, პირი დაისჯება ისე მკაცრად, როგორც განზრახ მკვლელი, თუნდაც მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს დაუდევრობასაც კი. (მაგ., თუ შეიარაღებული ყაჩაღობის დროს დაზარალებული გულის შეტევით გარდაიცვალა, ბრალდებას არ სჭირდება ამტკიცოს, რომ დამნაშავეს უნდა სცოდნოდა და შეეძლო სცოდნოდა სიკვდილის რისკის შესახებ (Encyclopedia of crime and justice p. 1514).

და მაინც, როცა ლაპარაკია ბრალის ბარემზე პასუხისმგებლობაზე, მხედველობაში იღებენ და პაექრობის საგნად მიიჩნევენ არა იმ მცირეოდენ, ე.წ ტრადიციულ დანაშაულთა სფეროს, რომელიც სასამართლო პრაქტიკამ ასე თუ ისე უკვე სტაბილურად და უცვლელად ჩამოაყალიბა, არამედ ე.წ. რეგულაციურ დანაშაულებს, რომელთა რიცხვის მუდმივი ზრდა უკავშირდება ბიზნესის წინსვლას და მძლავრი ინდუსტრიების შექმნას. ასეთი სწრაფვა არაბრალეული პასუხისმგებლობის გაფართოებისაკენ კარგად გამოიხატა აშშ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ცნობილ მოსაზრებაში საქმეზე „მორისეტი აშშ-ს წინააღმდეგ“:

„ინდუსტრიულმა რევოლუციამ გაზარდა მუშათა რიცხვი, რომლებიც მძლავრ მექანიზმებთან მუშაობენ და მუდმივ საფრთხეში იმყოფებიან. მსხვილი ქალაქების შექმნამ ჯანმრთელობასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას შეუქმნა ისეთი პრობლემები, რომლებიც, ძველ დროში აზრადაც არავის მოუვიდოდა. საკვების ფართო განაწილება იქცა ვენების ფართო განაწილების წყაროდ. ასეთი საფრთხის წყაროები საჭიროებენ უმკაცრეს მოწესრიგებას, რაც მეტისმეტად ამალღებს მათთან შეხებაში მყოფ პირთა პასუხისმგებლობას.

მართალია, ასეთი ქმედებები ძირს არ უთხრიან სახელმწიფო უშიშროებას (როგორც ეს ლალატის დროს ხდება), მაგრამ ისინი არღვევენ სოციალურ წესრიგს და

საფრთხეს უქმნიან მთელ საზოგადოებას. ამ გაგებით, როგორც არ უნდა იყოს დამნაშავის ბრალი, ზიანი იგივე რჩება. აქედან გამომდინარე, კანონები, რომლებიც ამ სფეროში მოქმედებენ, აუცილებლად არ მიანიათ ბრალის არსებობა პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად“ (Morissette v. United States 342 U.S.246 , 253-256).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითად მოვიყვანოთ რამდენიმე ფრიად გავრცელებული საქმე, რომლებიც ყველაზე უფრო ტიპურია ბიზნესის სფეროში Strict liability-ს გავრცელებისა:

საქმეში „ალფაცელი უდვორდის წინააღმდეგ“, (1972 A.C.) რამდენიმე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული „მდინარეთა გაჭუჭყიანების შესახებ“ ინგლისის 1951 წლის კანონის შესაბამისად. სასამართლომ პასუხისმგებლობის გამოძრის ველად არ ჩათვალა ის ფაქტი, რომ „მათ არ იცოდნენ მდინარის შესაძლებელი გაჭუჭყიანების შესახებ და საფუძვლიანად ვარაუდობდნენ, რომ მათ მიერ დაყენებული ფილტრაჟის სისტემა კარგად იმუშავებდა“.

საქმეში „აშშ დოტერვაიშის წინააღმდეგ“, (320 U.S. 1943 at 284-285) დოტერვაიში, ფარმაცევტული კომპანიის პრეზიდენტი მსჯავრდებულ იქნა არასწორად მარკირებული წამლების გაყიდვაში გაშვებისთვის. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჯ. ფრანკფურტერი წერდა:

„1906 წლის „კანონი საკვებისა და მედიკამენტების“ შესახებ არის კონგრესის მცდელობა გაწმინდოს ბაზარი უსუფთაო და გაყალბებული საკვებისა და წამლისაგან. ამ კანონის მიზანია დაიცვას იმ ხალხის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, რომლებიც თანამედროვე ინდუსტრიალიზმის პირობებში თავის თავს თვითონ ვერ დაიცავენ. ამ მიზნის აღსრულებისთვის კანონი ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ იგი იქცეს რეალურ ინსტრუმენტად ხელისუფლების ხელში და არა ინგლისური სიტყვების უთავბოლო გროვად.

დოტერვაიშის მსჯავრდება ეფუძნება ახალი ტიპის კანონმდებლობას, რომელიც ბრალდებას ათავისუფლებს ტრადიციული ბრალის ფორმების მტკიცებისაგან. უფრო დიდი სიკეთის დასაცავად იგი რისკის ტვირთს აკისრებს სხვა მხრივ უცოდველ პირს, რომელსაც პასუხსაგები დამოკიდებულება აქვს საფრთხის წყაროსთან“.

როგორც ვხედავთ, ბიზნესის სფეროში არაბრალეული პასუხისმგებლობის გავრცელება, ძირითადად, საკანონმდებლო ვზით მოხდა. ამაში დიდი წვლილი შეიტანა სასამართლო პრაქტიკამაც. იქ, სადაც კანონმდებელი ნორმის ტექსტში სპეციალურად არ მიუთითებდა ბრალის რაიმე ფორმაზე, სასამართლოებმა აიღეს ინიციატივა ეს შემთხვევები ჩათვალათ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სფეროდ. ამასთან, სახელმძღვანელოდ დაადგინეს შემდეგი პრინციპები:

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა საკანონმდებლო ნორმაში იგულისხმება მაშინ, როდესაც:

- ის არეგულირებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ჯანმრთელობის ან საგზაო უსაფრთხოების საკითხებს;
- არის „კვაზი-კრიმინალური“, ანუ მასში მითითებული ქმედების ჩადენას არ ახლავს არავითარი მორალური „სტიგმა“;
- ითვალისწინებს მსუბუქ სასჯელს, როგორც წესი, ჯარიმას.

მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითს, სადაც მოხდა ამ პრინციპების გამოყენება:

საქმეში „დიდი ბრიტანეთის ფარმაცევტული საზოგადოება სტოკეინის წინააღმდეგ“ (1946 Cr App R 379) მსჯავრი დაედო აფთიაქარს, რომელმაც წამალი გამოწერა ყალბი სამედიცინო რეცეპტის საფუძველზე. 1968 წლის კანონი „მედიკამენტების შესახებ“ ითვალისწინებს: „არავის არა აქვს უფლება საცალოდ გაყიდოს ამ კანონში მითითებული სახეობის მედიკამენტი უფლებამოსილი პრაქტიკოსი ექიმის რეცეპტის გარეშე“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო არაბრალეული პასუხისმგებლობის გავრცელების

არეალი და აფთიაქარის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა;

საქმეში, „სტეპლ ზი აშშ-ს წინააღმდეგ“ 1994 წელს პირი პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისათვის, მაშინ, როდესაც მან არ იცოდა იარაღის ავტომატურობის შესახებ და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. აშშ უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგანაც ფედერალური კანონი „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ ამგვარი მოქმედებისათვის ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 10 წლამდე ვადით, ეს კონკრეტული შემადგენლობა ვერ ჩაითვლებოდა არაბრალეული პასუხისმგებლობის შემცველ კონსტრუქციად, ამიტომ განაჩენი გააუქმა და მსჯავრდებული გაათავისუფლა.

**ბრალის გარეშე
პასუხისმგებლობის**

მოწინააღმდეგეთა არგუმენტები

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის იურისტებისათვის აქსიომა არ არის, პირიქით, მას პრაქტიკოსთა და თეორეტიკოსთა მთელი პლეადა ებრძოდა და ებრძვის კიდევ. უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლამ თვით ინსტიტუტის არსებობას საფრთხე ვერ შეუქმნა, რადგან მისი პრაქტიკული საჭიროება ღრმადაა გამჯდარი საერთო სამართლის ქვეყნების იურიდიულ ცნობიერებაში.

ყველაზე სხარტად ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის კრიტიკა გამოიხატა ამერიკელი მკვლევარის ჰერბერტ ლ.პარკერის სიტყვებში:

„პირის დასჯა მისი ბრალის გაუთვალისწინებლად არის, ჯერ ერთი, არაეფექტიანი და მეორეც, უსამართლო. იგი არაეფექტიანია იმი-

ტომ, რომ, თუ პირს შეცნობილი არა აქვს თავისი ქმედობის დანაშაულებრივი ხასიათი, ისმება კითხვა, სასჯელის შიშმა რისგან უნდა შეაკავოს იგი ან სხვა პირები, ან საჭიროებს კი ასეთი პირი გაუენებელყოფას ან გამოსწორებას? იგი უსამართლოა იმიტომ, რომ მსჯავრს დებს და დანაშაულის დაღს ასვამს იმას, ვინც მორალურად ვერ გაიკიცხება. (Herbert L. Parker „Mens rea and the Supreme Court 1972 p. 107).

პროფესორი ჰარტი წერდა: ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიმჩინია არაბრალეული პასუხისმგებლობა საზიზღრობად, არის შემდეგი: ადამიანებს, როგორც წესი, სჯიან იმისათვის, რომ მათ ჩაიდინეს ის, რასაც კანონი უკრძალავთ და არ შეასრულეს ის, რასაც კანონი ავალბებს. ამორალურია იმ ხალხის დასჯა, რომლებსაც არ შეეძლოთ მოცემულ სიტუაციაში სხვაგვარად მოქცეულიყვნენ“ (Encyclopedia of crime and justice p. 1513).

როგორც ვხედავთ, სასჯელის ორგვარი, პრევენციული და რეპრესიული ბუნებიდან გამომდინარე, არაბრალეულ პასუხისმგებლობაზე შეტევა ორი მიმართულებით განხორციელდა:

- 1. სასჯელი პრევენციული თვალსაზრისით უსარგებლოა;
- 2. სასჯელი რეპრესიულად დაუსაბუთებელია, ვინაიდან არასწორ ადრესატს ირჩევს და მორალურ დამლას ადებს „უცოდველ დანაშაულებს“.

strict liability -ს მხარდამჭერებიც თავდაცვას ამ ორი მიმართულებით ახორციელებენ. ჯერ ერთი, ისინი ცდილობენ დაამტკიცონ არაბრალეული პასუხისმგებლობის პრევენციული ხასიათი და მისი პრაქტიკული საჭიროება და მეორე მხრივ, ეს ინსტიტუტი როგორმე მორალურადაც გაამყარონ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



აღექსანდრე კაცმანი

კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის ხერხები

3 ფიქრობ, დადგა დრო, რათა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ ისეთ სოციალურ მოვლენაზე, როგორცაა კომპიუტერული დანაშაულობა, არამედ ვიფიქროთ მასთან ბრძოლის და თავიდან აცილების ხერხებზე. მიმაჩნია, რომ ამ სოციალურად საშიშ მოვლენასთან ბრძოლისა და მისი თავიდან აცილების ამოსავალი წერტილი სამართლებრივი ნორმებია.

კომპიუტერულ დანაშაულთა თავიდან აცილების სამართლებრივ ზომებს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც ადგენენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ზემოთ აღწერილ სამართალდარღვევათათვის. ამ მიმართებით საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ პირველად მსგავსი ნაბიჯი გადაიდგა ამერიკის --- არიზონისა და ფლორიდას შტატების საკანონმდებლო კრების მიერ ჯერ კიდევ 1978 წელს. მიღებულ კანონს ერქვა "Computer crime act of 1978" და იგი იყო მსოფლიოში პირველი სპეციალური აქტი, რომელიც ადგენდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კომპიუტერული დანაშაულისათვის. შემდგომ, პრაქტიკულად აშშ-ს ყველა შტატში (48 შტატში), მიიღეს ანალოგიური სპეციალური კანონმდებლობები. 1984 წ. მოცემული საკითხები სამართლებრივად მოაწესრიგა აშშ-ს ფედერალურმა კანონმდებლობამ.

დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტის არაერთგვაროვნება კომპიუტერულ დანაშა-

ულებში იწვევს გარკვეულ გართულებას. საქმე ისაა, რომ აშშ-ს სხვადასხვა შტატში, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, მაგ., კანადაში, დიდ ბრიტანეთში, გერ-ში, იაპონიაში, შვედეთში, ფინეთში, ავსტრალიაში, ნორვეგიაში, დანიასა და პორტუგალიაში, ერთობლიობაში გამოიყოფა კომპიუტერულ ხელყოფათაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის 3 ობიექტი: მომსახურება, საკუთრება და ინფორმაცია. გაუწვევლი (გატაცებული) მომსახურებისა და საკუთრების ღირებულების განსაზღვრა რთული არ არის. რთულია ინფორმაციის საფასურის განსაზღვრა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ინფორმაციის "ქურდობის" მტკიცებასთან, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს მესაკუთრისათვის საკუთრების წართმევის ფაქტის დამტკიცებას. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმაცია, როგორც ადამიანთა ცოდნის გარდამქმნელი ფორმის სპეციფიკა, მისი მესაკუთრისათვის ქმნის კოპირების ხილვადობას, თვით ფიზიკური ფაქტის გარეშე.

მოცემული მოვლენის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს, რომელსაც არა აქვს დაუფლების შესაძლებლობა, შეუძლია ნებისმიერი მონაცემისა და ინფორმაციის მიღება, რომელიც ინახება კომპიუტერული სისტემის მეხსიერებაში რაიმე იძულებითი ღონისძიებების მიღების გარეშე. კომპიუტერული ტექნიკის საშუალების გამოყენებისას შესაძლებელია ინფორმაციის შეცვლა, გატაცება ან განადგურება.

ინფორმაცია საქონელია, რომელსაც გააჩნია სამომხმარებლო და გაცვლითი ღირებულება. ამასთან, გაცვლითი ღირებულება მოიცავს მისი შექმნის, აწყობისა და მონაცემში ჩადებულ ინვესტიციებს და აგრეთვე დაზიანებული ინფორმაციის აღდგენის და მისი უკანონო მითვისების პოტენციურ საფასურს.

აუცილებლად უნდა იყოს მიღებული ისეთი ნორმატიული აქტები, რომელნიც შესაძლებელს გახდიან ინფორმაციული გაცვლისა და ინფორმაციის გადამუშავების სფეროს ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებას (მოწესრიგებას), მათ შორის ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენებით, ე.ი. უნდა მოაწესრიგონ საკითხთა შემდეგი წრე:

- ინფორმაციული ტექნოლოგიის ძირითადი კომპონენტების, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტების იურიდიული განსაზღვრება;
- ამ ობიექტებზე მესაკუთრეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენა და განმტკიცება;
- ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ფუნქციონირების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა;
- ინფორმაციისა და მონაცემთა საიდუმლოების კატეგორიის დადგენა;
- განსაზღვრულ სუბიექტთა მიერ ინფორმაციის კონკრეტული სახეობების დაუფლების კატეგორიის განსაზღვრა;
- ტერმინის "კონფიდენციალური ინფორმაციის" განმარტება, სამართლებრივი გამოვლინების ფარგლები და აგრეთვე სხვადასხვა ფაქტორისაგან მისი დაცვის ვალდებულების დაკისრება კონკრეტულ სუბიექტებზე.

პრობლემათა განსახილველი წრის გადამწყვეტ საკანონმდებლო აკორდად შეიძლება ჩავთვალოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიღება, რომელიც უკვე ავლენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კომპიუტერულ დანაშაულთათვის საქართველოში და გამოყოფს ინფორმაციას, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს. აღნიშნული აქტით საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, ამ თვალსაზრისით, განვითარებული ქვეყნების

საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაშია. თავის მხრივ, ეს აუცილებლად იწვევს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიღებას, რომელიც მოაწესრიგებს ყველა შესაძლებელ საგამოძიებო მოქმედებას, მათი განხორციელების მექანიზმს დანაშაულის ახალ სახეობასთან მიმართებაში და უეჭველად მოითხოვს შესაბამის კრიმინალისტიკურ დამუშავებას კომპიუტერული ტექნიკის მეთოდების, ტაქტიკის, სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, რომელიც მიმართული იქნება კომპიუტერულ დანაშაულებთან ბრძოლის პრობლემის სამეცნიერო დამუშავებისაკენ.

ჯეიმს ბონდის სიტყვებით რომ ვთქვათ: "ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს სამყაროს" (ჯეიმს ბონდი კომპიუტერულ დანაშაულთა სფეროს რეციდივისტია).

ნებისმიერი, მათ შორის დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათების უმთავრესი და განმსაზღვრელი ელემენტია მისი ჩადენის დამახასიათებელ მონაცემთა ერთობლიობა. როგორც ცნობილია, დანაშაულის ჩადენის ხერხი მრავალი შემადგენლობისათვის ითვლება ობიექტური მხარის აუცილებელ ელემენტად და შედის მის სისხლისსამართლებრივ დახასიათებაში, ხოლო ზოგჯერ მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. დანაშაულის ჩადენის ზოგიერთი ხერხი, თუმცა არ არის გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელ გარემოებად, ყოველთვის არის დანაშაულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება. ბევრ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხერხს, რომელიც არ არის მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლში, სასამართლო ითვალისწინებს სასამართლო სასჯელის კონკრეტული ღონისძიების შერჩევისას და შესაბამისად უკვე გააჩნია სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა და დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დახასიათების ელემენტია. აქედან ჩანს, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხის დახასიათება არ ამოიწურება მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, რადგან სისხლისსამართლებრივ

დახსიათებამი დანაშაულის ჩადენის ხერხი წარმოდგენილია საერთო სახით, მაგალითად, ღია ან ფარული გატაცების ხერხი, შენობამი შეღწევა და ა.შ. და მისთვის სულ ერთია ფარული გატაცების ილეუები, შენობამი შეღწევის კონკრეტული ხერხები, ამასთან გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები, მათი მიღების წყარო და ა.შ. ამ შემთხვევამი საქმე გვაქვს დანაშაულის ჩადენის ხერხის კრიმინალისტიკურ დახსიათებასთან.

დანაშაულის ჩადენის ხერხის სტრუქტურა მერყევი კატეგორიაა, როგორც კრიმინალისტიკური, ისე სისხლისსამართლებრივი გაგებით და დამოკიდებულია დანაშაულის ქცევის თავისებურებებსა და დანაშაულის ჩადენამდე და ჩადენის შემდეგ წარმოქმნილ სიტუაციამზე და სხვა გარემოებებზე. იგი შეიძლება სამი სახის იყოს:

1. სამრგოლიანი (რომელიც მოიცავს სუბიექტის ქცევას დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის დროს და ჩადენის შემდეგ);
2. ორრგოლიანი (სხვადასხვა კომბინაციით);
3. ერთრგოლიანი (რომელიც ახსიათებს სუბიექტის ქცევას დანაშაულებრივი აქტის ჩადენის დროს).

თანამედროვე საზღვარგარეთის კრიმინალისტიკურ მეცნიერებამი არ არსებობს კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის ხერხების კრიმინალისტიკური დახსიათების, მათი კონკრეტული სახელწოდებისა და კლასიფიკაციის ასე თუ ისე განსაზღვრული ცნება. ამ საკითხების შესწავლა საზღვარგარეთელმა მკვლევარებმა 70-იანი წლების დამლევეს დაიწყეს. კომპიუტერული დანაშაულების კვლევის საკითხში ოცწლიანი ჩამორჩენა, განპირობებულია მრავალი ობიექტური მიზეზით – ერთი მათგანია თვით კომპიუტერულ დანაშაულთა წარმოქმნის ფაქტი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოების ინფორმაციზაციის დონეზე. მაგ., პირველი კომპიუტერული დანაშაული აშშ-ში დაფიქსირდა უკვე 1966 წელს.

ამჟამად იურიდიულ ლიტერატურამი არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი კომპი-

უტერულ დანაშაულთა ჩადენის ხერხების გამოყოფის, კლასიფიკაციისა და დასახელების საკითხზე. მაგალითად, 1983 წელს აშშ-ს ჯანდაცვის სამინისტრომ კონგრესის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტისათვის მოამზადა მოხსენება თემაზე: "კომპიუტერული დანაშაულობანი და სამართალდარღვევები სამთავრობო დაწესებულებებში", რომელშიც მკვლევარებმა გამოყვეს კომპიუტერულ სამართალდარღვევათა ჩადენის 17 ძირითადი ხერხი.

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის საფუძველზე, 120 დანაშაულის, რომელიც ჩადენილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების საფუძველზე და აგრეთვე საზღვარგარეთ სპეციალური ლიტერატურის შესწავლის შედეგად, გამოყოფ კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის 20-ზე მეტ ძირითად სახეობას და დაახლოებით 40 ქვესახეობას, რომელთა რაოდენობაც თანდათან მატულობს, დანაშაულთა მიერ მათი კომბინაციისა და სხვადასხვა ალგორითმის ლოგიკური მოდიფიკაციის გამოყენების მიზეზით. მოცემული მოვლენა განპირობებულია როგორც კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა სირთულით, ისე ინფორმაციული პროცესების მრავალფეროვნებითა და მუდმივი მზარდობით, რომელთა დიდი ნაწილი ასახავს მატერიალური ფასეულობების, ფინანსური და ფულადი სახსრების, სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა მოძრაობას და ა.შ., რომელნიც წინასწარ განსაზღვრავენ დანაშაულის ობიექტს, საგანს და იარაღს. საყურადღებოა, საინფორმაციო პროცესებში მონაწილე თვით გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა სპეციფიკის ფაქტი, რაც გამოიხატება მის გაორებაში: როგორც დანაშაულებრივი ხელყოფის ჩადენის საგანი და როგორც ხერხი. აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ტექნიკის საშუალებანი ქვემოთ განხილულ დანაშაულებრივი ხელყოფის 10 სახეობამი წარმოდგენილი იქნებიან, როგორც დანაშაულის ჩადენის საგნებად, ასევე იარაღებად.

განვიხილოთ დანაშაულთა მიერ შედარებით ფართოდ გამოყენებული კომპიუტერულ

დანაშაულთა ხერხები, რომელნიც განეკუთვნებიან მონაცემებით მანიპულირებისა და კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით მართვითი ბრძანებების ჯგუფებს.

ამ მეთოდთა განვითარების ისტორია შემდეგნაირია: უკვე 1988 წელს მათ მიიღეს მრავალრიცხოვანი და სოციალურად საშიში ხასიათი. დღესდღეობით ისინი უფრო მაღალ და ხარისხიან ტექნიკურ დონეზე დგანან.

1. მონაცემთა შეცვლა - შედარებით ადვილი და ამიტომ ძალიან ხშირად გამოყენებული ხერხია დანაშაულის ჩადენისა. დამნაშავეთა მოქმედება ამ შემთხვევაში მიმართულია მონაცემთა შეცვლის ან ახლის შეტანისაკენ, რომელიც ჩვეულებრივ ხორციელდება ინფორმაციათა შეტანა-გამოტანის დროს. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოცემული ხერხი გამოიყენება ანგარიშისათვის "სხვისი" (უცხო) ისტორიის მიწერისას, ე.ი. საბანკო ოპერაციათა ავტომატიზირებულ სისტემაში მონაცემთა მოდიფიკაციით, რაც იწვევს სისტემაში იმ თანხების გაჩენას, რომელნიც არ ირიცხებოდნენ მოცემულ ანგარიშზე.

ამ ხერხს იყენებენ დამნაშავეები აგრეთვე ფასეულობათა და სხვისი საკუთრების გატაცებისას. ამავე ხერხით შეიძლება იმ დანაშაულთა ჩადენაც, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ყიდვა-გაყიდვის ფიქტობრივ ოპერაციებთან. მაგალითად, უცხოეთის პრესის მონაცემთა თანახმად, დიდი ბრიტანეთის ტურისტული სააგენტო დაანაწევრეს კონკურენტებმა. დამნაშავეებმა უკანონოდ შეაღწიეს ავიაბილეთების გაყიდვის კომპიუტერულ სისტემაში, შეასრულეს ფინანსური გარიგება. მონაცემთა შეცვლის გზით მათ შეიძინეს თვითმფრინავის ბილეთები მთელი ფულადი სახსრებით, რომელიც ირიცხებოდა ტურისტული სააგენტოს ანგარიშებზე. ექსპერტის ჩვენების თანახმად, ყველა ამ ინფორმაციის შესრულებაზე ოპერატორებმა მხოლოდ რამდენიმე წუთი დახარჯეს.

1.1. კოდის შეცვლა არის მონაცემთა შეცვლის კერძო ვარიანტი. იგი მდგომარეობს

მონაცემთა კოდის შეცვლაში, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის.

2. "ტროას ცხენი" - ეს ხერხი მდგომარეობს სხვის პროგრამულ უზრუნველყოფაში სპეციალურად შექმნილ პროგრამების ფარულ შეყვანაში, რომელნიც ინფორმაციულ-გამოთვლით სისტემაში მოხვედრისას (რომელნიც ჩვეულებრივ თავს ასაღებენ ცნობილ სერვისულ პროგრამებად), იწყებენ ახალი, "ტროას ცხენის" მიმღები კანონიერი მფლობელის მიერ არდაგეგმილი პროგრამების შესრულებას და ამავე დროს ინარჩუნებენ მისი უწინდელი მუშაობის უნარს.

მოცემული ხერხის დახმარებით, დამნაშავეები ჩვეულებრივ რიცხავენ წინასწარ გახსნილ ანგარიშებზე განსაზღვრულ თანხას თითოეული ოპერაციიდან. აქ შესაძლებელია დამნაშავეთა მიერ ანგარიშებზე ჭარბი თანხების გაზრდის ვარიანტიც თანხის ნარჩუნების ავტომატური გადაანგარიშებით, რომელიც დაკავშირებული იქნება შესაბამისი ვალუტის კომერციულ კურსზე გადასვლასთან.

საზღვარგარეთის საგამომიებო პრაქტიკიდან საინტერესოა ერთი ამერიკელი პროგრამისტის მიერ "ტროას ცხენის" გამოყენების ფაქტი. მან თავის სამუშაო ადგილას მდებარე პერსონალური კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფაში შეიყვანა ბრძანებები, რომელთაც არ გამოჰყავდათ ანგარიშების ბეჭდვაზე განსაზღვრული ფულადი მიწოდებანი. ეს თანხები განსაკუთრებული ხერხით იშიფრებოდნენ და ცირკულირებდნენ მხოლოდ კომპიუტერის ინფორმაციულ გარემოში. ფულის გაცემის ბლანკების გატაცების შემდეგ, დამნაშავემ შეავსო ისინი, მიუთითა თავისი შიფრი, აღნიშნა მათში განსაზღვრული ფულადი თანხები. მათი გაცემის შესაბამისი ოპერაციებიც არ გამოდიოდა ბეჭდვაზე და შესაბამისად, არ ექვემდებარებოდა დოკუმენტალურ რევიზიას.

2.1. "ტროას матрешка" "ტროას ცხენის" ნაირსახეობაა. ამ ხერხის თავისებურებაა ის, რომ დაზარალებული მხარის პროგრამის ფრაგმენტში შეიტანება არა

უშუალოდ უკანონო ოპერაციების შემსრულებელი ბრძანებები, არამედ ბრძანებები, რომელნიც აყალიბებენ ამ ბრძანებებს და თავისი ფუნქციის შესრულების შემდეგ, ე.ი. მაშინ, როდესაც პროგრამულ დონეზე ავტომატურად შეიქმნება "ტროას ცხენი", იგი თავად განადგურდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის პროგრამული მოდელი. ფრაგმენტები, რომელნიც ქმნიან "ტროას ცხენს", და თვითლიკვიდირდებიან პროგრამულ დონეზე თავიანთი ამოცანის შესრულებისთანავე;

2.2. "ტროას ჭია" - "ტროას ცხენის" ხერხის კიდევ ერთი ნაირსახეობაა. დანაშაულის ჩადენის მოცემული ხერხი ხასიათდება იმით, რომ დანაშაულის ჩადენის იარაღის სახით გამოყენებული პროგრამის /ალგორითმში/ მუშაობას, მისი ძირითადი ფუნქციების გვერდით, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ, შედის მოქმედების ალგორითმიც, რომელიც ახორციელებს თვითგანადგურებას, "ტროას ცხენის" პროგრამულ, ავტომატიზირებულ ასახვას. "პროგრამა-ჭია" ავტომატურად ახდენს თავის კოპირებას ერთი ან რამდენიმე კომპიუტერის მეხსიერებაში (კომპიუტერული ქსელის არსებობისას) სხვა პროგრამებისაგან დამოუკიდებლად;

2.3. "სალიამი" - დანაშაულის ჩადენის ასეთი ხერხი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბუღალტრულ ოპერაციებში კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების წყალობით, აღნიშნული ხერხით დაფუძნებული ხურდა ფულის ყალბ ანგარიშებზე გადაყვანაზე, რომელიც რჩება დამრგვალების შედეგად და რომელსაც პროფესიულ ბუღალტრულ ენაზე ეწოდება "სალიამი".

2.4. "ლოგიკური ბომბი" - ზოგჯერ ტაქტიკური მოსაზრებით, გატაცება უფრო მოსახერხებელია რომელიმე გარემოების დამთხვევისას, რომლებიც აუცილებლად უნდა დადგნენ. ამ შემთხვევაში დამნაშავე იყენებს "ლოგიკურ ბომბს", რომელიც დაფუძნებულია დაზარალებული მხარის პროგრამაში ბრძანებების აკრეფაზე, რომელნიც ამუშავდებიან განსაზღვრულ გარემოებათა დადგომისას,

განსაზღვრული დროის შემდეგ;

2.4.1. "დროის ბომბი" "ლოგიკური ბომბის" ნაირსახეობაა, რომელიც ამუშავდება დროის განსაზღვრული მომენტის მიღწევისას. მაგალითად, აშშ-ში ფართოდ გავრცელდა დანაშაულები, რომელშიც დამნაშავე იყენებს "დროის ბომბის" ხერხს ფულადი თანხების გასატაცებლად. ამ ხერხის გამოყენების მექანიზმი შემდეგნაირია: დამნაშავე, რომელიც იმყოფება "ა" ქვეყანაში, ავტომატიზირებული სისტემის ბანკთაშორისი ელექტრონული ოპერაციების მონაცემთა ბანკში, "დროის ბომბის" წინასწარი შეყვანით "ბ" ქვეყანაში იტაცებს ფულს დროის განსაზღვრულ მომენტში ხელშემწყობი გარემოებების დამთხვევისას. პროგრამა ახორციელებს და აკონტროლებს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემით მანიპულაციასა და ბუღალტრული ოპერაციების დაწყებას. დამნაშავეს რჩება მხოლოდ დროის განსაზღვრულ მომენტში იმ ფულის მოხსნა, რომელიც გადმოირიცხა წინასწარ გახსნილ ანგარიშზე. ანალოგიურად ხდება ის დანაშაულებიც, რომელიც მიმართულია კომპიუტერულ სისტემაში განსაზღვრული მონაცემებისა და ინფორმაციების განადგურებისაკენ სხვადასხვა დანაშაულებრივი მიზნით.

3. "ასინქრონული შეტევა" - დანაშაულის ჩადენის ასეთი ხერხი ძალიან რთულია და მოითხოვს ოპერატიული სისტემის კარგ ცოდნას. დამოკიდებულია კომპიუტერის მოდელსა და სპეციფიკაზე, რომელიც იყენებს ამა თუ იმ ოპერაციულ სისტემას. ოპერაციული სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები ყველა პირობების დროს უცნობი რჩება.

სწორედ ამით სარგებლობენ დამნაშავეები "ასინქრონულ შეტევათა" ორგანიზებისას. ოპერაციული სისტემის ასინქრონული ბუნების გამოყენებით დამნაშავე აიძულებს ამ უკანასკნელს რთულ პირობებში მუშაობას, რის გამოც დამუშავებული ინფორმაციის მართვა ნაწილობრივ ან მთლიანად ირღვევა. თუ "ასინქრონული შეტევის" განმარტაციელებელი დამნაშავე საკმაოდ დახელოვ-

ნებულება, მას შეუძლია გამოიყენოს მოცემული სიტუაცია ოპერაციულ სისტემაში ცვლილების შესატანად ან მიმართოს მისი ფუნქციონირება თავისი ანგარებითი მიზნების შესასრულებლად. ამასთან, ოპერაციული სისტემის გარეთ ეს ცვლილებები არ შეიმჩნევა. დანაშაულის ჩადენის ეს ხერხი დაფუძნებულია ორი ან მეტი მომხმარებლის ბრძანების შეთავსებაზე. ამ პროგრამებს "ეგმ" ახორციელებს ერთდროულად (პარალელურად) და ერთი მათგანი დამნაშავის პროგრამაა.

4. მოდელირება - კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენისათვის სულ უფრო დამახასიათებელი ხდება დამნაშავის მიერ კომპიუტერული მოდელირების ხერხის გამოყენება - მოწყობილობის ან სისტემის ქცევის მოდელირება პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. მოდელირება ხდება არა მხოლოდ იმ პროცესებისა, რომლებშიც დამნაშავეებს სურთ ჩარევა, არამედ მათ მიერ დაგეგმილი დანაშაულის ჩადენის ხერხებისაც. მაგალითად, ამ ბოლო დროს დამნაშავეთა მიერ გადასახადების თავის არიდების მიზნით ხშირად ხდება "შავი" ანუ "ორმაგი" ბუღალტერიის გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია ორი ერთდროულად მომუშავე ავტომატიზირებული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების არსებობაზე ურთიერთგადაძვეთი საკონტროლო მონაცემებით. მოცემულ შემთხვევაში ერთი მათგანი ფუნქციონირებს ლეგალურ (კანონიერ) რეჟიმში, მეორე კი - არალეგალურში (ჩრდილოვანი) ბუღალტრული ოპერაციების გასატარებლად. ზოგჯერ, ამ პროგრამებთან ერთად, არსებობს მესამეც, რომელსაც იყენებს დანაშაულებრივ დაჯგუფებაში ან გაერთიანებაში შემავალი მხოლოდ ერთი პირი, რომელიც ასრულებს დანაშაულებრივი დაჯგუფების საზოგადოებრივი საღაროს მართვის ბუღალტერიის როლს.

4.1. რევერსული მოდელი - მოდელირების ხერხის ნაირსახეობაა და მდგომარეობს შემდეგში: იქმნება კონკრეტული სისტემის მოდელი, რომელზეც დაგეგმილია თავდასხმა. მასში შეაქვთ რეალური საწყისი მონაცემები

და განისაზღვრება დაგეგმილი მოქმედებები. შემდგომ, მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, ხდება ნამდვილთან მაქსიმალურად მიახლოებული სასურველი შედეგების შერჩევა, რის შემდეგაც ხდება დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის მოდელის უკან, საწყის წერტილთან "გაგდება" და დამნაშავისათვის ნათელი ხდება თუ როგორი მანიპულაციები უნდა ჩაატაროს შესვლა-გამოსვლის მონაცემებით, რათა მიაღწიოს სასურველ ანგარებით შედეგს. "გაგდება" ხორციელდება მანამ, სანამ "ჩაგარდნის" რისკი მინიმუმამდე არ დაიყვანება. საზღვარგარეთული პრაქტიკიდან კლასიკური მაგალითია კომპიუტერული სამსახურის მესაკუთრის, პროფესიით ბუღალტრის საქმე, რომელიც იმავედროულად მსახურობდა კალიფორნიის თბომავლური კომპანიის ბუღალტრადაც, რომელიც სპეციალიზირდებოდა ხილისა და ბოსტნეულის გადაზიდვაზე. მან აღმოაჩინა პრობლემები კომპანიის რევიზიული სამსახურის მოღვაწეობაში და გადაწყვიტა ამ ფაქტის გამოყენება. თავის სამსახურებრივ კომპიუტერში მან გააკეთა მთელი კომპანიის ბუღალტრული სისტემის მოდელი. მოდელის წინ და უკან გაგდებით მან დაადგინა თუ რამდენი ყალბი ანგარიშის გახსნა და რამდენი ბუღალტრული ოპერაციის ჩატარება მოუწევდა. ამ კაცმა ორგანიზება გაუკეთა 17 ყალბ კომპანიას, რათა შეექმნა რეალური სიტუაციის ხილვადობა, უზრუნველყო თითოეული მათგანი თავისი საანგარიშსწორებო ანგარიშით და შემდგომ წამოეწყო ფინანსური ოპერაციები. ბუღალტრული ბალანსის მოდელმა უკარნახა მას, რომ რევიზიულ სამსახურში პრობლემებისას აღრიცხვის მონაცემთა 5%-იანი დამახინჯება არ გამოჩნდება. მისი მოქმედებანი ისეთი წარმატებული გამოდგა, რომ პირველ წელს მან გაიტანა 250 ათასი აშშ დოლარი კომპანიის ფინანსური მოღვაწეობის ყოველგვარი დარღვევის გარეშე. იმ დროისათვის, როდესაც ანგარიშსწორების ზრდამ კომპანიის მომსახურების უზრუნველმყოფი ბანკის ხელმძღვანელობას აღუძრა ეჭვი, დატაცების

თანხამ უკვე მილიონი დოლარი შეადგინა.

4.2. "ფრანი" - მოცემულ ხერხს დამნაშავე იყენებს ჭარბი ფულადი თანხების უკანონოდ მიღებისას და ჩარიცხვისას ანგარიშებზე ლარის (ან სხვა სავალუტო ერთეულის) ნარჩენების ავტომატური გადარიცხვის შემდეგ, ნარჩენი თანხების წინასწარი გაზრდის ხარჯზე, რაც ხერხდება სახსრების სხვა კოდიანი ანგარიშებიდან დროითი გადატანის და მათი შემდგომი დაბრუნებით საწყის ანგარიშებზე.

ფულადი თანხების დატაცების მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს. ორ ან რამდენიმე ბანკში იხსნება ანგარიშები ზოგიერთ არარსებულ თანხებზე. შემდგომ ხდება ფულის გადარიცხვა ერთი ბანკიდან მეორეში და ზოგიერთი თანხის თანდათანობით გაზრდით. მანამ, სანამ ბანკში აღმოაჩენენ, რომ გადარიცხვის დავალება არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი თანხით, მოდის შეტყობინება მოცემულ ბანკში იმის შესახებ, რომ საერთო თანხა ფარავს პირველი გადარიცხვის მოთხოვნას. ეს ციფლი მრავალჯერ მეორდება, მანამ, სანამ საჭირო ანგარიშზე არ აღმოჩნდება თანხის საკმარისი ოდენობა (ფაქტობრივად იგი მუდმივად დახტის ერთი ანგარიშიდან მეორეზე, თითქოს "ირაოს აკეთებს ჰაერში" და მუდმივად იზრდება). განსაზღვრული სიდიდის მიღწევის შემდეგ, ოპერატიულად ხდება ფულის მოხსნა დაკეტილი ანგარიშებიდან და შედეგად - მათი გადარიცხვა (ლეგალიზირება). ჩვეულებრივ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დამნაშავეები მსგავს ოპერაციებში აერთიანებენ ბანკების დიდ რაოდენობას.

4.3. "ხაფანგი სატყუარით" არის მოდელირების კიდევ ერთი ნაირსახეობა. მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავეები ქმნიან სპეციალურ პროგრამას, რომლის ჩაწერაც შემდგომ ხდება ფიზიკურ მატარებელზე და ნებისმიერი საბაბით გადაეცემა ან მიეგდება დაზარალებულ მხარეს იმის გათვალისწინებით, რომ მას რაიმე მიზეზის გამო დააინტერესებს მოცემული პროგრამა და იგი ეცდება მის გაცნობას.

პროგრამის ალგორითმი ისეა აგებული, რომ მისი მუშაობის დროს გარკვეულ მომენტში

ავტომატურად მოხდება სისტემური გატეხვის მოდელირება, რომელზეც ამოქმედდა მოცემული კომპიუტერული სისტემის პროგრამული პროდუქტი მისი ხარისხისა და მუშაობის უნარის შემოწმების მიზნით. რის შემდეგაც აღნიშნული პროგრამა იწერს იმ მონაცემსა და ინფორმაციას, რომელთაც შეუძლიათ დამნაშავეს დაინტერესება. მას შემდეგ, რაც პროგრამა შეასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს, ხდება მისი ამოღება დაზარალებული მხარისაგან სხვადასხვა ხერხების გამოყენებით;

5. კობირება (ტირაჟირება) - დანაშაულის ჩადენის ეს ხერხი გამოიხატება დამნაშავეს ქმედებებში, რომელიც მიმართულია კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა უკანონო კობირების (ტირაჟირება) და აგრეთვე მიკროსქემებისაკენ. არსებობს დამნაშავეს მიერ აღნიშნული ხერხის გამოყენების ორი ნაირსახეობა: პირველ შემთხვევაში კობირება ხორციელდება კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა კანონიერი (სანქციონირებული) დაუფლების მეშვეობით, მეორე შემთხვევაში - არასანქციონირებული დაუფლებით ზემოთ განხილული ხერხების გამოყენებით.

მონაცემებისა და ინფორმაციების კობირების ხერხის გამოყენებით დამნაშავე, ახერხებს კანონიერი ფულადი საზღაურის მიღებას გარიგებაში წინასწარ განსაზღვრული მომსახურების შესრულებისათვის, მაგ., პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში, დამნაშავეს (შემსრულებელს) და დაზარალებულ მხარეს (შემკვეთს) შორის იდება კომპიუტერულ პროგრამათა შესამუშავებელი კანონიერი ხელშეკრულება (გარიგება), რომელსაც დამნაშავე ფაქტობრივად არ შეიმუშავებს, არამედ სხვადასხვა სახის მანიპულაციებით ახდენს მის უკანონო კობირებას (მითვისებას). მხოლოდ დსთ-ს ტერიტორიაზე "Microsoft systems" ყოველწლიურად 250 მილიონი დოლარით ზარალდება უკანონო კობირების შედეგად.

6. დაცვის პროგრამული საშუალებების დაძლევა (გადალახვა) - ეს ხერხი დამხმარეა

და განკუთვნილია კომპიუტერული დანაშაულის ჩასადენად ზემოთ განხილული ხერხებით. იგი მდგომარეობს დამნაშავის ქმედებებში, რომელნიც მიმართულია კომპიუტერული ტექნიკის დაცვის საშუალებათა პროგრამების განზრახ გადასალახავად და გააჩნია რამდენიმე ნაირსახეობა;

6.1. საკვანძო დისკეტის უკანონო ასლის შექმნა კომპიუტერული ტექნიკის დაცვის საშუალებათა გადალახვის ერთ-ერთი ხერხია. ხორციელდება დამნაშავის მიერ საკვანძო დისკეტზე – ორიგინალზე განლაგებული მთელი სტრუქტურისა და ინფორმაციის გადატანით დისკეტა-ასლზე, რომელიც დაცულია პროგრამული საშუალებებით კოპირებისაგან, რის შედეგადაც ხორციელდება ასლის მიმღები საკვანძო დისკეტის, როგორც ორიგინალის დაცვის სისტემის ნაწილი. ეს ხერხი მოითხოვს დამნაშავისაგან პროფესიონალურ ცოდნას კომპიუტერული ტექნიკის სფეროში.

6.2. დაცვის სისტემის კოდის მოდიფიკაცია მდგომარეობს დაცვის სისტემის კოდის მოდულის მოდიფიკაციაში, რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. საკვანძო დისკეტის შემოწმება;
2. მაგნიტურ დისკზე ხისტი დანადგარი (ვინჩესტერი) მრიცხველის კორექტირება, რომელიც იცავს მაპროგრამებელ საშუალებას საკვანძო დისკეტიდან კოპირებისაგან;
3. დაცული ინფორმაციული რესურსის ამუშავებას. ჩვეულებრივ, მოდიფიკაცია დაიყვანება მოდულის კოდის უბრალო შემოვლამდე, რომელიც ასრულებს ზემოჩამოთვლილ ფუნქციებს. ზოგიერთ შემთხვევაში მოდული განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დაცვის სისტემის შემოწმებისათვის გვერდის ავლა. ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მოდულის მუშაობის ლოგიკის განსაზღვრაში. შემდგომ ცვლილებების შეტანა მასში, უკვე "ტექნიკის საქმეა" და დაცვის აგებულების ლოგიკის გამომცნობი დამნაშავისათვის დიდი სირთულე არ არის. ამ პროგრამების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ პროგრამულ პროგრამისტებს.

6.3. საკვანძო დისკეტისათვის მიმართულების მოდელირება - ინფორმაციის დაცვის ბევრი პროგრამული საშუალება ლოგიკურად იყენებს არა კომპიუტერთან მუშაობის პირდაპირ, როგორც საერთოდ მიღებულია, სისტემების საშუალებებს BIOS BASIC Input-Output System - ბაზობრივ სისტემებს ინფორმაციის შეტანა-გამოტანის - 13h - შეწყვეტას. სწორედ ამით სარგებლობენ დამნაშავეები, რომელნიც ახდენენ ეგმ-ს საკვანძო დისკეტსთან მიმართვის შედეგის პროგრამულ მოდელირებას შეწყვეტა 13h-ის ხელში ჩაგდებათ. დაცვის გადალახვის დრო განისაზღვრება ერთი დღიდან ერთ კვირამდე.

6.4. ინფორმაციის დაცვის პროგრამულ საშუალებათა დაყენება-მოხსნის მექანიზმის გამოყენება. დაცვის ზოგიერთი პროგრამული საშუალება მათი ვინჩესტერზე დაყენების დროს იყენებს ფაილის ფიზიკური მდებარეობის მიზმას. ამასთან ერთად, ამ საშუალებათა მუშაობის ალგორითმში ხდება იმ ფუნქციათა ჩართვა, რომელნიც უზრუნველყოფენ მათ მოხსნას ვინჩესტერიდან და იმავდროულად აღადგენენ დანადგარის მრიცხველის საწყის მდგომარეობას. ვინჩესტერიდან დაცული პროგრამის ფუნქციის მოხსნის ფუნქციის გამოყენებით, შეიძლება აკრძალული პროგრამული პროდუქტების უკანონო ტირაჟირების (ანგარებითი მიზნებისათვის) შესაძლებლობის მიღება. ამ მოქმედებათა შედეგად ვინჩესტერზე ვიღებთ საკვანძო დისკეტის საწყის დანადგარს მრიცხველით და პროგრამული პროდუქტის არალეგალურ ასლს. ამ შემთხვევაში დამნაშავეს მოეთხოვება პროგრამული საშუალებები Norton Utilities Advanced Edition კომპლექტიდან, მაგნიტურ ლენტზე ინფორმაციის ჩაწერის აპარატული მოწყობილობის - სტრიპერის და DOS-ის ფაილობრივი სისტემის (დისკის ოპერატიული სისტემის) ცოდნა.

ამ შემთხვევაში დაცვის გადალახვის დრო განისაზღვრება რამდენიმე საათით.

6.5. ეგმ-ს მესხიერებიდან დაცვის სისტემის მოხსნა. მოცემული ხერხი შემდეგში მდგომარეობს: დაცვის სისტემა განსაზღვრული დრო-

ის შემდეგ ავტომატურად ტვირთავს ეგმ-ს მეხსიერებაში დასაცავ პროგრამულ საშუალებას, გაშიფრავს მას და მართავს გადასცემს გაშიფრულ კოდს. ამ დროს კომპიუტერული სისტემის ოპერატიულ მეხსიერებაში იმყოფება სრულიად გაშიფრული პროგრამა და გაშიფრული ასლის მისაღებად საჭიროა მხოლოდ მისი შენახვა რომელიმე ფაილში. სწორედ ამით სარგებლობს დამნაშავე.

მექსე ჯგუფში მოყვანილი კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის ყველა ხერხი ინფორმაციის არასანქცირებული დაუფლების ხერხია, რაც მოითხოვს კვალიფიკაციას ერთობლიობით.

აგრეთვე აღსანიშნავია შემდეგი: კომპიუტერული დანაშაულის დროს კოპირების საშუალებათა გამოყენების მეშვეობით დამნაშავეები ახერხებენ ინფორმაციისა და მონაცემთა არასანქცირებული ასლების მიღებას, მათი შემდგომ ანგარებითი მიზნებისათვის გამოსაყენებლად, მაგ., საზღვარგარეთული პრესის მონაცემებით, გფრ-ს მოსახლეობაში ელექტრონული საკრედიტო ბარათების ზრდამ გამოიწვია ის, რომ უკვე 1990 წლისათვის დარეგისტრირდა 4601 დანაშაული, რომელიც დაკავშირებული იყო მათ გაყალბებასთან, კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით ორიგინალების უკანონო კოპირების გზით. კომპიუტერულ დანაშაულთა ჩადენის უკანასკნელ ჯგუფს შეადგენენ კომპლექსური მეთოდები, რომელნიც აერთიანებენ ზემოთ აღწერილ სხვადასხვა ხერხს. ავხსნათ ეს "ბუკინგის" მაგალითზე. ელექტრონული შედწევის კრიმინალურ ოპერაციას ეწოდება "ბუკინგი" და იგი ხორციელდება არა კომპიუტერული ქსელიდან (როგორც მას აკეთებენ ჰაკერები), სადაც

ადვილად შეიძლება აღმოაჩინონ, არამედ პირდაპირ, სერიული ტელეფონის ნომრიდან, როგორცაა, მაგალითად, "09" (მრავალხაზიანი), რომელზედაც შეიძლება ერთდროულად მუშაობდეს რამდენიმე აბონენტი. განსაზღვრულ "X" დროს 11-13 კომპიუტერი ერთდროულად ცდილობს არასანქცირირებულად შეაღწიოს დაზარალებული მხარის საბანკო სისტემაში. ერთად "შემცველი" ამდენი რაოდენობის თვით არასანქცირირებული შედწევისაგან ყველაზე დაცული დაცვის სისტემებიც კი, ვერ ახერხებენ ადეკვატურ რეაგირებას შექმნილ არასაშტატო სიტუაციაზე. ეს იწვევს იმას, რომ მხოლოდ რამდენიმე კომპიუტერი გაიდევნება დაცვის სისტემის მიერ, მაშინ, როდესაც დანარჩენები აღწევენ შიგ (ასევე ხდება ჰაკერების შემთხვევაში ინტერნეტიდან შესვლის შემთხვევაში). შემდეგ სიტუაცია ასე ვითარდება: ერთ-ერთი გარკვეული "გარღვეული" კომპიუტერი ახდენს სტატიკური ქსელის სისტემის ბლოკირებას, რომელიც აფიქსირებს შედწევის ყველა მცდელობას, რის შედეგადაც სხვა "გარღვეული" კომპიუტერების აღმოჩენა და დაფიქსირება შეუძლებელი იქნება. მათი ნაწილი შეუდგება უშუალოდ საბანკო ქსელის საჭირო სექტორის "გატეხვას", ნაწილი კი, შეასრულებს ფიქტიურ ბუღალტრულ ოპერაციებს ბანკის მუშაობის დეზორგანიზებისა და დანაშაულის დაფარვის მიზნით. ხშირია ამ დროს დამნაშავეთა მიერ ქსელში ვირუსების გავრცელებაც.

ზემოთ განხილული კომპიუტერული დანაშაულობების ჩადენის ხერხები თუმცა არ შეიძლება ჩაითვალოს მათ სრულ სიათ, მაგრამ ყველაზე გავრცელებული და ცნობილი ნაირსახეობებია.

ალექსანდრე კასმანი,
იურისტი.



ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

ბადრი (კახა) კვარაცხელია

დავით დადიანის სასამართლო-ადმინისტრაციული რეფორმები

ლევან V დადიანი (1804-1864) არხეინი და ფუქსავატი კაცი იყო. ამიტომ სამთავრო საქმეებს უმთავრესად მისი უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი, ჭკვიანი და იმ დროის კვალობაზე დიდად განათლებული მსაჯულთუხუცესი ნიკო დადიანი განაგებდა. ამ უკანასკნელმა სცადა სამეგრელოს სამთავროში ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმების გატარება და ამ მიზნით 1818 წელს „დასტურლამად“ წოდებული გეგმა წარუდგინა თავის ხელმწიფეს სამთავრო მართვა-გამგეობისა და სამართლწარმოების გარდაქმნისა¹, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა.

1834 წელს ნიკო დადიანის გარდაცვალების შემდეგ ლევან V-მ თავისი პირმშო ძე, ტახტის მემკვიდრე დავით დადიანი დანიშნა მოურავთა ზედა მოურავად და სამთავროს მართვა-გამგეობა მას გადააბარა. დავით დადიანი მისთვის ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ მამის, ლევან V-ის არხეინობამ და წინდაუხედაობამ მას დაბრკოლებები შეუქმნა. „საქმობა აღარ არის“, მამულს მამაჩვენი ბზესავით არიგებს, თავის ადგილზე არასოდეს არ არის. „შემოსავალი დატაცებულია, სამართალი დაღუმებული, წესი და წყობილება აღრეულია, ვაჭრობა დაცემუ-

ლი, მე ვეღარ შეძლევ ვარ მუნ რისამი წარმართებისა, ამიტომ უნდა დაუტოვო ყოველი“, – წერდა დავით დადიანი 1838 წელს თავის ძმას².

ლევან V-ის წინდაუხედაობის გამო, სამეგრელო კინალამ შინაომებში გაეხვია. კაცია ჩიჩუამ, ლევან V-ის წინააღმდეგ, რომელმაც ჩიჩუების სათავადო სახლს სამთავროს სახლთუხუცესის სახელო ჩამოართვა, 3000 კაცი დარაზმა³ და რომ არა თბილისის რუსულ ადმინისტრაციის ჩარევა, სამეგრელო შეიძლებოდა შინაომების ცეცხლში გახვეულიყო.

ყოველივე ამის გამო დავით დადიანმა მიატოვა „მოურავთა ზედა მოურავის“ სახელო და თბილისში წამოვიდა.

ოდიშელმა ფეოდალებმა ლევან V-ეს მოსთხოვეს სამთავროს მართვის მთლიანად გადაცემა ტახტის მემკვიდრისათვის. ლევან V-დათანხმდა და კავკასიის რუს ხელისუფალს, მთავარმართებელს თხოვა სამეგრელოს სამთავროს მთელი მართვა-გამგეობის ტახტის მემკვიდრისათვის გადაცემაზე თანხმობა. 1840 წლის დამდეგს იმპერატორმა

² ი. მუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ.9.

³ ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალური პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 308.

¹ ნ. დადიანი, „დასტურლამა“, თბ., 1897.

ამაზე თანხმობა განაცხადა და ლევან V-მ მთელი ძალაუფლება თავის ძეს – დავით დადიანს გადასცა.

დავით დადიანმა მთელი ძალაუფლების თავის ხელში აღებისთანავე დაიწყო ადმინისტრაციული და სამართლებრივი რეფორმების გატარება.

ფეოდალთა თვითნებობის მოთოკვისა და მთავრის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მან სამეგრელოს სამთავრო რვა მაზრად დაყო (ზუგდიდის, ჯვარის, ზუბის, სუჯუნის, საჭიალოს, მარტვილის, ლაილამის და მურის მაზრებად). მაზრას სათავეში ედგა მდივანბეგი, რომელიც აღჭურვილი იყო როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციულ-ადმინისტრაციული ხელისუფლებით.

მაზრის მდივანბეგს და მის თანაშემწეს მთავარი ნიშნავდა და ათავისუფლებდა, რამაც გამოიწვია მემკვიდრეობითობა, რომელიც სამეგრელოს ძველ ადმინისტრაციულ სისტემას ახასიათებდა (მოურავის სახელო ძირითადად მემკვიდრეობით იყო ქცეული).

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით, დავით დადიანის მიერ სამაზრო მდივანბეგის თანამდებობის შემოღებით, თითქოს მოურავის სახელო გაუქმებულიყო⁴. ჩვენს ხელთ არსებული მასალები ადასტურებენ სისწორეს მარი ბროსეს ცნობისა, რომლის მიხედვით „თითოეული მაზრა რამდენიმე სამოურაოდ იყოფოდა“.⁵

1841 წლის 26 იანვარს დავით დადიანმა გამოსცა „დარიგება მეორე კლასის მდივანბეგთადმი შესახსენებლად მმართველობისა მათ მიერ მაზრათა“. ამ 30 მუხლიანი დოკუმენტის უფრო დაწვრილებით გაცნობა მეტნაკლებად ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის დავით დადიანის რეფორმაზე.

დავით დადიანმა მაზრის მდივანბეგებს დააკ-

ისრა' მაზრის ყოველგვარი საქმეების განმეგებლობა.

„დაიცევით საკუთრება თითოეულისა და აღლაგმეთ ლაღნი თვითმშენებლობითისა მოქმედებისა შინა მათსა, რამეთუ ყოველნი დარწმუნებულნი უშიშროებისათვის სჯულიერად განკარგავდა თავისისა საკუთნელისა და დარწმუნებული, რომელ ნაყოფნი შრომისა მისისანი არა მიიღებინ ძლიერსა მიერ განაღვიძებს თავსა თვისსა, რათა შეიქმნას სასარგებლო სახლეულობისა და თვით მამულისაცა“.⁶

ამრიგად, დავით დადიანი ავალედა მაზრის მდივანბეგს, რომ გარდა სამეგრელოში არსებული „სჯულდებულებისა“ (აქ კი ისევ, როგორც მთელს საქართველოში, ვახტანგ მეფის კანონები მოქმედებდა), საჭიროების შემთხვევაში ჩვეულებითი სამართალიც გამოეყენებინათ სასამართლო პრაქტიკაში. ამასთან, ამ „დარიგების“ მე-17 მუხლი მაზრის მდივანბეგებს ავალდებულებდა ყველა მომხივანისათვის პასუხის დაუყოვნებლივ მიცემას.

სამაზრო მდივანბეგებს უფლება ჰქონდა გაერჩიათ და განჩინება შეედგინათ „იმ საქმეთა ზედა, რომელი იქნებიან საღირაღნი არა უმეტესს ასორმოცდაათი მანეთისა“,⁷ ამასთან, განაჩენი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო აღესრულებინათ, თუ ორივე მხარე იქნებოდა კმაყოფილი. მაზრის მდივანბეგს ევალებოდა საქმე უმაღლესი სასამართლოსათვის გადაეცა „განსახილველად და დასაბოლოვებლად“.⁸ მაზრის მდივანბეგებს პოლიციური ფუნქციაც დაეკისრათ და ამ მიზნით მათ მიერვე ამორჩეული ოთხი იასაულის ყოლის უფლება მიეცათ. ამასთან, დავით დადიანმა ბოქაულის ინსტიტუტი გააუქმა და მის ნაცვლად იასაულის ინსტიტუტი დააწესა. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ „ბოქაულები და მთავრის მაგიერი კაცები იყვნენ მავნე-

⁴ მ. დუმბაძე, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში, „მომომხილველი“, 1949, №1, გვ.30.

⁵ Brosset, M. Vayayl, M. Zapporti p. 59.

⁶ „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. VIII, თბ., 1985, გვ.759.

⁷ იქვე, გვ. 759; VII. 324.

⁸ იქვე, გვ. 560.

ბელნი მცხოვრებთა ესრეთ, რომელ ჩაუდგებოდნენ რა მცხოვრებთა არ ზოგავდნენ უკანასკნელსა (სარჩო-საბადებელსა) მიღებითა“.⁹

მაზრის მდივანბეგებს ჰქონდათ მეორე კლასის მდივანბეგის ჩინი, და ატარებდნენ ფორმის სახით შეკერილ სამხრეებიან ჩოხას. მათ ყავდათ თანამშემწეები, რომლებიც მათი მოადგილის მოვალეობასაც ასრულებდნენ.

სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს, რომელშიც რაფიელ ერისთავის ცნობით, სამი მდივანბეგი,¹⁰ ჩვენი მონაცემებით კი, არანაკლებ ხუთი მდივანბეგი მაინც იყო, სამეგრელოში ლევან V დადიანის (1811-1840) ზეობის დასაწყისიდან ჩანს, რომ თუ ადრე მუდმივი ადგილსამყოფელი არ ჰქონდა (რუსი მოხელეს კროკის ცნობით, უმაღლესი სასამართლოს წევრები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და საჩივრებს ადგილზე იხილავდნენ),¹¹ დავით დადიანის დროიდან სასამართლო სამთავროს სატახტოში, ზუგდიდში და მთავრის საზაფხულო სადგომში – გორდში დაფუძნდა. „სასამართლოს აქედეს ნიადაგი თანამეინახეობა სასახლეთა ჩემთა ზუგდიდს და გორდს, ესე იგი მუნ, სადაც მექნეს მყოფობა“,- წერდა დავით დადიანი 1847 წელს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ (მსაჯულთუხუცესად) ახალ დანიშნულ როსტომ ჩიქოვანისადმი განკარგულებაში.¹²

ამ განკარგულებით დავით დადიანმა დააწესა უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოების გამართული კანცელარიული სისტემა. „სასამართლოსა ვალად ედების, რათა ექმნებოდეს დაცულ წესიერად ყოველნი შემოსულნი მას შინა ქალაქნი და გასრულის ქალაქების შავები და იყვნენ ყველანი ერთმანეთზედ მიკერებულნი წესისამებრ“... - ნათქვამია ამ განკარგულების მერვე მუხლში.

⁹ იქვე, გვ. 758.
¹⁰ რ. ერისთავი, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 116.
¹¹ Крок. О состоянии Мингрелии, стр 1-13 (მ. დუმბაძის ნაშრომზე დაყრდნობით).
¹² „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. VIII, გვ. 770.

დავით დადიანი ცდილობდა სამთავრო კარის მაღალადგილოვანი თუ უფრო დაბალი თანამდებობის მოხელეებისათვის ფუნქციებისა და უფლებების განსაზღვრას.

1851 წელს, მაგალითად, თავისი ძმის კონსტანტინე დადიანის ბოქაულთუხუცესად დანიშვნასთან დაკავშირებით გამოსცა ბრძანება, რომელსაც ეწოდება „დაწესება ბოქაულთუხუცესისათვის“. ეს დოკუმენტი ხუთი თავისა და 17 მუხლისაგან შედგება. მასში განსაზღვრულია ბოქაულთუხუცესის თანამდებობრივი ხარისხი („ხარისხითა თავისთა ეთანასწორების სახლთუხუცესსა და მსაჯულთუხუცესსა“). დადგენილია, თუ რომელ თანამდებობის პირებთან აწარმოებდა თანასწორ მიწერ-მოწერას (ასეთებად დასახელებულია უზენაესი სასამართლოს მდივანბეგები და შინაყმათუხუცესი), ვისთვისაც შეეძლო ბრძანებები გაეცა თავისი ფუნქციის ფარგლებში (ასეთებად ეს „დაწესება“ ასახელებს მაზრის მდივანბეგს, „ქალაქთუხუცესსა და გამხგეთ ქალაქისათა და სხვათა“).¹³ ეს უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ ბოქაულთუხუცესთან შესულიყვნენ „მოხსენებით“.

„დაწესება“-ში დაწვრილებითაა განსაზღვრული ბოქაულთუხუცესის მოვალეობანი და ცალკეულ შემთხვევებში მისი მოქმედების რეჟიმი და კომპეტენციის ფარგლები. ბოქაულთუხუცესი ვალდებული ხდებოდა მთავრისათვის ყოველთვიურად წარედგინა მუშაობის ანგარიში.

ბოქაულთუხუცესის სარგოდ განსაზღვრული იყო სამთავრო შემოსავლის ოცისთავი სამი გადასახადისაგან (საბრძოლოდან, ჯარიმიდან და ნაქურდალიდან) და ეს სარგო მას მდივანბეგისაგან უნდა მიეღო.

და ბოლოს, ამ „დაწესება“-ში განსაზღვრულია ბოქაულთუხუცესის პასუხისმგებლობა მის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის შედეგად გარკვეული ზარალის არსებობის შემთხვევაში. „ზიანი,

¹³ იქვე, გვ. 783.

რომელიც მოხდა მისი დაუდევნელობისაგან, იგი თანამდებ არს იზღვიოსო“, – ნათქვამია ამ „დაწესების“ ბოლო, მე-17 მუხლში.

დავით დადიანმა გამოსცა არა ერთი განკარგულება თუ ბრძანება, რომელთაც კორექტივები შეჰქონდათ, როგორც სამეგრელოში გამოყენებულ კანონებში (ვახტანგ მეფის კანონებში), ასევე ჩვეულებით სამართალშიც.

1841 წელს დავით დადიანმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც ღვთისმსახურნი გაანთავისუფლა ყმობისაგან მათ შვილებთან ერთად, რომლებიც ამ წლის შემდეგ დაიბადებოდნენ. ღვთისმოსიში მთავრის არგუმენტი, ამ განკარგულების აუცილებლობის სასარგებლოდ ურყევია: „სამღვდელონი, ვითარცა სამსახურნი საკურთხეველისანი, იყვნენ ჩემს სამფლობელოსა შინა თავისუფალნი მონებისაგან მებატონეთასა“.¹⁴

1847 წელსავე დავით დადიანმა აკრძალა თავის მოხელეთა მიერ პირადად მისი ბრძანების გარეშე მებატონეთა კუთვნილი ყმის და მამულის დაკავება,¹⁵ რითაც აღკვეთა სამთავროში უკმაყოფილო ფეოდალებისაგან მოსალოდნელი გართულებები.

1849 წელს დავით დადიანმა აკრძალა უკანონოდშობილთა საეკლესიო ყმად ქცევის წესი, როგორც ჩვეულებით სამართლისმიერ მიღებული კანონი.

„ადრევე იყო ჩვეულება და დიდხნეობისაგან კურთხეულ კანონად მიღებული, რომ

ბუმები, ვითარის წოდებისად უნდა ყოფილიყო და რამდენიც, საეკლესიოდ მიჩნეებული იყო“. ეს ჩვეულება, დავით დადიანის განმარტებით, ბევრი ურიგობა-უწესობის წყარო იყო. ამიტომ მან გასცა განკარგულება, რომლის პირველ მუხლში ნათქვამია:

„ამიერიდან უკანონოდ შობილნი... გამოირიცხვიან სამღვდელოთ მონებისაგან, არამედ ბუში, ვითარისა წოდებისაგანც იმყოფებოდეს, დაუშთებოდეს დედასა მკუთვნელობასა ქვეშე მებატონისა მის, რომელსაც ეკუთვნის დედა ბუშისა მის“.¹⁶

დავით დადიანმა აკრძალა მთავრის გადაწყვეტილების გარეშე „სხეულებრივი დასჯა... უცდახუთი როზგის დაკვრის ზევით“, დააწესა დამნაშავეთაგან ამოღებული ნაქურდალის პატრონისათვის დაბრუნება და სხვა.

დავით დადიანის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული, სასამართლო რეფორმები და სამეგრელოში მოქმედ კანონებში და ჩვეულებით სამართალში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები, წინადადებული ნაბიჯი იყო ოდიშის სამთავროს, როგორც უკანასკნელი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს, მართვა-გამგეობისა და სამართალწარმოების საქმეში. პროფ. ვ. დუმბაძის სავსებით მართებული შენიშვნით, დავით დადიანის რეფორმები ქართული სახელმწიფო მშენებლობის ახალი საფეხურია.

ბაღრი (კახა) კვარაცხელია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა
და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი.



¹⁴ იქვე, გვ. 782.
¹⁵ იქვე, გვ. 7.
¹⁶ იქვე, გვ. 779.

ნიკო ჯავახიშვილი

1919 წლის ფულადი რეფორმა საქართველოში

დამფუძნებელი კრების არჩევა (1919 წლის თებერვალი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

1919 წლის 21 მარტს გამართულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის ახალი კაბინეტის შემადგენლობა გამოაცხადეს. მთავრობის თავმჯდომარედ დარჩა ნოე ჟორდანიას, ხოლო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად კონსტანტინე კანდელაკი (1883-1959) დაინიშნა.

ცნობილი ფინანსისტის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის, კ. კანდელაკის ზემოხსენებულ პოსტზე დაინიშნამ დადებითი როლი შეასრულა საქართველოს თვითმყოფადი ფინანსური სისტემის შექმნისკენ სწრაფვის დაჩქარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჯერ კიდევ 1918 წლის მაისის მიწურულიდან დაიწყო ეროვნული ვალუტის შექმნისათვის მზადება (იმხანად კ. კანდელაკი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა).

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი გარანტი უნდა გამხდარიყო. იმდროინდელ ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ

ვინ რა წვლილი შეიტანა ხსენებული მამულიშვილური ფონდის გაძლიერებაში, პარალელურად კი ქველმოქმედებისაკენ მოწოდებებიც ქვეყნდებოდა.¹

აღსანიშნავია, რომ ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად კონკურსი ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში გამოცხადდა.² ამ საქმეს კურირებდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზები. სწორედ ისინი დაედო საფუძვლად 1919 წლის ივლისში გამოშვებული ქართული ბონების გარეგნულ სახეს.

დამფუძნებელი კრების არჩევამდე არსებული საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში რეგულარულად იმართებოდა სხდომები ფინანსთა მინისტრ გიორგი ჟურულის (ეროვნულ-დემოკრატი), მისი მოადგილის კ. კანდელაკისა და სხვა კომპეტენტურ პირთა მონაწილეობით, სადაც ეროვნულ ვალუტაზე გადასვლასთან დაკავშირებით მძაფრი დისკუსია მიმდინარეობდა. ეკონომისტთა ნაწილი გადაჭრით მოითხოვდა ამიერკავკასიის კომისარიატის

¹ ნიკო ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასომცოდნეობა), 1996, გვ.42.

² გაზეთი „ერთობა“, 1918 წლის 11 ივლისი.

ბონის ემისიის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ქართული ფულის, თუნდაც ბონის სახით, შემოღებას. მათი შეხედულებით, სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით გამოშვებული ბონის (გამოდიოდა 1918 წლის 29 იანვარის შემდეგ) გამოსყიდვის საქმეში ვერავითარ გარანტიას ვერ იძლეოდნენ და ამ პრობლემის მოგვარების მთელი სიმძიმე საქართველოს დააწვებოდა. ქართული ფულის შემოღების მომხრენი განსაკუთრებით გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა საკუთარი ფულის ნიშანი გამოუშვა.

იმისათვის, რომ ქართული ფულის ერთეულს მტკიცე საფუძველი ჰქონოდა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა, რომ ამ მიზნით, კრედიტი ვეროპის ქვეყნებში უნდა აეღოთ.

ვინაიდან ვეროპაში კრედიტის აღების საკითხი გაჭიანურდა, საქართველოს მესვეურნი იძულებულნი გახდნენ, რომ ეროვნული ფულადი სისტემის შექმნაზე თავისივე ძალებით ეზრუნათ.

იმ დროისათვის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არა მხოლოდ საქართველოს მმართველ წრეებში, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ფენაშიც კი აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობდა. ერთნი კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ საკუთარ ფულად ერთეულზე სასწრაფოდ გადასულიყვნენ, მეორენი, თუმცა არ გამოირიცხავდნენ საკუთარი ფინანსური სისტემის აუცილებლობას ქვეყნისათვის, მიიჩნევდნენ, რომ ეს მომავლის საქმე იყო, ხოლო პრიორიტეტს მოსახლეობაში არსებული ფულის მასის ამოძრავებას, საგადასახადო სისტემის სრულყოფას, ნაციონალიზებული მიწების ხელსაყრელ ფასებში რეალიზაციასა და სხვა ფინანსურ-ეკონომიკურ მანიპულაციებს ანიჭებდნენ. მესამეთა აზრით კი, საუკეთესო გამოსავალი ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების ემისიის გაგრძელება იყო. ამ უკანასკნელთა ვარაუდით, ამიერკავკასიის უნი-

ფიცირებული ფინანსური სისტემის შენარჩუნება ხელს შეუწყობდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღმავლობას, მის ზეგავლენას მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანზე.³

საქართველოს ბონის გამოშვების საკითხი 1919 წლის 8 ივლისს გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე ოფიციალურად დასვა დავით ონიაშვილმა (სოციალ-დემოკრატი).

აღსანიშნავია, რომ 1919 წლის ივლისისათვის, საქართველოს ბონის გამოსაშვებად ნიადაგი უფრო მომზადებული იყო, ვიდრე მანამდე. იმ დროისათვის ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო, მიმდინარეობდა ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და საზოგადოებრიობის თვალსაჩინო ნაწილი, თვით არსებული ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილიც კი, სავსებით ეთანხმებოდა იმ მოსაზრებას, რომ უკვე დრო იყო, რათა საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას სომხეთსა და აზერბაიჯანზე სამუდამოდ წერტილი დასმოდა.

დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურებს სათანადოდ ჰქონდათ გააზრებული იმდროინდელი ვითარების მთელი სირთულე. მათ ესმოდათ, რომ ოქრო-ზოდურ და ოქრო-დევიზურ უზრუნველყოფას მოკლებულ ქაღალდის ფულის კურსს ამაგრებს ქვეყანაში წარმოებული მაღალხარისხოვანი პროდუქცია, სახელმწიფო წყობილების სიმტკიცე, საზოგადოების ნდობა, ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნება და დისციპლინა ამ ფულის ნიშნის ავტორიტეტის დასაცავად, ხოლო ამას მოკლებული ფული – ქაღალდის უსარგებლო ნაგლეჯია. ვინაიდან წარმოება შეფერხებებით მუშაობდა და შესაბამისად, პროდუქციაც ნაკლებად იქმნებოდა,

³ ნ. ჯავახიშვილის დასახ. ნაშრ. გვ.48.

გადაწყდა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას მის ხელთ არსებული სხვა საშუალებებისათვის უნდა მიემართა საქართველოს ბონების ავტორიტეტის ჯერ შესაქმნელად, ხოლო შემდეგ შესანარჩუნებლად. როგორც იმდროინდელი ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი წერს: „ყოველი ზომა უნდა ყოფილიყო მიღებული, რათა საზოგადოება ახალი ფულის ნიშანს თავიდანვე სრულის ნდობით შეხვედროდა, თორემ ერთხელ სახელგატეხილი, იგი ვეღარ გამობრუნდებოდა.... ასეთ პირობებში „ქართული ბონის“ გამოშვება ძალიან დელიკატური საკითხი იყო და დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა“.⁴

ნაშრომში „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“ კ. კანდელაკი ღრმა მადლიერების გრძნობით ივონებს რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის კანტორის გამგეს – ელუარდ ბერგეს, რომელსაც ფინანსურ საკითხებში თავისი ფართო განსწავლულობის გამოცდილებისა და ფინანსურ წრეებში მოპოვებული ავტორიტეტის წყალობით, საქართველოს მთავრობისათვის დიდი დახმარება გაუწევია და ქართული ბონის გამოშვებისათვის საფუძვლის მომზადების საქმეში ერთ-ერთი წამყვანი როლი შეუსრულებია.⁵

ქართული ბონის გამოცემის წინა ხანებში, პროვოკატორთა მიერ მოსახლეობაში ათასგვარი დეზინფორმაცია ვრცელდებოდა, რაც ფულად რეფორმასთან დაკავშირებით მასობრივ პანიკას იწვევდა. შემნახველ სალონებში მიბარებული თანხის გამოტანას, დაშინებული მოსახლეობა ყველანაირი საშუალებებით ცდილობდა. ის, ვინც ანაბარს გაანაღდებდა, ამ რთული ოპერაციის საკომპენსაციოდ გამოტანილი თანხის მნიშვნელოვან ნაწილს ღებულობდა. აქტიურად მუშაობდა ე.წ. შავი ბირჟა.

მას შემდეგ, რაც ფინანსურმა აჟიოტაჟმა

თავის პიკს მიაღწია, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საბანკო დაწესებულებებმა ჯერ მინიმუმადე დაიყვანეს, ხოლო შემდეგ მთლიანად შეწყვიტეს ნაღდი ფულის ნიშნების გაცემა. მანამდე კი განხორციელდა საიდუმლო ღონისძიებანი სახელმწიფო ბანკის (მის მოვალეობას იმხანად რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის კანტორა ასრულებდა) სალონებში მეფისდროინდელი, დროებითი მთავრობის და ამიერკავკასიის კომისარიატის ფულის ნიშნების დიდი რეზერვის შესაქმნელად.

1919 წლის 10 ივლისს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთში „ერთობა“ გამოქვეყნდა სტატია „საქართველოს ბონები“. მასში დეტალურად იყო დახასიათებული ის კრიტიკული სიტუაცია, რამაც საქართველოს ბონის გამოშვების დაჩქარება განაპირობა. წერილში სოციალ-დემოკრატები თითქოს თავს იმართლებდნენ საკუთარ ფულად სისტემაზე გადასვლის გამო.⁶

1919 წლის 11 ივლისს, დამფუძნებელი კრების 35-ე სხდომამ მიიღო დეკრეტი №101 „საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა“. მასში ნათქვამი იყო:

„1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასის მილიონ მანეთისა;

2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებული იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოყიდულ უნდა იქნეს;

3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელის ქონებით;

4. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად;

⁶ გაზეთი „ერთობა“, 1919 წლის 10 ივლისი.

⁴ კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, პარიზი, 1960, გვ.69.

⁵ იქვე, გვ.69.

5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოცემა ერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთას მანეთის კუპონებისა;

6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს თბილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად;

7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი, ან ერთ-ერთი ხელმონაწერი ან ნომერი, უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება;

8. ყალბი ბონის დამზადების ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით;

9. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ“.⁷

აღსანიშნავია საქართველოს ხელისუფლების გონივრული მოქმედება ქართული ბონის შემოღების მომენტში. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, მეანაბრეებს ნება დაერთოთ, რომ შეუზღუდავად გაეტანათ სალაროებიდან თავიანთი კუთვნილი თანხა მათთვის სასურველი ვალუტით, იქნებოდა ეს რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები“, ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები თუ საქართველოს ბონები.

მართალია, ფულადი რეფორმის პირველ დღეებში, სახელმწიფო ბანკის სალაროებიდან გატანილ იქნა რუსეთის „სახელმ-

წიფო საკრედიტო ბილეთებისა“ და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების სპეციალურად შექმნილი რეზერვის დიდი ნაწილი, მაგრამ ათიოდე დღის შემდეგ კლიენტურისათვის უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ თავის თანხას რომელი ტიპის ფულის ნიშნებით მიიღებდა.

კ. კანდელაკის ცნობით, „ხმა გავარდა, საქართველოს ახალი ფულის და წინათ არსებულ რუსის და ამიერკავკასიის ფულის ნიშნებს შორის არაფერი განსხვავება ყოფილაო! და ეს ხმა საკმარისი იყო, რათა საზოგადოებაში არსებული შიში გამქრალიყო და საქართველოს ბონს საზოგადოება ნდობით მოჰყრობოდა“.⁸

მართალია, საქართველოს ბონების გამოცემის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების ემისია შეწყდა, მაგრამ ამ ბონების საერთო ჯამიდან საქართველოს წილად მოჭრილი 540 მილიონი მანეთი მთავრობას მიმოქცევიდან ერთბაშად მინც არ ამოუღია. ეს ღონისძიება თანდათანობით ხორციელდებოდა. კერძოდ, საბანკო ქსელში შესული ამიერკავკასიის ბონები უკან აღარ გამოდიოდა.⁹

ამრიგად, 1919 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით განხორციელდა ფულადი რეფორმა. ამ დიდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმეში სათანადო წვლილი იმდროინდელმა ქართველმა იურისტებმაც შეიტანეს.

ნ. ი. ხაჩიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

⁷ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბილისი, 1990.

⁸ კ. კანდელაკის დასახ. ნაშრომი, გვ.70.

⁹ ნ. ჯავახიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ.52.

საერთაშორისო საქართალი, ურთიერთობები

ალექსანდრე მიქაბერიძე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა რამდენიმე ორგანიზაცია, რომლის მიზანი ევროპული გაერთიანების შექმნა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება იყო. ბრიტანეთში შექმნილ გაერთიანებული ევროპის მოძრაობას ("United Europe Movement") სათავეში უინსტონ ჩერჩილი ედგა; ამის პარალელურად დაარსდა ვან ზეელანდის „ეკონომიკური ლიგა ევროპული თანამშრომლობისათვის“, ("Economic League for European Cooperation"), რომელმაც ცნობილი ეკონომისტები, მრეწველები და სავაჭრო კავშირების ლიდერები გააერთიანა. 1948 წელს აღნიშნულმა ორგანიზაციებმა და სხვა ისეთმა გაერთიანებებმა, როგორებიც იყვნენ გაერთიანებული ევროპის ფრანგული საბჭო (French Council for United Europe), ფედერალისტების ევროპული კავშირი ("the European Union of Federalists"), სოციალისტური მოძრაობა ევროპის გაერთიანებული შტატებისათვის ("Socialistic movement or the United States of Europe") და სხვებმა შექმნეს ევროპული ერთიანობისათვის მოძრაობის საერთაშორისო კომიტეტი ("International Committee of Movements for European Unity")

ადამიანთა უფლებათა დებულებების სასამართლოს მიერ განმარტებისა და იმპლემენტაციის იდეა ევროპის კონგრესზე (ე.წ.

"the Hague Congress") წარმოიშვა, რომელიც სწორედ ზემოთ აღნიშნული ევროპული ერთიანობისთვის მოძრაობის საერთაშორისო კომიტეტის ("International Committee of Movements for European Unity") მიერ ქ. ჰააგაში 1948 წლის 8-10 მაისს იყო მოწვეული¹.

დასკვნით სესიაზე კონგრესმა მიიღო ე.წ. „ევროპელებისადმი მიმართვა“ ("Message to Europeans"), რომელშიც აცხადებდა, რომ:

“2. . . გვსურს ადამიანის უფლებათა ქარტია ("Charter of Human Rights"), რომელიც უზრუნველყოფს ფიქრის თავისუფლების, შეკრებისა და გამოხატვის და პოლიტიკური ოპოზიციის შექმნის უფლებების გარანტიებს;

3. . . გვსურს სასამართლო ("Court of Justice"), რომელსაც გააჩნდება ადეკვატური სანქციები აღნიშნული ქარტიის იმპლემენტაციისათვის.“²

ადამიანის უფლებების ქარტიის და სასამართლოს შექმნის იდეა განიხილა ევროპულმა მოძრაობამ ("the European Movement"), რომელმაც 1949 წლის 12 ივლისს მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტის პროექტი.

¹ Ralph Baddard, Human Rights and Europe (Cambridge University press 1995).

² Protocol №11 to the European Convention on Human Rights and Explanatory Report, Council Europe press, Strasbourg, 1994, H94 5E.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპული კომისიის შექმნას, რომელთაგან უკანასკნელი საწყის ეტაპზე განიხილავდა შემოსულ საქმეებს. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებდა კომისიის უფლებას გამოძიების გარეშე უარი ეთქვა იმ განცხადებებისათვის, რომლებმაც არ ამოწურეს შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის შექმნის საკითხს არ გამოუწვევია აზრთა ისეთი დაპირისპირება, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დაარსების იდეას. შეიქმნა სასამართლოს შექმნის წინააღმდეგი მძლავრი ოპოზიცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ სასამართლო ვერ უპასუხებდა ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა რეალურ მოთხოვნებს. კონვენციის 46-ე და 48-ე მუხლები (მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე) კომპრომისი იყო ოპოზიციასა და სასამართლოს შექმნის მომხრეებს შორის.

მიუხედავად ასეთი დაპირისპირებისა, 1953 წლის 3 სექტემბერს ამოქმედდა ადამიანის ევროპული კონვენციის სამნაწილიანი საზედამხედველო სისტემა:

– ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია (“European Commission of Human Rights”), რომელიც განიხილავდა განცხადებების მიღების საკითხს, ადგენდა საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს, ხელს უწყობდა საქმის მეგობრულ მოგვარებას და, საჭიროებისას, აფასებდა, ნამდვილად მოიცავდა თუ არა განცხადება კონვენციის დებულებების დარღვევებს;

– ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (“European Court of Human Rights”), რომელიც იხილავდა და იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებებს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ან მოდავე მხარის მიერ მისთვის გადაცემულ საქმეებზე (ამასთან, კონვენციით არ იყო გათვალ-

ისწინებული ცალკეულ პირთა, პირთა ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სასამართლოსათვის უშუალოდ მიმართვის უფლება);

– ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (“Committee of Ministers”), რომელიც ახორციელებდა კონტროლს საზედამხედველო მექანიზმზე და იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას იმ საქმეებზე, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გადაეცა განსახილველად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის ევროპული სასამართლოს ერთ ორგანოში გაერთიანების იდეა პირველად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პროცედურების სრულყოფის ექსპერტთა კომიტეტის მიერ იყო გამოთქმული (“Committee of Experts for the Improvement of the Procedure under the Convention on Human Rights” (DH-PR)) 1982 წლის ივლისში და მას შემდეგ ეს იდეა მუდამ ფიგურირებდა კონვენციის საზედამხედველო მექანიზმის შესაძლო რეფორმების რიცხვში.

მაგრამ ერთიანი ევროპული სასამართლოს შექმნის იდეამ არ მიიქცია ჯეროვანი ყურადღება 1985 წლის მარტში ქ. ვენაში ჩატარებულ ადამიანის უფლებათა კონფერენციამდე, რომელზედაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და კომისიის გაერთიანების იდეა პირველად წამოიჭრა პოლიტიკურ საკითხთა შორის. აღნიშნული საკითხი წამოჭრილი იყო შვეიცარიის დელეგაციის მიერ კონფერენციაზე წარდგენილ მოხსენებაში. კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მიიღეს №1 რეზოლუცია, რომლის შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საზედამხედველო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფს უნდა გაეთვალისწინებინა შვეიცარიის დელეგაცი-

ის მიერ ერთიანი სასამართლოს შექმნის შესახებ იდეა.

ანალოგიურმა აზრმა გაიჟღერა 1985 წლის ნოემბერში ქ. სველიაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საკითხებზე ჩატარებულ საერთაშორისო კოლოკვიუმზე და 1986 წლის მარტში ნევშატელის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ორდღიან სემინარში.

1985-1987 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პროცედურების სრულყოფის ექსპერტთა კომიტეტმა ("Committee of Experts for the Improvement of the Procedure under the European Convention on Human Rights" (DH-PR)) შეისწავლა აღნიშნული საკითხი და ადამიანის უფლებათა მუდმივი კომიტეტისათვის ("Steering Committee for Human Rights" (CDDH)) სპეციალური მოხსენება მოამზადა.

1990 წლის ოქტომბერში ნიდერლანდებისა და შვედეთის წარმომადგენლები გამოვიდნენ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს რეფორმირების ახალი ინიციატივით, რომელიც, ერთი შეხედვით, მართივი და ყველასათვის მისაღები იყო. ინიციატივის ცენტრალური იდეა მდგომარეობდა შემდეგში – კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად კომისიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს სავალდებულო იურიდიული ძალა უნდა მისცემოდათ. ეს, თავის მხრივ, გულისხმობდა ორსაფეხურიან სასამართლო სისტემის შექმნას, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციას იტვირთავდა. სახელმწიფოებს უფლება ექნებოდათ გაესაჩივრებინათ კომისიის მიერ გამოტანილი განჩინებები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პროცედურების სრულყოფის ექსპერტთა კომიტეტმა (DR-PR) საფუძვლიანად შეისწავლა აღნიშნული წინადადება და 1992 წლის მარტში მოამზადა სპეციალური მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოოდ ინიციატივამ წარუმატებლობა განიცადა, რადგან მრავალ საკითხთან დაკავშირებით კონსენსუსს ვერ მიაღწიეს.

1989 წლის იანვარში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განეხილა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პროცედურების სრულყოფის ექსპერტთა კომიტეტის მოხსენება ერთიანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნის იდეის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

1991 წლის ნოემბერში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავის 89-ე სესიაზე გამოთქვა სურვილი დაჩქარებულიყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საზედამხედველო სისტემის სრულყოფის პროცესი. 1992 წლის ნოემბერში ჩატარდა მინისტრთა კომიტეტის 91-ე სესია, სადაც მინისტრებმა აღნიშნეს, რომ საზედამხედველო მექანიზმის რეფორმის ტექნიკური საკითხები უკვე გადაწყვეტილია და განიხილებოდა რეფორმასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადება, მათ შორის ერთიანი სასამართლოს ან ორსაფეხურიანი სასამართლო სისტემის შექმნის თაობაზე. მინისტრთა კომიტეტმა კვლავ დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საზედამხედველო მექანიზმის სრულყოფის დიდი მნიშვნელობა და გაითვალისწინა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1194 (1992წ.) რეკომენდაცია, რომელიც მხარს უჭერდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არსებული საზედამხედველო მექანიზმის შეცვლას მუდმივმოქმედი ერთიანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოთი. ამასთან, საპარლამენტო ასამბლეამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ევროპის საბჭოს ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო.

1993 წლის დამდეგს გადაწყდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

საზედამხედველო სისტემის რეფორმირების მიზნით, შემუშავებულიყო სპეციალური ოქმი, რომლითაც არსებითად შეცვლიდა ამ სისტემას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზედამხედველო მექანიზმის რეფორმირების შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, მაგრამ ამ რეფორმის აუცილებლობა მკვეთრად გაიზარდა 80-იანი წლების დასასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა კომისიაში შემოსულ განცხადებათა რიცხვი. ამასთან, კონვენციის საზედამხედველო სისტემას ახალი სახელმწიფოები შეუერთდნენ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი დატვირთვა. კომისიაში შემოსული განცხადებების რიცხვი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა – 404-დან (1981 წელი) 2,037-მდე (1993 წელი), ხოლო 1997 წლისათვის იგი კიდევ უფრო გაიზარდა და 4,750 შეადგინა. ასევე სწრაფი ტემპით მატულობდა ერთი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გადაცემულ საქმეთა რიცხვი: 7 საქმე – 1981 წელს, 61 – 1990 წელს და 119 – 1997 წელს. ამავე დროს კონვენციის 32-ე მუხლის შესაბამისად მინისტრთა კომიტეტის განსახილველად გადაცემულ საქმეთა რიცხვმა 2,672 გადააჭარბა. ასეთ ვითარებაში, თითოეული განცხადების განხილვასა და სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას 5 წლამდე დრო სჭირდებოდა, რაც არსებულ მექანიზმს მეტად არაეფექტიანს ხდიდა.

მინისტრთა კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საზედამხედველო მექანიზმის სრუ-

ლყოფის აუცილებლობა და მნიშვნელობა. 1993 წლის 8-9 ოქტომბერს ქ. ვენაში ჩატარებულ ევროპის წევრ-სახელმწიფოების მეთაურთა და მთავრობათა შეხვედრაზე მინისტრთა კომიტეტს დაევალა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ცვლილებების შემტანი ოქმის პროექტის შემუშავება და მისი ხელმოსაწერად წარდგენა 1994 წლის მაისში დაგეგმილ მინისტრთა კომიტეტის შეხვედრაზე.

1994 წლის დასაწყისისათვის, ადამიანის უფლებათა მუდმივმა კომიტეტმა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, კომისიასა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას შორის კონსულტაციების შედეგად, მოამზადა კონვენციის ოქმის პროექტი, რომელიც დამტკიცებული იქნა მინისტრთა მოადგილეების მიერ 1994 წლის 20 აპრილს თავის 511-ე შეხვედრაზე. 1994 წლის 11 მაისს ოქმი გაიხსნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ხელმოსაწერად.

1998 წლის 1 ნოემბერს, უკანასკნელი რატიფიკაციიდან ერთი წლის შემდეგ, მე-11 ოქმი ძალაში შევიდა და საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ახალ საზედამხედველო მექანიზმს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ძველმა საზედამხედველო მექანიზმმა შეწყვიტა ფუნქციონირება 1998 წლის 31 ოქტომბერს, თუმცა მე-11 ოქმის დებულებების შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია განაგრძობდა იმ საქმეების განხილვას, რომელთა განხილვა უკვე დაწყებული ჰქონდა და შეწყვიტა ფუნქციონირება 1999 წლის 31 ოქტომბერს.





ადამიანის უფლებების ეკრობის სასამართლოში

ადამიანის უფლებების ეკრობის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: კატიკარიდისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

სტრასბურგი, 1996 წლის 15 ნოემბერი
პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება

საბერძნეთი – გზის პირას მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილის ექსპროპრიაციისათვის მთლიანი კომპენსაციის მიღების შეუძლებლობა იმის გამო, რომ არსებობს №653/1997 კანონის I მუხლის მე-3 პუნქტით განმტკიცებული პრეზუმცია, რომლის მიხედვითაც გზის მოწყობის სამუშაოებიდან მიღებული სარგებელი თავისთავად წარმოადგენს საკმარის ანაზღაურებას.

I – მთავრობის წინასწარი პასუხი (შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები არ არის ამოწურული).

პასუხის პირველი ნაწილის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მოსაჩივრებს არ მიუთითებიათ კონვენციის №1 ოქმის I მუხლზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წინაშე, სასამართლომ დაადგინა, რომ მათ გარკვევით მიუთითეს საკასაციო სასამართლოს პლენუმს კონვენციის მე-6 მუხლისა და კონვენციის №1 ოქმის I მუხლზე.

პასუხის მეორე ნაწილის თაობაზე, რომლის მიხედვითაც საკასაციო სასამართლომ მე-4 პალატაში მოსაჩივრების მიერ პროცესი არ ყოფილა განახლებული, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის წარმატებას არავითარი შანსი არ ჰქონდა პლენუმის 1991 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილების შემდეგ.

დასკვნა: პასუხი არ იქნა გაზიარებული (ერთსულოვნად).

II – კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი A. საქმის განხილვის პერიოდი

პროცესის დაწყების მომენტი: ინდივიდუალური

სარჩელის უფლების შესახებ საბერძნეთის დეკლარაციის ძალაში შესვლის თარიღი.

პროცესის დასრულების მომენტი: საკასაციო სასამართლოს პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

პროცესის ხანგრძლივობა: 5 წელი, 6 თვე და 17 დღე.

B. პროცედურის ხანგრძლივობის მიზანშეწონილობის შესახებ.

საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოება გაგრძელდა 3 წელზე მეტ ხანს. ეს გამოიწვია იმ ფაქტორებმა, რომ საქმე წამოვიდა სასამართლოს სამი განსხვავებული სტრუქტურული ქვედანაყოფიდან.

დასკვნა: დარღვევას ადგილი არ ჰქონია (ერთსულოვნად).

III – კონვენციის №1 ოქმის I მუხლი

მოსაჩივრებს ჩამოერთვათ თავიანთი უძრავი ქონება – ექსპროპრიაცია ემსახურებოდა საზოგადოების ინტერესებს – მთავარი გზის გაუმჯობესებას.

დაკანონებული პრეზუმციის თანახმად, რომელიც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია უდავოდ, ანაზღაურება შემცირდა 15 მეტრის სიგანის ზოლის ღირებულების შესაბამისი თანხით. წარმოებულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მესაკუთრებს, რაც არღვევს წონასწორობას საკუთრების უფლების დაცვისა და საზოგადოების ინტერესების მოთხოვნებს შორის.

დასკვნა: დაფიქსირებულია დარღვევა (ერთსულოვნად).

IV – კონვენციის 50-ე მუხლი.

A. მატერიალური ზიანი: საკითხი არ არის მზად განხილვისათვის (ერთსულოვნად).

B. თანხები და ხარჯები: შიდასახელმწიფოე-

ბრივი სასამართლოებისა და კონვენციის ორგანოების წინაშე გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს ნაწილობრივ.

დასკვნა: მოპასუხე სახელმწიფომ გადაუხადოს მოსაჩივრებს განსაზღვრული თანხა (ერთსულღონად).

საქმეში კატიკარიძისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

საქმე განიხილა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ კონვენციის 43-ე მუხლისა და A2-ე რეგლამენტის სათანადო მუხლების შესაბამისად შემდეგი შემადგენლობით:

- რ. რისდალი – თავმჯდომარე;
- ფ. გოლგუკლუ;
- ნ. ვალტიკოსი;
- ე. პალმი;
- ი. ფოიგელი;
- ა.ბ. ბაკა;
- ბ. რეპიკი;
- პ. კურისი;

მდივნის პ. პეტკოლდის და მდივნის მოადგილის პ.უ. მაჰონის მონაწილეობით.

პროცედურა

საქმე გადაეცა სასამართლოს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ 1995 წლის 13 სექტემბერს კონვენციის 32-ე მუხლის I პუნქტით და 47-ე მუხლით გათვალისწინებული 3 თვის ვადაში. საქმის სათავეში საჩივარი, მიმართული ელინური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც კომისიას გადაეცა ამავე სახელმწიფოს მოქალაქეების – სავას კატიკარიძისის, ნიკოლას კატიკარიძისის და სტერჯიოს ტორმანიძისის, ასევე ბერძნული სამართლის სააქტო საზოგადოების, აგროტიკეს სინეტერისტიკეს ეკლოსისის მიერ 1991 წლის 24 ოქტომბერს კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად.

პალატის თავმჯდომარე, რისდალმა, (A-ე რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად) მდივნის დახმარებით აუწყა საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენელს, მოსაჩივრების ადვოკატს და კომისიის წარმომადგენელს პროცესის ორგანიზაციის შესახებ. მდივანმა 1996 წლის 25 მარტს მიიღო მოსაჩივრების, ხოლო 1996 წლის 15 აპრილს – ხელისუფლების წერილობითი მოხსენებები. 20 მაისს კომისიის წარმომადგენელმა აუწყა მდივანს, რომ მას არ ჰქონდა შენიშვნები.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საჯარო მოსმენა შედგა 1996 25 ივნისს ადამიანის უფლებათა დაცვის სასახლეში.

I. საქმის გარემოებები

A. საქმის კონტექსტი

1981 წლის 28 ივლისს სახელმწიფომ ფინანსთა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრების ერთობლივი გადაწყვეტილების ძალით, რომელიც ეყარება №653/1977 კანონს „მოთავარი გზების სანაპირო ნაკვეთების მესაკუთრეთა მოვალეობების შესახებ“, მოახდინა მოსაჩივრების მიწის ნაკვეთების ნაწილის ექსპროპრიაცია ქალაქების, სალონიკისა და დანგადას შემართებელ გზაზე ხიდის მშენებლობის მიზნით.

№653/1977 კანონი ადგენს, რომ გზის პირას არსებული ნაკვეთების მესაკუთრენი იღებენ სარგებელს, როცა ხდება ამ გზის გაფართოება და შესაბამისად ექსპროპრიაციის შემთხვევაში მონაწილეობენ ამ დროს წარმოქმნილ ხარჯებში.

გზისპირას მდებარე მიწის ნაკვეთები გამოიყენებოდა კომერციული მიზნებისათვის.

პირველი ორი მოსაჩივრე, სავას და ნიკოლას კატიკარიძისები, ყიდდნენ მანქანის საბურავებს. ექსპროპრიაციის შედეგად მათ დაკარგეს 174, 38 მ². მესამე მოსაჩივრე, ტორმანიძისი, ეწეოდა სათბობის ბიზნესს და ჰქონდა ნავთობგასამართი სადგური, საიდანაც მან დაკარგა 68, 68მ². მეოთხე მოსაჩივრემ, აგროტიკეს სინეტერისტიკეს ეკლოსისმა, რომელსაც ჰქონდა საგამომცემლო და საბეჭდი ფირმა, დაკარგა 347, 36 მ².

B. სასამართლო პროცესი ანაზღაურების განსაზღვრად.

1982 წელს ხელისუფლებამ მიმართა სალონიკის I ინსტანციის სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელს განესაზღვრა ანაზღაურების ოდენობა თითო კვადრატული მეტრის შესაბამისად. 1982 წლის 10 ივნისს სასამართლომ განსაზღვრა ანაზღაურების ოდენობა –14000 დრაჰმა ერთ კვადრატულ მეტრზე. 1983 წლის 8 დეკემბერს სალონიკის სააპელაციო სასამართლომ საბოლოოდ განსაზღვრა ანაზღაურების ოდენობა – 14500 დრაჰმა ერთ კვადრატულ მეტრზე.

C. ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრა

1984 წლის 4 ივნისს I ინსტანციის სასა-

მართლმად დაადგინა, რომ მოსაჩივრებებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ 1983 წელს სასამართლოს მიერ განსაზღვრული ანაზღაურება, რასაც ხელისუფლება არ დაემორჩილა.

D. ანაზღაურების მისაღებად წარმართული პროცესი

1. სალონიკის I ინსტანციის სასამართლოში 1984 წლის 20 ივლისს მოსაჩივრებმა მიმართეს სალონიკის I ინსტანციის სასამართლოს დადგენილი ანაზღაურების მისაღებად. ისინი თავიანთ საჩივარში ამბობდნენ, რომ 30 მეტრის სიგანის მთავარი გზის მომიჯნავე ნაკვეთები საგზაო ხიდის მშენებლობის შემდეგ გაემიჯნენ 5-7 მეტრის სიგანის მეორად გზას. უფრო მეტიც, არ არსებობდა არანაირი კავშირი მეორად გზასა და მთავარ გზას შორის, რომელიც ახლა გადიოდა მათი მიწის ნაკვეთებიდან 6 მეტრის სიმაღლეზე.

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ №653/1977 კანონის მიხედვით მოსაჩივრებმა, რომლებიც ფლობდნენ მთავარი გზის მომიჯნავე ნაკვეთებს, მიიღეს სარგებელი ექსპროპრიაციიდან და ამიტომ არ ჰქონდა არანაირი უფლება ანაზღაურებაზე.

სალონიკის I ინსტანციის სასამართლომ 1985 წლის 27 ივნისს გამოიტანა დადგენილება. მან მხედველობაში მიიღო ხელისუფლების პროტესტი და უკუაგდო მოსაჩივრების მოთხოვნა იმ მოტივით, რომ აღნიშნული კანონი იყო უღალა და გამოიყენებოდა მათ საქმეში.

2. სალონიკის სააპელაციო სასამართლოში 1985 წლის 12 ივლისს მოსაჩივრებმა მიმართეს სალონიკის სააპელაციო სასამართლოს. მან 1986 წლის 24 ივნისს დაადგინა, რომ აღნიშნული კანონის (პრეზუმფციის) გამოყენება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლს. მან დაავალა მოსაჩივრებს იმის დამტკიცება, რომ საგზაო ხიდის მშენებლობას არ მოუტანია მათთვის სარგებელი. 1987 წლის 9 ივნისს სააპელაციო სასამართლომ დეტალურად განიხილა წარმოდგენილი მტკიცებულებანი და აღნიშნა, რომ მოსაჩივრების კომერციული საქმიანობისთვის განკუთვნილ შენობებს, რომლებიც საგზაო ხიდის მშენებლობამდე ემიჯნებოდნენ მთავარ გზას, მოჰქონდა დიდი სარგებელი აღნიშნულ გზაზე სულ უფრო მზარდი მოძრაობის გამო. საგზაო ხიდის აშენების

შემდეგ კი ბიზნესის დონე საგრძობლად დაეცა, ხოლო ზოგიერთი შენობა დაიხურა კიდევ, რადგან მათ განიცადეს დიდი ზარალი. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს უნდა გადაეხადა კატიკარიდისათვის 2528510 დრაკმა, ტორმანიდისისათვის – 995860 დრაკმა, ხოლო აგროტიკეს სინეტერისტიკეს ეკლოსისისათვის – 5036720 დრაკმა.

3. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში 1987 წლის 30 სექტემბერს სახელმწიფომ გაასაჩივრა საქმე საკასაციო სასამართლოში. 1989 წლის 13 ივნისს საკასაციო სასამართლოს მე-3 პალატამ დაადგინა, რომ №653/1977 კანონი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-17 მუხლსა და მე-4 მუხლის პირველ პუნქტს, რადგან იგი არ აწესებს უსაფუძვლო და გაუმართლებელ გამონაკლისებს სანაპირო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან მიმართებაში. ამის შემდეგ საქმე გაიგზავნა საკასაციო სასამართლოს მე-4 პალატაში, სადაც 1990 წლის 20 იანვარს მოსაჩივრებმა წარადგინეს წერილობითი მოხსენება. მე-4 პალატამ მხარი დაუჭირა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ბოლოს საქმე გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს პლენუმს, რომელსაც უნდა გადაეჭრა დავა ორ პალატას შორის. 1991 წლის 6 ივნისს საკასაციო სასამართლოს პლენუმმა გაიზიარა და მხარი დაუჭირა მე-3 პალატის გადაწყვეტილებას. მოსაჩივრებებს პროცესი არ განუახლებიათ მე-4 პალატაში.

II. შესაბამისი შიგნითი სახელმწიფოებრივი სამართალი

1975 წლის კონსტიტუციის მე-17 მუხლი ადგენს:

„1. საკუთრებას იცავს სახელმწიფო, თუმცა, აქედან გამომდინარე, უფლებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საზოგადოების ინტერესებს;

2. მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება მხოლოდ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, რაც სათანადო წესით უნდა დამტკიცდეს. უნდა მოხდეს ქონების მთლიანი ანაზღაურება...”

93-ე მუხლის მე-4 პუნქტი: „სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ კანონები, რომელთა შინაარსი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას”.

სასამართლომ ასევე განიხილა: №79/7/1971 კანონი „ექსპროპრიაციების შესახებ”, რომე-



ლიც აწესრიგებს ექსპროპრიაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და წარმოადგენს კონსტიტუციის ნორმებში განმტკიცებული პრინციპების განხორციელების საშუალებას.

განხილულ იქნა №653/1977 კანონი „მთავარი გზების მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მოვალეობების შესახებ“. №947/1979 კანონი „იმ რაიონების შესახებ, სადაც ნებადართულია მშენებლობა“.

საქმის წარმოება კომისიის წინაშე მოსაჩივრებმა მიმართეს კომისიას 1991 წლის 24 ოქტომბერს. ისინი მიუთითებდნენ კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტისა და №1 ოქმის I მუხლის დარღვევაზე.

1994 წლის 31 აგვისტოს კომისიამ მისაღებად მიიჩნია საჩივარი იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც შეეხებოდა პროცესის ხანგრძლივობას და მოსაჩივრეთა მიერ საკუთრების უფლების მშვიდობიანი განხორციელებისათვის ხელის შეშლას, რაზეც მიუთითებდნენ მოსაჩივრები. საჩივრის დარჩენილი ნაწილი უკუგდებული იქნა. 1995 წლის 28 ივნისს კომისიამ ერთსულოვნად გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი და №1 ოქმის I მუხლი.

სასამართლოსათვის ხელისუფლების მიერ წარდგენილი მოსაზრებანი

თავის მოხსენებაში ხელისუფლებამ მოსთხოვა სასამართლოს:

1) მიეჩნია საჩივარი მიუღებლად იმ მოტივით, რომ არ იყო ამოწურული შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები; 2). უარეყო საჩივარი უსაფუძვლობის გამო.

სამართლებრივად:

I. ხელისუფლების წინასწარი პასუხის შესახებ როგორც კომისიის, ისე სასამართლოს წინაშე ხელისუფლებამ დაიცვა ის მოსაზრება, რომ მოსაჩივრებს არ ამოუწურავთ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები, რადგან მათ არ მიუთითებიათ კონვენციის №1 ოქმის I პუნქტზე, რაზეც ახლა უთითებდნენ. ასევე მათ არ განუახლებიათ პროცესი საკასაციო სასამართლოს მე-4 პალატაში.

პროტესტის I ნაწილთან მიმართებაში კომისიის მსგავსად სასამართლოც აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს პლენუმის მიერ წარმართულ პროცესზე მოსაჩივრებმა ნათლად

მიუთითეს როგორც კონვენციის მე-6 მუხლზე, ისე №1 ოქმის I მუხლზე. რაც შეეხება პროტესტის II ნაწილს, ამის თაობაზე, კომისიის მსგავსად, სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს პლენუმის 1991 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილების შემდეგ მოსაჩივრები საკასაციო სასამართლოს მე-4 პალატისათვის მიმართვით წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. ამის გამო სასამართლომ არ გაიზიარა ხელისუფლების წინასწარი პასუხი.

II. კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის დარღვევის შესახებ

მოსაჩივრები მიუთითებენ ანაზღაურების განსაზღვრისათვის წარმართული პროცესის ხანგრძლივობაზე: ისინი მიიჩნევენ, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი, რომელიც ადგენს: „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან მოსმენაზე... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში“...

ხელისუფლებამ მიუთითა რა საქმის სირთულეზე და სასამართლოების მიერ გადასაწყვეტ საქმეთა სიმრავლეზე, უარყო ეს დებულება. რაც შეეხება სასამართლოს, მან მიიღო რა მხედველობაში საქმის ყველა გარემოება, განსაკუთრებით კი მისი სირთულე, კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის დარღვევა არ დაუფიქსირებია.

III. კონვენციის №1 ოქმის I მუხლის დარღვევის შესახებ

მოსაჩივრები მიუთითებდნენ, რომ №653/1977 კანონის I მუხლის მე-3 პუნქტში განმტკიცებულმა პრეზუმციამ და საკასაციო სასამართლოს მიერ მისი უდაოდ გამოცხადებამ ხელი შეუშალა მათ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მათთვის მინიჭებული ანაზღაურების მიღების უფლების განხორციელებაში. კონვენციის №1 ოქმის I მუხლი კი ადგენს: „ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვენ და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით. ეს

დებულებები არანაირად არ ზღუდავენ სახელმწიფოს უფლებას უზრუნველყოს ისეთი კანონების შესრულება, რაც საჭიროა საკუთრების უფლების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ან გადასახადების გადახდის უზრუნველყოფისათვის”.

არ იყო უარყოფილი ის ფაქტი, რომ მოსაჩივრებს ჩამოერთვათ ნაკვეთების ნაწილი კანონის შესაბამისად გზის გაუმჯობესების მიზნით და რომ ექსპროპრიაცია ემსახურებოდა საზოგადოების ინტერესებს. მოსაჩივრები გამოდიოდნენ იმ უტყუარი პრეზუმციის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ისინი იღებდნენ სარგებელს აღნიშნული ექსპროპრიაციიდან.

კომისიის აზრით, ამ უტყუარი პრეზუმციის გამოყენებამ, რამაც შეუძლებელი გახადა მიეღოთ მოსაჩივრებს შესაბამისი ანაზღაურება, განაპირობა კონვენციის №1 ოქმის I მუხლის დარღვევა, რაც დააფიქსირა კიდევ სასამართლომ.

IV. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების შესახებ

კონვენციის 50-ე მუხლით: „თუ სასამართლო გადაწყვეტილებებით, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული ზომა ან გადაწყვეტილება მთლიანად და ნაწილობრივ ეწინააღმდეგება სახელმწიფო კონვენციურ ვალდებულებებს და სახელმწიფო შიდა სამართალი შედეგების მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორების საშუალებას იძლევა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით მიაგებს მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას”.

მოსაჩივრები მოითხოვენ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, ასევე თითოეული მოითხოვენ 1000000 დრაკმას პროცესის ზედმეტად გაჭიანურებისათვის. რაც შეეხება ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებულ და სხვა სახის ხარჯებს, გაწეულს

ადგილობრივ სასამართლოში, მათ დასაფარავად მოითხოვენ 3000000 დრაკმას 5000000 დრაკმასთან ერთად კონვენციის ორგანოების წინაშე გაწეული ხარჯებისათვის.

საბერძნეთის ხელისუფლება სთხოვს სასამართლოს უკუგადას აღნიშნული მოთხოვნა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი მატერიალურ ზიანთან მიმართებაში არ არის მზად გადასაწყვეტად და ანგარიშს უწევს მხარეთა შესაძლებლობას მიაღწიონ გარკვეულ შეთანხმებას ამის თაობაზე. სასამართლო იღებს რა მხედველობაში კონვენციის №1 ოქმის I მუხლის დარღვევას და საქმის სირთულეს, კონვენციის 50-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად აკმაყოფილებს მოსაჩივრეთა მოთხოვნას და ანიჭებს მათ 4000000 დრაკმას სასამართლო ხარჯების დასაფარავად.

ამ საფუძვლების გამო სასამართლო ერთსულოვნად:

1. არ იზიარებს ხელისუფლების წინასწარ პასუხს;
 2. არ აფიქსირებს კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის დარღვევას;
 3. აფიქსირებს კონვენციის №1 ოქმის I მუხლის დარღვევას;
 4. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ გადაუხადოს მოსაჩივრებს 3 თვის ვადაში 4000000 დრაკმა სასამართლო ხარჯების და გასავლების დასაფარავად. ამ თანხას დაემატოს წლიური 6% ზემოთ აღნიშნული ვადის გასვლიდან გადახდამდე;
 5. ადგენს, რომ კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებაში არ არის მზად გადასაწყვეტად.
- ინგლისურად და ფრანგულად შედგენილი გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასახლეში 1996 წლის 15 ნოემბერს.

ხელს აწერს:
როლფ რისდალი – თავმჯდომარე;
ხელს აწერს:
ჰერბერტ პეტცოლდი – მდივანი.

დედნიდან თარგმნა ნათია კინწურაშვილმა.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო დ ა რ ბ ა ზ ი დ ა ნ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ბ ა ნ ჩ ი ნ ე მ ბ ა

№ 199

24 დეკემბერი, 1999 წელი,
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- თავმჯდომარე – მ. ისაევი,
- წევრები: თ. ყრუაშვილი
- გ. ხაბუღიანი
- სხდომის მდივანი: ზ. გოგინაშვილი
- სხდომაში მონაწილეობდნენ:
- პროკურორი: ლ. ყიფიანი

განიხილა მსჯავრდებულ ცისკარა ხაჩიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 1999 წლის 27 ოქტომბრის განაჩენზე, რომლითაც ნაწილობრივ შეიცვალა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 04 აგვისტოს განაჩენი.

პირველი განაჩენით ც. ხაჩიძეს მსჯავრი დაედო სსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე იმავე ვადით გადაედო განაჩენის აღსრულება. მასვე ორი წლით აეკრძალა თავლის წარმოება და რეალიზაცია.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ, დააკმაყოფილა იმერეთის საოლქო პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანა განაჩენში იმ მიმართებით, რომ ც. ხაჩიძეს მიესაჯა ჯარიმის გადახდა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დანარჩენ ნაწილში პალატამ რაიონული სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

პალატამ მოისმინა რა უზენაესი სასამართლოს წევრის თ. ყრუაშვილის მოხსენება

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

განაჩენის მიხედვით ც. ხაჩიძის მიერ დანაშაული ჩადენილ იქნა შემდეგ გარემოებებში. იგი დაბადებულია 1969 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ წაქვაში და ცხოვრობს იქვე. აქვს საშუალო განათლება, ცოლშვილიანია, ჰყავს ერთი მცირეწლოვანი შვილი, დაბადებული 1999 წლის 11 ივლისს. არის ინდივიდუალური მეწარმე.

1999 წლის 22 მარტს ც. ხაჩიძემ თავის ბინაში შაქრის სიროფის შერევით გასაღების მიზნით დაამზადა 10,5 კგ. თაფლი, რომლითაც იმავე წლის 25 მარტს სოფელ ხევში ვაჭრობდა შესაბამისი სერთიფიკატის გარეშე. პოლიციის მუშაკების მიერ ეს თაფლი ამოღებულ იქნა. შემოწმებისას მის შემცველობაში აღმოჩნდა: სინესტე ნაცვლად 21%-ისა 18,4%, შაქარი ნაცვლად 92%-ისა 34,9%, საქაროზა ნაცვლად არა უმეტეს 6%-ის 68%, დიასტაზას რიცხვი ნაცვლად 7-ისა, 23,8, რამაც შეცვალა მისი თვისობრივი იერსახე.

ე.ი. მან ჩაიდინა ფალსიფიკაცია.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული ც. ხაჩიძე ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას. აღნიშნულის დასასაბუთებლად მიუთითებს იმის შესახებ, რომ პალატამ არ გაითვალისწინა მისი ფიზიკური, ოჯახური და მატერიალური მდგომარეობა. მართალია ჯარიმა რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნულ სასჯელთან შედარებით გაცილებით მსუბუქია, მაგრამ პირადი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით მისი გადახდა წარმოუდგენლად მიაჩნია.

პალატამ გამოიკვლია საქმის მასალები, მოუსმინა პროკურორს, რომელმაც სააპელა-

ციო პალატის განაჩენის უცვლელად დატოვება მოითხოვა, შეამოწმა საჩივრის მოთხოვნის, მისი მოტივების საფუძვლიანობა და განაჩენის კანონიერება. მიაჩნია, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის განაჩენში შეტანილ უნდა იქნეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ ც. ხაჩიძისათვის დანიშნული სასჯელი მისთვის 2 000 ლარის ჯარიმის გადახდის სახით, აშკარად უსამართლოა, როგორც მკაცრი.

გაურკვეველია რა იგულისხმა სააპელაციო სასამართლომ ამ თანხის დაკისრებისას, როცა მიუთითა რომ „ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ც. ხაჩიძის ოჯახის მატერიალური მდგომარეობა“.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ც. ხაჩიძეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია. პირველად სამართალში, არის ავადმყოფი – იმყოფება დისპანსერულ აღრიცხვაზე დიაგნოზით „ქრონიკული ნევროზი, მეორადი ჰიპერტენზიით“, აქვს მარცხენა კიდურის მტევნის პოსტტრავმული დაზიანება, პირველი და მეორე თითის ამპუტაციის შედეგში პერიოდი, ჰყავს მოხუცი ავადმყოფი დედა, მეუღლე და მცირეწლოვანი – ხუთი თვის შვილი, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებიან. ოჯახი მიეკუთვნება ეკონომიურად შეჭირვებულთა კატეგორიას.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ც. ხაჩიძის დაჯარიმება 2 000 ლარით, მიუხედავად იმისა, რომ ის სსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით გათვალისწინებული ჯარიმის მინიმუმს წარმოადგენს, აშკარად მკაცრია და ამდენად უსამართლოც.

პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული ყველა გარემოება უნდა ჩაითვალოს როგორც განსაკუთრებული გარემოება, რაც სსკ-ის 45-ე მუხლის გამოყენებით ჯარიმის შემცირების საფუძველს იძლევა.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უსწოროა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს განაჩენში მითითება იმის შესახებ,

რომ ც. ხაჩიძეს ორი წლით აეკრძალოს თავის წარმოება და რეალიზაცია, რამეთუ ფალსიფიცირებული თაფლის დამზადებისათვის იგი დაისაჯა შესაბამისი მუხლით, მაგრამ არ შეიძლება მას საერთოდ აეკრძალოს თაფლის დამზადება და რეალიზაცია.

სსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია ითვალისწინებს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, რაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ არასწორადაა გაგებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, კერძოდ ც. ხაჩიძემ დაამზადა 10,5 კგ. თაფლი, რომლის კგ-საც ჰყიდდა 4 ლარად, რომ ფალსიფიცირებული თაფლი მთლიანად ამოღებულია, საქმეზე არსებობს განსაკუთრებული გარემოებანი, ც. ხაჩიძე უნდა დაჯარიმდეს 100 (ასი) ლარით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც სავსებით შეესაბამება როგორც ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს და ხასიათს, ისე მის პიროვნულ მახასიათებლებს, ოჯახურ და მატერიალურ მდგომარეობას.

პალატამ იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 560-ე, 561-ე, 568-ე მუხლებით

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

შეტანილ იქნეს ცვლილება ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 1999 წლის 27 ოქტომბრის განაჩენში და ცისკარა გიორგის ძე ხაჩიძეს ნაცვლად განსაზღვრული 2000 (ორი ათასი) ლარისა, სსკ-ის 45-ე მუხლის გამოყენებით დაეკისროს ჯარიმის 100 (ასი) ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამასთან, ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 04 აგვისტოს განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ცისკარა ხაჩიძისათვის თაფლის წარმოებისა და რეალიზაციის აკრძალვის შესახებ.

თავმჯდომარე: მ. ისაყვი
წევრები: თ. ყრუაშვილი
გ. ხაბულიანი

REZUME

1. The Deputy General Prosecutor of Georgia made rapport on the widened session of the College of General Prosecutors Office of Georgia. “Security of protection of legality is the most important problem of the Prosecutors office”.

In his rapport the author reviews the state’s criminogen situation. He talks about the obstacles, which prevent our country to have a success and shows the ways to struggle against corruption and to overcome these difficulties. The author notes the statistic data of different crimes and says that he is ready to do everything in order to improve this situation.

2. Gia Khubua – Executor of duties of the Director of the State and Law Institute of Georgian Academy of Science. “Federalism and autonomy”.

The author determines a notion of autonomy and points out, that it is used by different meanings in different situations. Further he reviews the relationship of principles of federalism and autonomy and concludes that the latter can realize federalism. According to him, autonomy as the way of protection of minority’s rights, it can regulate the local conflicts and discordance. The article reviews the subjects and forms of autonomy with its positive and negative aspects.

3. Rostom Tskhvediani – Post-graduate of Law Theory and Constitutional Law Chair of Tbilisi State University. “Specialities of president’s election in Georgia and other countries of the world”.

The article reviews specialities of president’s election in Georgia and other countries of the world. The author deals with the term of president’s authority and the problem of his reelection and expresses his own opinion concerning these questions. He also notes the conditions, which the candidate must satisfy. At last the article reviews president’s possibility to begin to realize his functions.

4. Nino Khoperia – Member of the Chair of Civil Law and Procedure, candidate of Legal Sciences. “Absent decision on account of respondent’s nonattendance”.

The author determines a notion of absent decision, reviews its positive and negative aspects and points out, that the latter is a result of realization of principle of controversy. Further she deals with the regulation of absent decision in Georgian legislation and reviews above-mentioned question on example of Germany.

5. Tariel Zambakhidze – Judge in Tbilisi District Court, candidate of Legal Sciences, docent. “Trust – a new institute of the Georgian Civil Code”.

The author determines a notion of trust. Article’s aim is to explain the nature of rules united in the Civil Code under this institute. The author points out, that the rules regulating such relations belong to the Law of contract. The article reviews the forms and questions related to the contract, particular its object, subjects, liability, rights and obligations of the latter. The author points out

the gaps concerning this question. In his opinion, trust relations did not spread because of many problems and he shows us the ways to resolve them.

6. Tamar Zambakhidze – Post-graduate of the Civil Law Chair of Tbilisi State University. “The trust” (historical reviews).

Article’s aim is to analyze a difficult process of creation of trust relations and their foundation in different legal systems. That will relieve understanding of relevant rules of the trust institute united in Georgian Civil Code. The author reviews this institute on examples of Germany, USA, England and Russia and shows its common and different marks. In author’s opinion, the institute of trust is very important in further development of economy.

7. Kakha Tsikarishvili – “Strict liability in English-American Criminal Law –law anomaly or an effective mechanism of regulation”.

The article reviews the main point of the institute of strict liability and the area where it’s spread such as “traditional offences” and “regulatory offences”. The author notes the arguments of supporters and opponents of this institute and gives interesting examples from the precedent to explain above-mentioned questions.

8. Alexandr Katsman – The lawyer. “Ways of committing computer crimes”.

The author reviews the most spread ways of committing computer crimes and notes, that it’s necessary to struggle against them in order to avoid such a violation of law. Rules of law are very important in this affair. From this point of view appointment of criminal liability by the Georgian Criminal Code, which determined the information as a separate object of legal protection, is a step forward.

9. Badri (Kakha) Kvaratskhelia – Post-graduate in the State and Law Institute of the Georgian Academy of Sciences. “Judicial-administrative reforms led by David Dadiani”.

The article reviews a difficult situation existing in the principedom, when David Dadiani became the king. The author deals with the main questions of judicial-administrative reforms led by David. He retells about his legislative activity and notes the importance of measures taken by the king.

10. Niko Djavakhishvili – Scientist collaborator of scientific-investigative center of history of Georgian State and National Diplomacy of Tbilisi State University, candidate of History Sciences, “Money reform of 1919 in Georgia”.

The article reviews a situation existing in Georgia before the money reform. The author deals with the different opinions concerning the emission of Georgian national value. Financial panic, broken out that time in the country, was ended by successful realization of money reform.

11. Alexandr Mikaberidze – “The European Court of Human Rights”.

The article reviews the activities of several organizations (after the Second World War), which were willing to create the European Unity and the mechanism of protection of Human Rights and Freedoms. The author notes the measures taken in order to receive the European Convention of Human Rights and to create the European Court and European Commission of Human Rights. In spite of certain obstacles the aim had been achieved. Furthermore, the mechanism of supervision of European Convention of Human Rights had been rather improved.

მკითხველთა საყურადღებოდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნაბეჭდ 15 გვერდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპიუტერის დისკზე ჩაწერილი სახით.

ჟურნალი რეგისტრირებულია თბილისის
კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერია – 06/4-190

პასუხისმგებელი მდივანი – ირმა ბექაური

კორექტორი-სტილისტი – ნინო ბერძენიშვილი

თარჯიშანი – ნათია კინწურაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ბექაური

ნათია ნასყიდაშვილი

დავით ნასყიდაშვილი

გადაეცა წარმოებას 20.02.00 წ.,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.02.00წ.,
ფორმატი 60X84, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6,25.
შეკვეთა №15
ტირაჟი 800
ფასი ხელშეკრულებით.

7 436/1

32
6/6

